

114  
1935/2

# ანათოლი



## 3

გ ი ნ ა რ ს ი

ლ ე ქ ს ი ბ ი

3. გაფრინდაზეილი  
3. კაზახის  
ილი მოსაზღვილი  
806000 ურუვაძე  
ნიკოლოზ ტიმოთევი  
კაცის

პ რ ი ჭ ა

40061 გოჩილაძე  
4. დადიანი  
5. გამსახურდის  
6. დიონიშვილი  
30660 ჭობაძე

60801 ლუკიაშვილი მოქარება  
5. მორდევაძე

ქრისტიკა და პლატიშვილია  
ალი არსენიშვილი

ჭარსულიძენ  
კოპტ აჩაზიძე

80801 გრიგორიაშვილი  
3. ხარიშვილი  
5.

K  
აროღეთა სახელი მდინარე, გეორგი



# მეცნიერებების ანთოგი

სრულიად საქართველოს სამართლოს  
მუნიციპალიტეტის კავშირის მოვლითი განვითარების  
სალიტერატურო, სახელოვნო და სამუ-  
ზაღვითი განვითარების-საკოლეგიანო შუანალი

59413

3

მეცნიერების მითოგენი



სახელმწიფო

1935





სარელაციო კოლეგია:

କରୁଣାବ୍ୟାମ ପାଦପାତ୍ର  
ଶେଷ କରୁଣାବ୍ୟାମ  
ବେଳେ ଲାଗୁଥିବାରେ  
ଏହିବେଳେ ଅନୁମତିପାଇପାଇପ  
କାହାର ପାଦପାତ୍ର  
ପାଦପାତ୍ର କରୁଣାବ୍ୟାମ  
କରୁଣାବ୍ୟାମ କରୁଣାବ୍ୟାମ  
କରୁଣାବ୍ୟାମ କରୁଣାବ୍ୟାମ

ଶେଷାକତିରେ ପରିମାଣ କରିବାରେ ଏହାକିମ୍ବଳୀ କୁ ନେ 13. ଟୁଲ. ନେ 3 — 55 — 25.

ପ୍ରକଟିଗୁଣବିଦ୍ୟା ମିସାରାହାରତୀ: ଲେନ୍ଡିକୋଲେଜ୍, ଫର୍ମାନଗାର ପ୍ଲଟ୍ ନଂ ୭, ବ୍ରାହ୍ମନାଥସିଙ୍ଗାର୍.

სახელმწიფო პირების სტატუსი, პლექანოფის პროცედურა № 91.

ବେଳାପର. କ୍ଷେତ୍ର-୫. ନେ 2108. ପ୍ରମାୟ. 123. ଲିଙ୍ଗରୀତ୍ରେ 6,000.

## დემა გენერალი

# ს ტ ე რ ლ ა

რომანი

1

საყვირი ღმურის.

თინას გამოელეიდა.

ტანის ოფლი დასხმია.

ძილის ბურანისაგან ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამოჩეული.

საზაფხულო საბანი იქით გადააგდო და ისე გაიშვართა.

შარჯვენა ხელი თავეეშ რომ ამოიდო, ლრმად ჩაჭრილ ღამის პე-  
რანგის საკინძის ქეშ ამოცურებული ხორბლისფერი მკერდი გადაწეულ  
მილავს თან აპყვა.

ის იყო ძილის შებრუნებას აპირებდა, რომ კოლოს ნაქანშა ქავილით  
გაუსხენა. ფეხი აიკეცა და მარცხენა ხელით ისედაც აწითლებული ადგი-  
ლი გამწარებით მოიფხანა.

საყვირის ხმა ისევ რომ ჩაესმა, უნებლივთ წამოვარდა, მაგრამ გა-  
ასენდა: დღეს ქარხნის ეს ძახილი მას არ შეეხებოდა და ისევ წაიქცა.  
რომ დაეცა, ლოგინის ზამბარებშა უსიამოვნო ჭრაკუნით აიქნიეს, და  
მოლად გამოერევა.

ფანჯარას გახედა: სინათლე მისურულ დარაბაში ზოლებად ატანდა.  
ამ ზოლს მეორე ფანჯრიდან შემოეონილი სხივი ჰკეცითდა მართობულად  
და კედელზე. მიკიდებულ სტალინის სურათს ანათებდა.

ბელადი ოდნავეი ღიმილით იცქირებოდა კედლიდან.

თინას ცეცრად ცეცხლეა თავისი როთაში.

ყური მიუვალ — ზღვა აღარ შხუოდა, არც ჭიჭინობელი ჭრიჭინცბდა,  
იქ რომ ყურძენს თავდაეიწყებით ამწიფებდა. მერე რაღაც ბალიშივით  
რბილი და უშარმაზარი რომ წამოვიდა ბნელად, ნისლივით შემოებურა,  
ჩაიხვია და ისიც დანებდა ბაეშივით მორჩილი ამ სილბილეს, ჩაუშვა გა-  
ნუზომელობაში ღრმად, ჩაძირული...

სადღაც შორს, დაეწყებაში მართობად გადაკვეთილი სხივი ისევ ანა-  
თებდა თვალის მომცრელად...

ერუანტელად შემოპარულმა ძილმა დაჲქრა თავში, მისი ლოგინია-  
ნად და წავიდა ტებილად დარჩეული უცნაურ სიბლუქეში.

— ალბათ, ძილი განცდაა დედის წიაღში გატარებულზე რეალურისა! —  
ანთო ფიქრი ფოსფორიულად, ჩაქრა და, ისევ რომ პრინცი შესჭრა, თვა-  
ლები გამოხილა.

ეძინა?

იქნება არც ეძინა?

იქნება ეს წუთის თვლემა იყო?

თავეცვეშ შერჩენილი მარჯვენა ხელი გამოილო და, ამოცურებული  
შეერდი რომ მოისრისა, გააზმორა.

— ეს რა სისულელა... — გაიღიქრა უქმაყოფილოდ, თავი წამოსწია,  
მაგრამ ლოგინმა ისევ დასძალა და თავი ბალიშში წარგო.

ტანში იყო რაღაც გაურკვეველი ნატერა, სევდა და სიტებო ბიჭიერი.

— ფუი ეშმაქს! ფუი ეშმაქს! ფუი ეშმაქს! — გამოავავრა თინაშ  
თავის გამზრდელ ბებიას.

უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ არ ადგა, თავისავე თავს დაემალა  
ლოგინში.

— ბებია!..

ის მისთვის დედაც იყო, მამაც და ერთად-ერთი პატრონიც.

ახლა ბებია აღარ არის. უერც მისმა გახსენებამ დააფრთხო ეს ჩუმი  
ნატერა.

მისი ფიქრები ერთ საგანზე დიღხანს არ ჩერდებოდა. განსაკუთრებით  
გუშინდელი დღის შთაბეჭდილებანი და გადანაფიქრი არ ასევენებდა. მერე  
ეს შემოღვომის ტებილი დილაცი... ახალგაზრდობა... ერთი თვე, ზღვაზე  
გატარებული პადებიდა სურეილს, რომ ყველაფერი ბოლომდე დაეფიქრა.

— ააპა — პა... — დაამთქარა.

— ესეც განცხრომა... — კი არ სთქია, გაიფიქრა.

აღარ არის უსიერი ზღვა (მარტო ტუ როცია უსიერი), არც უნა-  
პირო დაულექებელი სივრცეები და აღარც ის ტანისამწველი ცხელქვიშია-  
ნი პლაჟი.

გათავდა დასევენების ლალი დღეები.

აღარც ნალიებია, აღარც ლელები და კვახის ფოთოლში გახვეული  
ფელამუშები. აღარც დასასევენებელი სახლის გონგი, საუზმედ ან სადი-  
ლად რომ მოუწოდებდა მოაგარაკეთ.

ისევ საამქროები, ისევ მშენებლობა, ისევ ყალიბები მანქანათა დეტა-  
ლებისა, გუგუნი ბოვებისა. ისევ ნაპერწელებად ატკაცუნებული თეთრი  
ღნარი თუჯისა, ღარებში წამოსული. ისევ გეგმები, გრაფიკები. ლინზე  
და გასანთლულ ქალალზე მოცემული ნახაზები და პროექტები. თაბი-  
რები, მიტინგები და ჯერ კიდევ გაუნელებელ ბრძოლის უინით აყიდი-

ნებულ ლოზურგებით შემოჭირებული სიცრუები. ისეც პოლატრია, ბელადების ხალირებტივო სიტყვები და „ლენინიშმის საკუთხევულებულები ისეც ქრაპუნი ამწევ ონკანებისა და ოშინარების. პირდებირთული ისეც:

— ეირა-ა!..

— პოშალა-ა!..

— მაინა-ა!..

მოქანატრა, უუკ, როგორ მოენატრა ეს ერთი თეით, დატოვებული კი არა, მიტოვებული ქარხანა.

ქვეყანა იზრდება, მოთხოვილებანიც, და ამ ზრდასთან ერთად როგორდება ქარხანაზე დაკისრებული მოვალეობანიც.

ქარხანა კი ძველია, დაზგებიც, ტექნიკური შეკურვილობაც.

მას თავისი ტრადიციები აქვს, წარსული, და როცა ეს ტრადიციები ელობება ახალ მეთოდებს შეშაობისას, პარტიულ და კომკავშირულ აქტივებს დიდი ბრძოლა სჭირდება ამ ჩვევების გადასაღაბად.

ყოველი დღე, ყოველი საათი ახალ მოთხოვნასა და ამოცანებს აყენებს ვადასაჭრელად. ეს ამოცანები ძალზე როგორიცა და, მას ვარდა, არ ითმებს არაეითობი დაყოვნებას.

დღეში კი, ამ ვასატიალებელ დღეში, თუნდაც დღელამეში, მხოლოდ ოცდაოთხი საათია! გინდ ვასჭერ, გინდ ვახიე, მეტს ვერც ჩაატევ, ვერც შეამტკრებ!

ამ ოცდაოთხ საათის ვანშეალობაში საჭიროა ყოველ წუთს იზრდებოდე, იზრდებოდე სულის ჩაუთქმელად, ინგრეოდე საფუძველებამდე და ისეც შენდებოდე, შენდებოდე, მომენტის შესაბამისად.

## 2

გუშინ ვაგონის ფანჯარაზე ვაღაყრდნობილი რომ ვაღასცეკეროდა უდელტეხილის თვალჩაუწედენელ ხეობებს, ვიალუკებს, მთებს, ცის და-სალიერებამდე აზიდულებს, და ამ მთებზე შეფენილ ოდებს, აივნებზე გასაშრობად ეყარა ბაჯალლო სიმინდი დახვავებული ბირკეილებივით, მხვარეში ეკიდა ჯერ კიდევ შეუგლეჯავი ფურჩებით ვაშიშელებული ტაროები ფრთხებით ატაცებულ ოქროს წიწილებივით და. შემოღვომის ტკბილი მზე რომ აჭერდა, წიაქობდენ სიხარულით, ირწეოდენ ნიავისაგან დარხეული. იქნებ, ელმავალის დანახვა აწიაჭებდა მათ შეშინებულებს?

მატარებელი შეუფურხებელი, თანაბარი სულით მიდიოდა ამ ვაუთავებელ აღმართში.

აამდენიმე წლის წინად გვირაბილან გულის ვამხეთქავი წივილით ვამოვარდნილი თრთქლმავალი მიპქროდა ამ დაქანებაზე ვაგზეული და ვესტინგაუზის მუხრუპებში ვაშეებული ჰაერი სულშეკირებული ქშენით.

რომ შიშინებდა, ბუფერებში რომ ჯახრიდები ჭრაჲნობდენ, შგზავრებს : և სენდებოდათ, რომ სადღაც არის დაეიწყებული ღმერჩენი ჭრაჲნდებდენ: — ა, თუ ძალა და მაღლი აქვს, ახლა შეეკეშისძინა...  
შემომარტივება

ახლა ელმავალი მიცურავს ამ აღმართში მთის ბილიკივით დაკლაკნილ ლიანდაგზე ნანაურად და ხანდახან თუ აზუზენდება მოსახვევის პიკეტისთან იგისტოს სიცხით გულამლერულ კრაზანასავით.

უოტაც და ქართლის ველებშიც ამოიდგამენ ფეხს ეს თავმომწონე მაშლებივით აფხორილი ორთქლმავლები, საკუამურთან რომ უზარმაზარი ფანარი დარღიმანდულად შემოუდგამო და იმაყი ოხერით, ქოშინითა და ერთის აშშით შემოდიან სადგურებში.

ბევრი რამ ეშლებოდა თინას ბაეშობისას, მაგრამ ორი რამ მაინც განსაკუთრებით: ქარის მიზეზი, ევონა, ხევბი იყო და, მატარებლის შემოსელისას რომ ხალხი სადგურში ირეოდა, ესეც ორთქლმავლის ბრალი ეგონა.

ხევბი რომ არ ირჩეოდენ და ორთქლმავლები არ ქოშინობდენ, ქვეყანაზე არც ქარი იქნებოდა და სადგურებშიც ხალხი არ იარეოდა.

ახლა ელექტრომავლები ვაეკაცებივით მოადგენ ტფილის და ორთქლმავალთა ძველი პატრიოტი მემანქანენი დაცინებით საქათმეებს ეძახიან მათ. თან ულვაშებში ელიმებათ და ფიქრობენ გუნებაში:

— დაიცათ, შვილონიავ, უოტაც დაიცათ და ვნახავთ, რომ ეგ თქვენი საქათმეები გზაში უშნოდ გარჩილიყვნენ და ისეც ჩვენი მამლაყინწერას ამოსატანი გამხდარიყვნენ!..

თინას გაეღმია.

განა ელექტრომავალიც კაციეთ როულად არ არის ნაგები?

ისიც ადამიანიერთ ხდება ავად და შეკეთება უნდა. იმიტომ ქარხანაც უნდა ვარდათ ქმნას, ხალხიც, ინკურებიც. აღარ კმარა არც ის ცოდნა და გამოსდილება, არც ის საამქროები და საოსტატოები, ყოველივე ეს დაბაბულ მუშაობას, დაზიდულ ყურადღებასა და ენერგიის მოითხოვს. საჭიროა ყოველი წუთის, ყოველი მუშის, ყოველი დაზეისა და წინადადების ანგარიშზე ღლება. ყველაფურს გამოყენება უნდა, ყოველ შესაძლებლობას — მომენტს, ცოცხალ ძალას, საამქროებს. გარდაქმნა არა შევნებით, — მარტო შევნება როდი კმარა, — შეერქნებითაც. ათვისების უნარიანობითაც.

ლითონთმცოდნეობაში არის თეორია ლითონის დაღალვისა.

პასუხსავებ აღვილებში, იქ, სადაც მანქანის დეტალი განიცდის გამჭიმავ და მკუმშავ ძალათა ცვალებადობას, ფოლადი იღლება და ეს დაღალვა მის დეფორმაციაში გამოიხატება.

თუ ეს ასეა, რაა გასაკუირვალი, რომ თინაც დაიღალა?

განა ისიც ასეთსავე საპასუხისმგებლო აღვილას არ მუშაობს?

და ამ თინამ, რომელსაც ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გამოიხარიშებული თავის ნახაზებში, გრაფიკებში და საამქროში, ერთი რამ მაინც ეყრ გაითვალისწინა. ეს ერთი რამ ის იყო, რომ მას დაუკვირდა: ადამიანი რეინა ამ არის და თინაც ხომ ადამიანი იყო? პილუარიტიკა

ძილი გაუტყდა, წონასწორობას ხშირად ჰქარაგავდა, განდა და ფერ-თან და წონასწორობასთან ერთად დაპქარება უნარი ზუსტი და მრეკიც მოქმედებისა.

პირელ ხანებში არ ამხელდა, სცვენოდა ამ სენის ინტელიგენტურობისა, მაგრამ ქარხნის დირექტორი ამხ. ასურაგა მხოლოდ დაზებული, სამჭროებზე და მანქანებზე როდი ზრუნველი. მას საზრუნველ უფრო ძვირფასი რამ ეცარა და ეს ძეირფასი მისი მუშები და ტექნიკური პერსონალი იყო.

ერთი თვის წინად, თინა სამხაზეელოში რომ რაღაც რომული კონ-  
ტრუქციის დაზგის ნახაზე მუშაობდა, თითვის, ეს გასატიალებელი თა-  
ვის, ნებაზე ვერ დაიყოლია, ხელი შეცემულივით უკანკალებდა და  
რაიმისდევირსა და ოფიცინას ზუსტად ვერ ხმარობდა.

ასკურავებ უცქირა მდის მუშაობას, უცქირა. მერე უეტრად წამოდგა-  
კომიქებით დაკრული დაფა ნახაზით ხელიღან უსიტყვოდ გამოაცალა და-  
კადელზე რომ მიაყუდა, სოქა:

— Տես առ Մյոմլեմա, օմիանացու!.. Յոնց պահանջ ուշաբնեմքն ու պահանջութեամբնեմքն... Եզալ յրտու տաստ յոնձալուլութեամ մուգիսահը... Մոյշեմիացը!..

— კი, მაგრამ... — სოჭვა, მაგრამ აშე. ასკურავამ კატეგორიულად ვარყვალტრინა:

— „მაგრამები“ მე არ ვიცი... ჩევნთვის, ბოლშევიკებისათვის, „მაგრამები“ არ არსებობს. ხეალიდან შენს თანამდებობას ურიც შულცი ასრულებს... სხვა ხომ არაფერი გაქვს სათქმელი? — და დაბნეულ ქალისაგან პასუხი რომ ცეკვა მიიღო, თეოტონევე განაგრძო: — „მაგრამებზე“ კი ერთი თესი შემდეგ მოვილაპარაკოთ! — თექვა და, გარეთ რომ გავიდა, კარის ღონიერად მიხურვის გამო ვაგონის ძველი ფიცრებით ჭრელად იქველილმა კუდელმა ჩხეება დაიწყო და ნახაზების ზემოდ ჩამოკიდებული ლენინის პორტრეტიც მასთან ერთად დაირჩა.

თინა ბოლომდე შეინი არ დამორჩილდა დირქტორის ბრძანებას.

დანიშნულ ვადასე ერთი დღით ადრე ჩამოვიდა და ამიტომ არ ჩქარობდა, გარ ბერავდა ჩარხანაში გამოჩენას.

ის ისევ კარგად არის. ღონე ერთისო, რომ იტყვიან, ისეა ახლა. ხელა  
ას უკანქალებს, სიცოცხლე სჩედეს ძარღვებში და მოჰკარებული ორგა-  
ნიული ენერგია მექანიკურ ენერგიით გარდავშნას მოითხოვს.

ხვალიდან ისევ საამქროები, მუშები, ლუმელები და გულში იჭვიანობის გრძნობამ ციცასავით გამჭვალა, რომ მის საამქროში ამ ერთი თვის ჯანმაღლობაში, ის კი არა, სხვა იძლეოდა განკარგულებებს.

რა უყოთ რომ ეს სხვა მისი თანაშემწერ ისტატი ერთ შეტაცია. შაინც სხეა და გაახსენდა:

იქ, დასასერებელ სახლში, პენსიაში გასულ მოხლე მასწავლებლის გვლის ტკიცილი:

— ახლაც, ახლაც ვერ გამიცელია დამშეიღების უკანასიანი გეგმით! მომესმის თუ არა ბავშების ერთამული, შზად ვარ ვიტირო და, რომ ვერ ვტირო, გავტარებივარ ზორს, რომ ეს ურიამული არ გავიგონო.

თინა სამი წელიწადია მუშაობს ქარხანაში და ასე უჭირს უმისობა, — აა უნდა დამართონდა იმ მასწავლებელს, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაუტარებია ბავშებში?

სამი წელიწადი...

სამი უმაწევილური წელიწადი ქარხანაში გატარებული!

მერე როგორი წლები? ეს წლები ცალი მხარით პირველ ხუთწლედა ებჯინება და მეორეთი მეორეს. და ეს სამი, გმირული თავგამწირულებით დაძაბული წელიწადი სამი დღე ხომ არ არის, რომ ეგრე იოლად ჩაერა!...

— აჩინ კარაში!.. ზერ გუტი!.. გუტი!.. — კარქია, კამერად, ზალიან ქარქი!.. — ამოცურდა ფიქრებში მოულოდნელად მისი მეზობელი და ახლა მოადგილე საამჭროში ერთ შელცი, რომელსაც მუშები ზედმეტ სახელად „ზერგუთას“ ეძახდენ.

თინას გაელიმა.

შელცი იმპერიალისტური ომის დროს ჯერ კიდევ ჩვიდმეტის წლის იყო, სამხედრო ფლოტში რომ გაიწეოს. ის იუნგად იქმნა გამწესებული ნაღმოსანზე. ნაღმოსანს სახელად „სტელლა“ ერქვა და ახლა ეს სახელი თინას შეარქვა. ქარხანაში რატომდაც მოეწონათ ეს სახელი და თინას ცველა სტელლას ეძახდა.

ერთ ღამეს „სტელლას“ კომანდამ ბრძანება მიიღო.

გემს ჰაერ ზღვის პირები უნდა მოეთარება და მით მეფის რესერვის სამხედრო ძალები კავეასიის ფრონტზე გადმოსროლით დაესუსტებინა.

შეაღმეს გადასული იყო, ბოსფორს გამოცდენილ გემს რომ ლელვამ მოუსწორო.

ძლიერმა შტორმმა იყი ტრაპიზონის სანახებთან მოაგდო და ნაღმს რომ დააჯიხა, შელცს ევრნა, ზღვა გასკდა და ჩანთქმას უპირებსო.

აფეთქებული გემი წყალში რომ წავიდა, მატროსები ზღვაში გადაციებულ.

უკან გემის ქვაბები რიგრიგად ფეთქდებოდა და წითელი აღი ვარსკვლავიან ღამეს ხარბად ლოკაცია.

სამი საათი იმამ ღამეში და ზღვაში დაკარგულმა აღამიანა, სამშა გაუთავებელმა საათმა მოლია ეს სკეარგამი ღამე და ეს ტიალი ზღვა შაინც ისევ უნაპირო იყო და დაუნდობელი.

რომ გათენდა, ტალღით შეგდებულმა შეულუმა ნაპირს მოჰკირ აფალი-  
ქს მუდმივი მწევინით ზემოსილი თეთრშენობიანი გორაქშიც ერთი ასაღ  
შიმზიდეელი იყო და ტებილი!

ნაპირამდე სამი ინგლისური მილი მაინც იქნებოდა პრაფლიური სტერეოფის  
დანახვამ გულში იმედი გააცოცხლა და შეულუ არა აღამიანურის ძალით  
დაძაბული ებრძოდა ტალღებს ყოველი მტეაველისათვის. ხან ზურგზე  
იწვა, ხან სარულშე იდგა, ხან ბაყაყურით მიდიოდა და ხან მხარულით,  
მაგრამ ზეირთები უკან ისროდენ და ნაპირს არ ანებებდენ.

ეს ჯერ უნახავი მწეანე მიწაზე ცრცილი იყო ახლა მის-  
თვის, მაგრამ რომ კერ აღწევდა! ხან ეცლეობდა, ხან ზედ ეცემდა, ტალ-  
ღით შეგორებული, მაგრამ გათოშალი და ნიათგაცლილი ფეხს ზედ კერ  
ციდებდა. ისევ ჩარეცხილი, ზღვაში რომ ვარდებოდა, კიოდა განწირუ-  
ლი ხმით, ტირიდა სასოწარკვეთილი და ცრემლებს ისევ ზღვა პანდა,  
კივილი ქარს მიკერნდა.

არაფერი რომ არ გაუვიდა, გადასწყვიტა ისრიობა და არ ღირს ბრძო-  
ლა, მაგრამ ამ დროს უკანიდან ზურილით წამოქანებულმა ტალღამ დაი-  
ხვა, წაიღო და ლექავათ მოქნეული ნაპირზე რომ გაისროლა, მან ისევ  
იგრძნო ეს ტებილი მიწა. მიწაზე დაცემა და სიცოცხლის იმედის გაღვი-  
ძება ერთი იყო — ეს იმედი ნაპერწყალიერით აინთო ტანში, გაათბო და  
ხეინჭება და მიწას ფრინხილებით ჩაეტანა. უკან წასულმა ტალღამ, მარ-  
ტო რომ დატოვა, პრეტყველი სიხარულით აწიკვინებული მუხლის თა-  
ვებზე თოხით გაფორმოხდა, რომ შემდეგი ტალღა არ წამოსწეოდა და ისევ  
ზღვაში არ ჩაერეცხა.

ჩაე რომ სამშეიღობოს დაიგულა, წამოდგა, ათრთოლებული და და-  
ლურჯებული ტანი ძლიერ აითხოვა, ფრინხილებიდან წამოსული სიხლით  
შეღებილი მკლავები ცად აიშვირა და დაკოდილი ხარისით ამაზრზენად  
დაიღმუელა.

რომ გამოიტევა, პოსპიტალში იყო.

ოთხი წელიწადი გაატარა მან საქართველოში სამხედრო ტუკელ-  
ოთხშია წელიწადმა დაავაეკაცა იგი და ტუკეობამ დაამწიფა ნააღრევად.

რომ რომ გათავდა, სამშობლოში დაბრუნდა.

ეენის ამბებში მონაწილეობის გამო ბეწვზე გადურჩა დახვრეტის და  
სხვა შეცტენდელებთან ერთად საბჭოთა კავშირში იქმნა გადმოსახლებუ-  
ლი. თან ოთხი წლის გრეტა ახლდა. იქ, ვენაში, უპატრონოდ დარჩა ბა-  
რიკადებზე მოკლული აღამიანის საფლავი. ეს აღამიანი ცოლი იყო შეუ-  
ცისა და დედა გრეტას.

რეოლუციონერი სიმღერებით გაასეენს შეცტენდელებმა ვრეტას  
დედა. ქმარი კერ დაესწრო ცოლის დასთულავებას, რაღაც ბარიკადებზე  
დარაჯად იდგა. სამახსოვროდ ჭრილობაზე შეხსნილი სისხლიანი ბინტი  
გაუგზავნა საფლავში ჩასატანად. და ახლა აქ, საქართველოში, რომ ასეუ-

დება ძეირუასი შეგობარი, გულს სისხლი ეცლება და ქასსხლი, ის სისხლია, მისმა ცოლმა იქ რომ დაღვარა, ვენის ასფრთზე

სამშობლოც მისთვის იმ ნაპირიეთ იქცა, იქ, ტრაპიზონთან, ლელვის ვამო რომ ვერ აღწევდა. ზღვის ტალღების მაგიერ, ჰუმურაზე კურუმის ტალღები ჩატარებული არ გავიდა.

საქართველოში შულუმა მაღე გაიხსენა აქაური ენა, გრეტა ბავშვი იყო და ენა ქართულად აქ აიდგა.

ორთქლმავალთა შექეთებელ ქარხანაში დაიწყო მან მუშაობა, მაგრამ ერთი ცუდი სენი დასჩემდა: სევდა რომ წამოუცლიდა, მერე, შვიდობით, — ავიწყდებოდა ყველაფერი: შეიღი, ლირსება, აღამიანობა და ტავერნებსა და პროსტიტუტებში ნაწვალები მატროსული სისხლი, ბარიკადებშე ბრძოლებს ნაჩვევი გული ბორგავდა, ბობოქჩობდა და საკუთარი გრძნობათა ღელვა ისროდა მას მოქნეულ ზეირთიერი, აჩწევდა ნაფოტიერი.

ამტრევდა ყველაფერს, რაც ხელში მოხედებოდა: დგამს, ჭრის და სამოსშემოვლეჯალი ყვიროდა დაჭრილი ნადირიეთ:

— აქვენ კულტურულად ცხოვრობთ!.. სოციალიზმს აშენებთ!.. პლაზებშე დაბრძანდებით, სპორტით ერთობით... თქვენ ლაბორატორიებში მუშაობთ, სოციალიზმს აშენებთ... ბიბლიოთეკები, გაზეთები, რუმბა და ჯაზი... თავს ინებიერებთ...

და ეს ლანძლვა და სიმწრის ქილთა ღრმენა იმ დიდი კეთილშობილი შეტით იყო გამოწვეული, რომ იქ, მის სამშობლოში, კომპარტია იატაქ-ქვეშ იყო ჩასული და ხელისუფლება პროლეტარიატს არ ეკუთვნოდა.

რაკოში....

ტელმანი...

დიმიტრიოვი...

— მათეას, მათეას, ჩვენ ვამაყობთ შენით!.. — ბლაოდა იგი გახელებული რაკოშის დის წამოძახილს სასამართლოში, და ქრისტ ეგონა, ეს მოწოდება გამოძახილის გამოძახილად გადადიოდა მილიონების გულიდან გულში.

— მათეას, ჩვენ ვამაყობთ შენით!..

— თელმან, შენთან ვართ, თელმან! — ყვიროდა იგი გაგოროზებული, ბლაოდა ქანცის მილევეამდე და, ნიაბეგამოცლილი სახლში რომ მიძყავდათ ამხანავებს, ერთადერთი არსება, ვისაც მისი დაშოშმინება შეეძლო, ეს გრეტა იყო. ის რომ მამას ჩაეცეოდა და თმებში ჩაფრენილი გულში მიიკრავდა, ყოფილი მატროსი მშვიდდებოდა და მოთვინიერებულ ლომივით ბრდლვინავდა ალექსიანად:

— აა, ჩემო ფუნქცია მტრები.. აა, ჩემო შვილო!.. მოიცა, გრეტხენ, მოიცა, თვალებში გაყოცო!.. — და ერთის წუთის წინ აბობოქრებულსა და გამდვინვარებულ ადამიანს ვერავინ სცნობდა.

თინას უყვარდა იგი ამ ქედმაღალი გაქანებისათვის და სშილოს შეუძლებისა:

— რანდირი გერმანელია ეს კაცი?

სარმანული

ეს კაცი მართლაც არ ჰგავდა თინას წარმოღვენილ გერმანელს შეუძლებისა და წარმოღვენა რომ არ ეთანხმებოდა ამ სინამდვილეს, დაასკურიდა:

— ეს, ალბათ, მატრიცობაში გაღალებული სისხლი გადაპირების ზღვის თეალურედენ სიერცეებს და ბობოქობს მასთან ერთად.

თინას გაეღიმა ამ შედარებაზე და, პირაღმა რომ გაღმობრუნდა, უიცად გამქრა ეს მოგონებები, ფიქრები და აზრები, თავში რომ ამდენსანს ირეოდა.

### 3

წინ ეკრანივით ამართულ თეორ კედელზე სისაცილო ფუსფუსით დარბოლენ აქეთ-იქით დარაბის ხერელში შემომძვრალი ნეგატივური ლანდები ქუჩაში მოსიარულეთა.

ერთხანს უცქირა ამ ლანდებს თინამ, უცქირა, შერე თანდათან გაიტაცა და თვითონაც ჩაერია მათ თამაშში.

ეს ლანდები გორჩაშე დაშეებულ საფეხურებიან ბილიკიდან შემოდიოდენ რთახში და თინა ხან უცნოდა, ხან უჯავრდებოდა, ებუტებოდა მათ და ბოლოს, ორი პატარა ლანდი რომ გამოჩნდა ზურგზე მოკიდებული ჩანთებით, ცალ ხელს დაეყრდნო, ნახევრად წამოიწია და ისე დაემუქრა მათ თათის ქვევით.

— ციც!.. — და, ბავშები რაღაც შემთხვევეითი თანხედენის გამო მართლა რომ გაიქცენ, თინა სიცილით ბალიშზე გადაიქცა და რომ გაყუჩდა, საიდანლაც ორკესტრის მიყრუებული ხმა მოესმა.

— უსინდისოები!.. უსინდისოები!.. — ვული მოუვიდა გაქცეულ ლანდებზე. — თეითონ იქით გაიქცენ და მე ვქ დამტოვეს! — სოქეა მან ამიზეზებული ბავშივით ხმამაღლა და წამოხტა. მუხლებამდე მოშიშელებული ჩამოქნილი ფეხები ძირს გადმოჰკიდა, ლოვინ ქვეშ წვერებით მოაფათერა, მაგრამ, რომ ვერ ნახა, გაახსენდა: ფოსტლები ჯერ ისევ ჩემოდანში ჰქონდა.

ჩემოდანი საფეხხელთან იდო მუცულგაბერილ მატრაშის ქვეშ.

მუსიკის ხმა რომ მიწყდა, განზრახვაზე ხელი იიღო და იღარ წამოდვა. მუხლებზე ხელები შესაქცევად დაიწყო და გადმოკიდებულ ლონიერ ფეხებს ბავშივით იქნედა.

უცნაურია!

აი თინა...

ქარხნის ინექნერი, ოცდაოთხი წლის მოწიფეული ქალი. ამ ხნის ქალებს ხნიერ ქალიშვილებს ეძახდენ ერთ დროს და ახლა ეს ხანდაზმული პერიან-გისამარა ქალი ლოვინზე ჩამომჯდარა და ფეხებს ბავშივით იქნებს. იქნებს ისე, თითქოს აჩავითარი საქმე ქვეყანაზე არ ჰქონდეს, თითქოს ის და-

მკერელი ინცენტი კი არა, ვიღაც ხელთეთი „ბარიში“ ჩემს, ფეხებს ისე იქნეს, თითქოს მართლაც ფეხებზე ეყიდოს ზედამდებარება.

— ერთა ნეტავ ცალი თვალით მაინც შეახედა ქართველურავს, თუ რა კულტურულად ერთობა მისი ქარხნის ინცენტის მიზანების პერანგში აღორძინდ ტანზე რომ დაიხედა, თვითონვე გაეცინა თავის ახირებულ სურვილზე. ლონიერი ფეხები კიდევ უფრო მოიქნია და... ასკურავა!.. ასკურავ!.. რა არის ეს?.. რა ეშვავი შეუჯდა დღეს ამ ახტავანი გოგოს, ტყის ტრანსტელად რომ უვლის ტანში!.. ან რა არის ეს. რათ უნდა, რომ ნეტარებისავან თვალდაზუსტული იღიმებოდეს? თუ უნდა, ეინ არის მერქ ხელის შემსლელი? თვალები დახუჭა და ტკბილად გაეღიმა...

უეცრად სახეზე ბინდმა გადაუბინა.

შებლის კუნთები შევმეხნა.

იქ, ქობულეთში ამს. ასკურავს ცოლიც იყო.

ჭალი კიცელა... ხანში შესული გურული ჭალი. ფეხმსხვილი და თავზე კაშკაშა წარული. აბრეშუმები... მანიური... ხელში შინდის ხლისტი. ახალგაზრდა ყმაწვილები... და ჭუჩის ფოტოგრაფიან სულ სურათებს იღებდა.

— დიდაა, ჩემი სიკედილი... — და უცნაური, ყურისთვის უსიამოვნო პროექტიული ქართული.

ქმართან წერილი გამოატანა.

ქმარი დღე და ღამეს ასწორებს და ის კი კურორტებზეა. არაუკრი სტაფა და სულ ოხრავს, სულ იყოდ არის.

— რა ჩემი საქმეა!.. ასკურავამ იცოდეს და მისმა ცოლმა..

ფიქრი გადირევა.

წუხელ შეული დახედა სადგურზე ტაქსომოტორით.

შელცმა ბარები ამოუტანა და ოთახში ლოგინის საფურხელთან რომ გერმანული წესრიგით დაალაგა, თინამ შეხედა ერის და არ ესმის, რატომ არის, რომ ეს კაცი თვალს ეკრ უსწორებს?

— სხვა, ერთი... ქარხანაში რა ამბებია?..

გერმანელმა სიტყვა ბანზე აუგდო, ქარხანაში წასელა მოიმიზება, ეშინოდა არ დაქვეითნებოდა.

თინასაც უნდოდა თან გამჟღალოდა, ენახა თავისი სამშრო, მაგრამ მოადგილემ ურჩია მოესცენა ამ ღამით, დალილობამაც თავისი გაიტანა.

— აღმათ, სწყინს, რომ ისევ ბატონ-პატრონი არ იქნება!.. რომ ხელიდან ისევ მე უნდა დამემორისოს! — გაიფიქრა და დიდად არ დაიჩინა ეს სურვილი.

შელცმა არც შეულია თავის ბინაში, იქვე, თინას ოთახის გვერდით რომ იყო. გრძელასთვის არც დაუხვდავს, ისე გაიქცა სამუშაოზე.

თინა მარტო რომ ღარჩა, უნდოდა თვითონ შესულიყო მეგობრის ოთახში, ბავშისთვის დაეხედა, მაგრამ ვერც ეს სურვილი მოიყვანა სი-

სტულეში, ძილმა კისერი მოსწყვეიტა და ის იყო ბურანში უსდგა ჩატალიკო, რომ თავს ძალა დაატანა, ტანთ საჩქაროდ გაიხადა და, კრითი თვით ატრავებულმა ლოგიტა ნაჩეცეო სიამით რომ ჩაიხვა, შესტეპი წერას გადღურავს, თვითონ შემოეხედა ტილოს სარჩულის სააშე ცაფების მიზანი და, სანამ ტანით მის გათბობას მოასწრებდა, დაეძინა.

ახლა ამ დილით...

ბარგზე იდო მეტამბის პარკში შეერტოლი მისი ტენისის ჩოგი. მაცრავაზე რეკინისგზის საბარგო განყოფილების შტამპი იყო დაერტოლი.

„ტულისი (ჭიბულეთიდან)“.

გადაიზნიქა, ჩოგი ძირს გადმოაგდო და, მაცრავის ქვეშ ჩემოდნის განთავისუფლებას რომ აპირებდა, ჭურიდან ხმაური მოესმა.

ცატა ხანიც და ეს ხმაური სასულე ორკესტრის გრიალმა დააყრეა.

— ორკესტრის გრიალში ჭინჯისავით შეპრილი ტიმპანი მისი გულივით ხალისიად ულარტონობდა და ერთ ალიაქთოს აყენებდა.

— სად გამიგონია ეს მარში?

რომ ეკრ გაიხსენა.

— ტრაა-რა-რა-რამ!.. ტრაა-რა-რამ!.. — დასძახა უდარდელად და ჩამშლილი თვებით თავის გაქნევით უკან გადიყარა. შიშეელი ტერცი ია-რავზე რომ არ დაესვარა, ჭუსლებზე შედვა და ტორტმანით ფანჯარას-თან რომ მიირბინა, ზაფხულის განმავლობაში გამომშრალი პარკეტი სასრებიერი ატეაცუნდა მისი სიმძიმის ქვეშ.

დარაბის გალება და დილის სინათლის შემოსხმა ერთი იყო, ფანჯრის გალება და მუსიკის გრიალის შემოხვევებაც.

სინათლე და მუსიკა ერთად რომ შემოასკდა, მკლავები ალტაცებით ვაშალა და ისე შეეგება ახალ დღეს.

— ახ, რა კარგია ეს ოხერი სიცოცხლე!.. — ამოხდა თეატრალურად და, მოსილვავებულ ნეტარებისაგან თავი რომ გაიქნია, თმები ისევ სახეზე ჩამოეშალა.

— სიცოცხლე!.. სიცოცხლე!.. — სიცოცხლე!.. — გრიალებდა ხალისიანი ოხერით ორკესტრი სულის ჩაუთქმელად.

თეალები ტებილად მილულა და, თითქოს ეს მილულა იყო საკირო, რომ გახსენებოდა: ამ მარშს ქარხნის კომედიირი აგრიალებდა პირველ მაისობაზე და მწერილი ჩამდგარი თიხა, თეითონ კი არ მიაბიჯებდა ფეხს რუსთაველის პრიაშვერზე, — მუსიკა მიაქანებდა.

ეს „ვაშა“, ეს გუგუნი ხალხისა, იქ კი არ არის, — თეითონ არის, მისი სიყმაწერილე, გულის ცემა და თქიალი სისხლისა მუსიკის რიტმით დაზიანებულ ძარღვებში.

ეს ერთანტელიც, ახლა რომ ტანში უდგას და ათროთოლებს, სიხარულია სიცოცხლისა და ეს სიხარული გამოძახილია იმ პირველ მაისობაზე განცდილ ურუანტელისა.

ამეზარი თმები თავის გაქნევით ისევ უკან რომ გადღეარი /უფალი გა-  
ახილა — აბლად ამოსული, ონდავ შეგრილებულ თუშის ცრისტით წი-  
თელი მხე იქრის ჯინჯილივით აეღარუნდა ცაში და ვაროანზა მისი  
აბრუცული, ჯერ მოუტეხავი გულმკრდი, ქალოვნური /ზრდის მო-  
ქნილი ბეჭები და წელზე სასაცილოდ აკეცილი და მაღლად შეძოშვდარი  
ღამის პერანგი.

მერე მოიმართა და უეცრად ფოლადის გამართულ რესორივით შეხტა  
დასტანდაზე, წამოშიშვლებული, ოდნავ აფლდასხმული სხეული სარ-  
ქმლის საყრდენ თარის რომ უსიამოვნოდ აეკრა, წამოიწია, პერანგი ქვეშ  
ამოიკეცა და გარედ სსე გაიხედა.

ჭუჩაში საშასამდე გლეხი მიდიოდა ჯვროდ.

— ეინ არიან? სად მიღიან?

მისი ჟურალება ერთმა ხელსურმა მიიქცა. შეწყვისი უნდა ყოფილიყო-  
ისარივით ამართულსა და განიერ მხარბეჭიანს გრძელი კომბალი მხარზე  
ვაედო და შებლზე ჩამოშლილ ფაფაზის ბეჭვებში შავი თვალები მეტე-  
ლებივით ენთო. ვერდით უზარმაზარი ბომბორია ცხვრის ძალი მიიზ-  
ლაზნებოდა და კუდამოძუებული დამტრობილ თვალებს სკურეით აქეთ-  
იქით აცეცებდა.

იქე, ტროტუარზე, მხარდამხარ არი ცერისტოლა ჩანთიანი ბავში  
მიშვებოდა. ბავშები ფეხს ევრ უსწორებდენ შეწყვისს და, გაოცებულნი  
რომ ცამეროდენ ამ უცნაური ჩამოშლობის კაცა და მის ბომბორა  
ძალის, გულამოვარდინილ ძუძულით მისდევდენ.

თინამ შეხედა ბავშებს და იცნო, კი არ იცნო, მიხვდა, — ეს ისინი  
აყვნენ, წელან რომ მათი ლანდები კედელზე დაფრთხო.

— ცაც!.. ცაც!.. — გაუჯავრდა თინა ახლა, ლანდებს კი არა, ბავშებს  
და გაეცინა.

მათ არც გაუგონიათ მისი ხმა.

ისინი ერთგულად აღგამდენ ფეხს, მუსიკის რიტმს აყოლებულნი, და,  
რომ ჩამორჩებოდენ, ისევ სიჩბილით ეწეოდენ ამ უცნაურ კაცს და აშ-  
ლილ ფეხს ისევ მუსიკის უსწორებდენ.

წინა რიგები თვალს იყო მიფარებული და ეს ნაცნობი მარში იქიდან  
მოისმოდა.

— ცამბა-ცამბა!.. ცამბა-ცამბა!.. — აპყვა თინაც და ფანჯარაზე გა-  
დაისინქა, რომ წინა რიგები დაეწახა, მაგრამ სიშორის გამო ვერ იცნო  
შეწინავენი.

მხეზე აელვარებულმა თითბრის გაპრიალებულმა საკრავებში, დრო-  
შებმა და ლოზუნებში თვალი სადღესასწაულოდ მოსტაცეს.

— ცამბა-ცამბა!.. ცამბა-ცამბა!.. — დაიძახა მან და უკან გადაკიდე-  
ბული მარჯვენა ფეხის შიშველ ტერფს მუსიკის ტაქტს ჩხევით აყო-  
ლებდა.

თინას ბავშობიდანვე თავდავიწყებით უკვარდა სასულე თოვლის გასხვანის ეს ხალისიანი გრიალი და სახანძრო რაზმის ღორიოტორების თეატროლური განგაში.

რატომლაც ბავშობაში დეზერტირების ბაზარზე ნაჟენს თავს სუსტებული გა-ახსენდა.

ბალაგანის წინ ფეხილით შეფეოქილი ქლოუნი ტულუმბას აგრია-ლებდა და ირგვლივ შემოხვეული ბრბოს „ძალზე ინტელიგენტური“ რუ-სულით გადასძხოდა:

— Интересный спектакль! Сеанс начинается!.. Милостивые госуда-  
дари и государыни, спешите! Единственный в своем роде! Потряса-  
ющий аттракцион! Паук, пожирающий мужчину во цвете лет! Спе-  
шите, спешите, спешите!.. Полный аншлаг!..

და გლეხები სახრეებით, სოფლიდან ჩამოსული მანდილიანი დედაკა-  
ცები, მეტომრები, სპეცულანტები, ჩარჩები, დალალები და ჯიბგირები  
აწყდებოდენ ბალაგანს.

ანშლანგი მართლაც სრული იყო.

ბალაგანის შესასელელ კარში ქვიშისფერი პარუსინის ფარდა იყო  
ჩამოფარებული. ფარდაგზე წითელი სატინის უზარმაზარი ნალი იყო და-  
კერებული ზედ გადაჯვარედინებული სატინისავე მათრახებით.

იყერის ტანისამოსში გამოწყობილი ანტრეპრენიორი კარებში ბილე-  
თებს ჰყიდდა — თითო ბილეთს თუ მიღიონად და იქვე, ბალაგანის გერ-  
დით, პისუართან, დანით მოკლული პროსტიტუტი ეგდო რუმბივით. გა-  
სიებული.

ახლაც, ეს დეზერტირება რომ ასენდება, ცუირში სცემს სელიოდების,  
ოთლოვორმისა და ამიაკის სუნი.

დეზერტირების მაგიერ ახლა საკოლმეურნეო ბაზარია გამართული და  
რადიო მოუწოდებს ხალხს კოლექტიურ მეურნეობისა და სოციალისტურ  
მშენებლობისაკენ.

— ცამბა-ცამბა!.. ცამბა-ცამბა!.. — გრიალებდა ორკესტრი და უეცრად  
იგრინო... გრძნობა ისეთი, თითქოს აშიშვლებენ...

შემფოთებულმა მოიხედა — მწყემსი ხარბად ანთებული თეალებით  
მისჩერებოდა პერანგის ამირა ქალს.

თინამ შეპკილა, მკერდში ხელი იტაცა, შილიფად მოხსნილი საკინე  
ყელამდე აიწია, მაგრამ ახლა, მცხლის თავები რომ მოუშიშელდა, დარ-  
ცხვენილი კისკისით ოთახის სიღრმეში შეიწია და თან გათამამებულ ვარ-  
კაცს თვალს არ აშორებდა.

მწყემსს კისერი მისკენ პქონდა მოქცეული და, ასე რომ მიღიოდა,  
უეცრად ფეხი რაღაცას წაპქრა და კინაღამ წიოქცა.

თინა კიდევ უფრო კისკისდა.

— ეგეც შენ!.. ეგეც შენ!.. თვალი სათვალედ მოსმიშვილი და კისერს არ მოიტეხ! — ნიშნს უგებდა ვაეყაცს და თან ბავშვური უფლისობით გა-გრძისებულმა ფანჯრის საყრდენს მუშტის ცემა და შემდეგ და ფეხებში წამოდებული რუსული ნალი რომ დაინახა, აიღო, შეატრიალ-შემო-ტრიალა.

— შინ გამომადგება! — გაიტიქრა და ნიეთი ჯიბეში ჩაიდო.

თინა უცემროდა ხევსურს და გრძობა რაღაც დილისა წიავიდა ძარ-ლებში თბილად.

განა ქალი მზესავით არ არის? სწვავს, — უხარია, სწვავს იმიტომ, რომ არ დასწრას არ შეუძლია.

## 4

ქალაქს გახედა.

მთაწმინდაზე სათამაშოსავით გადმოდგმული ფუნიკულიორის თეთრი შენობა სექტემბრის მზეში ბანაობდა გამაყივით ჩამოყიდებული ლიან-დაგი თვალის მომქრელად ბრწყინავდა.

აგრ იქ, უზარმაშარი თეთრი შენობა რომ მოსჩანს, — უნივერსიტე-ტია. ამ რამდენიმე თვეის წინად იქ დისპეტჩერო, „ვეფხის-ტყაოს-ნის“ ირგვლივ გამართულს, და...

— უჟკ, რა მოსაწყენი ხალხია ეს ფილოლოგები!.. — მიაფურქნა ფიქ-რებში უადგილოდ ამოტივტიცებული სახე, მაგრამ არა გაუვიდა რა. სახე მაინც ამოძრა და წინ დაუდგა...

იქ ერთი ყმაწვილი ნახა... მიწასხომის ეკონომისტი. ძლიერ მოეწონა, მაგრამ შემდეგ არ შეცველრია და დაავიწყდა.

გუშინ, ქობულეთის სადგურში ჩამომდგარ, ხალხით გაკედილ მატა-რებელზე ბილეთი საერთაშორისო ვაგონშიც დიდის ხათრითა და დავა-ლებით იშვია.

კაბეში რომ შეეიდა, ეს ყმაწვილი ბადენილი სისმარივით გამოეცხადა. ჩაქერი საბჭოთა მამულიდან მოდიოდა.

ეს რბილად დარწეული მყუდრო და „ვამხრწნელად“ მომქმედი კომ-ფორტაბელური პულმანის ვაგონი აღვიერდა გულში ნაპერწელად შე-მოპარულ კნებას.

ერთი თვით დასცენებული და მზის ცხუნვარებით სავსე ახალგაზრდა სხეული საამოდ იფშეინებოდა.

რეზო თანდათან ბნდებოდა მისი ეშით, სისალუქით და, ვაგონის ფანჯრაზე გადაყრდნობილნი, რიონპესის საცერივაციო არხიდან დაშვე-ბულ მილებს რომ გაიცემოდენ ცრთად, ვაემა ოდნავ ზედმეტად გაღ-მოხარი თავი, მაგრამ:

— უიც! — გაუჯავრდა თინა და ყმაწვილი რომ ბავშვი დამო-  
რჩილდა, დაენანა, შეებრალა კიდევ და თან უხაროდა იქ, გრძელ მუზე-  
ებულ კუნკულში.

სტატია 17

— კიდევ კარგი, ღამე რომ არ არის! — გაიფიქრა შემდეგობაზე ხის  
ფაიებიან და სარკეებით აბრკევიალებულ ორ ადგილიან კუპეს რომ  
თვალი შოალო.

რეზო — ეშიიანი და მაღალი. მინერდილ თეალებში იყო კულგარუ-  
ლი სევდა და გზნება ვაეური შემპარავი ენებისა.

— რა არის ეს? რატომ არის? — მაგრამ რა იყო რატომ, თითონაც  
არ იკოდა, არც თუ დიდად უძიებია.

— ეს სულ იმ ცერაგების ბრალია!.. ზლვისა და შისის!.. — და გადა-  
სწუვოტა:

— ისევ სპორტი... მეშაობა და... — ახლა ის ხევსური ამოცურდა  
ფიქრებში, მაგრამ თინამ ისიც მიაფუჩება და ზედ რუსთაველის სახელ-  
ბის თეატრის ჭრუ კედელი ააფარა თავისი ძელი, მეფის დროინდელი  
სამ-მეტრიანი წარწერით: „Радие и К“.

რალე პარფუმერიის ფირმა იყო ძეელად და მერე ეს „Радие и К“  
გაქანდა ორთქლმავლის კივილით გატაცებული ამ ტრანსპარანტით და-  
სახულ ლიანდაგებზე.

ორთქლმავალი მიაწვა ცისტერნების დასაყარგავამდე გაწვდილ შემა-  
დებნლობას და ჯახრიდების რახენი გაპყვა ბუფერიდან ბუფერს ისე, რო-  
გორც შესრის გასწერივ გატაცებული ჯონის რახრახი.

შარშან შემოდგომაზე, ქარხნიდან რომ ბრუნდებოდა, მისი ყურად-  
ღება ორმა ბავშვმა მიიცყრო.

ისინ მესერს მიურინობოდენ და უსაზღვრო სევდით გასცემურდენ  
სიერცეებზე დახარბებულ ორთქლმავლებს და განსაკუთრებით სამარავო  
ლიანდაგშე ჩამომდგარ ჯავშნიან მატარებელს.

თინა შედგა.

საუბარს ყური მიუგდო.

— ეს ლანაილი მატალებელია? — გაიკვირვა სამიოდე წლის ბიჭუნამ.

— იცი რა? — შეეკითხა მას ორიოდე წლით უფროსი გოგონა და თან  
ახსნას იყონებდა, რომ უმცროსი მეგობრის ცნობისმოყვარეობა დაეკმა-  
ყოფილებინა.

— ლა?

— ლა და... — გამოაჯავრა უფროსმა გოგონამ. — უწინ... უუკ, ისი  
წლის წინად თურმე ერთი გლახა კაცი იყო... დაძყანული და პირი სულ  
სისხლით ჰქინდა მოღლურული... სახელად ხემიშედ გრძელა... ხემწიფე ბე-  
შებს ამუშავებდა და პურს არ აღმერდა... მაგრან შემშები გაჯავრდენ, ჩა-  
სხდენ ასეთ მატარებელში... ხემწიფეს მოუზარა მოუმოვა და მოკლეს...

— ხემწიფე და აღის? — შეეყითხა პატარა და თან მუქრის საძირკველს ქუსლის ცემა დაუწყო.

— ხემწიფე?.. ხემწიფე?.. — გოგონამ თვითონაც ჭრი ეყრდნობა, მეტი, რაცა სთქვა და, პასუხი რომ იეშორებინა, ხეჭურა შემოწერს წაბაძვით ბრტყლად გაშალა და ისე დაუწყო ჩიჩინი ამხახავს:

— რა სულელი ხარ, ბიჭი, შენ, რა სულელი! ნეტავ ვაცოდე, ჰელა როდის ისწავლი!

ბიჭუნა გაიბურა ამ უსამართლო ლანძლვაზე და ტუჩები მიზეზიანად აიბზუა.

თინამ ვერ მოითმინა, პატარას ლოკაზე ხელი ალერსიანად მოუკაცენა და შეეყითხა:

— ვისი ბიჭი ხარ შენ, პატარავ?

— დედასი! — მიუგო მან უაპელაციოდ, მაგრამ მერე გაიანგარიშა, ალბათ, მამის საყვედლური გაახსენდა და გაასწორა:

— აღა, მამისი!

თინას გაეცინა და თვალებში აკოცა.

— ბავშვს არაფრად ჩაეგდია მისი კოცნა, მზოლოდ ოდნავ მოიგერია ეს აბეზარი ბიცოლა და მერე უეცრად:

— კუ-კუ-კუ!.. ჩიქი-ჩიქი!.. ჩიქი-ჩიქი!.. — დაიძახა და ორთქლმავლის დგენის გამოჯავერებით, იდაყვები რომ მოიქნია, დათვის ბელივით აბა-დუნებული გაიქცა.

— რა სულელია! — სთქვა გოგონამ დარბაისლურად ბიჭუნას ამ საქმიელზე.

— რას იზამ, მეგობარო!.. — ისეოთვე ტონით მიუგო თინამ და შერები კომიქტრი მწუხარებით იჩქეჩა.

როგორც იმ ბავშვს ხემწიფე, თინასაც პატარობისას ეს „Рамле и К“<sup>44</sup> აკორვებდა და ერ გაეგო, რას ნიშნავდა.

ახლა?

ახლა ეს სექტემბრის მიწურულის დილა ისე ჩვილია და სალბუნიანი!

ეს მხეც კვარივით ანთია ცაში და იღვენთება. გულშიც, ამ შეაზე გასახეობებული, იმდრინ სიხარულია და რაღაც ყრუ, გაურკვეველი სურვილი საკუთარი მომავლის, დღევანდელი დღის იქით გადახედვისა... ან რა არის ეს?.. თინა ისეა, თითქოს წუხელ კი არ ჩამოსულიყოს კურორტიდან... ეს გუშინდელი დღე კი არ არის, მოგონებებიდ რომ ეჯარება, ეს დღევანდელი დღეა. ისიც — ხვალინდელი დღე რომ გულს ეხეთქება, ისიც დღეს არის. გუშინ და ხვალე შეერთშელა და თინა ამ ორივე დღით განუშომლად დიდ დღევანდელობაშია შესული.

გუშინ დილით...

საალიონო ზღვა ურწყვად იყო ჩალურჯებული, მკაფე გამოინიცით ახორქლილი ზედაპირზე წყლისავე თეთრი დაკლაენილი ზღვის გარეთ /იშნი-ქებოდენ.

თინა უკანასენელად შედგაფუნდა ზღვაში ამ სისხმი ციცავის მიზნით შემოგორებული ტალღები მშრალ და ჯერ კიდევ ძილის ბურაბისაგან გამოურჩევედ ტანს ციცად რომ ეშეცებოდა, ჰკიოდა მოურიდებლად, ქაოდა უსირცხვილოდ, რაღვან პლატზე მის მეტი არავინ იყო, იქლა-ნებოდა და, როცა ერთმა მოზრდილმა ზეირთმა ფეხი გაბედულად გამო-აცალა და წააჭირა, თინა არ დანებდა, თავზე გადატლაშენებულ წყალს ქვეშ მარჯვედ გამოუქრა და სიცილით, ყიჯინით გაპკრა განიერი მხა-რული, წავიდა ზეირთიდან ზეირთზე გადაქნეული.

ნაპირს კარგა რომ მოშორდა, დაწვა პირალმა და ციცა და წყალს შეა-ნაფოტივით ატივტივებულს, ჩამოხვავებულ უსასრულობას რომ შესცე-როდა, ეგონა, ეს ქვეყანა ახლა გაჩნდა ისე საყვარელი შასთან ერთად და ამ მვეუნად მის მოვლინებამდე არც ეს წყალი არსებობდა, არც ეს ცა-და არც ეს მიმზიდველი მწვანე ნაპირები.

მერე იწვა პლატზე და გასაოცარის გულდასმით ეძებდა პრელ ტენ-კებს, ეძებდა ისე ერთგულად, რომ არც გაუგია, როგორ გაიცხო ხალ-ხო ეს ზღვის პირი.

ხეინჭას რომ ღრმავ ღრმად ამოსჩიჩქნიდა, ციცი წყალი ისე უსიამოვ-ნოდ ამოდიოდა, როგორც კანშემოთლილ ნედლ ხეში იყის ხოლმე.

ეს პლატი, ეს ზღვა და ეს თეალ შეუდგამი ციციერი განსაკუთრებით ძვირაფასი იყო, საყვარელი და დასანანი ამ გამოთხვების გამს.

არსად ქვეყანაზე არ არის ისე ტეპილი ფიქრი და ოცნება, როგორც ზღვის პირის, როცა ჩეილი ბავშვებივით მოგორებული ტალღები გულს ფიქრებივით ეხეთქებიან, ერთფეროვანი შხულით შლიან წყალს კაბები-ვით. მხე თავში გაცხენებს, ქვიშაც გაფიცხებულია და არის რაღაც უცნ-ური ტკბობა ამ სიბლუვეში.

თინა ფიქრობს და არ უკეირს, სრულიად არ აოცებს, თუ რად არის ტევა ქელინურ ღმერთების პანთეონში. ეს პანთეონი ზღვისპირელთა ფან-ტაზის ნაყოფია და თინას არ უყეარს, რაღაც უკარებლობის გრძნობა იყიდობს ზღვის ქაფიცან დანაბად მარმარილოს თეორტანიან მილოსელ ვენერას გასსენებაზე. მას რატომლაც ამ ვენერას ტერმაკოტის პრიმი-ტული ტანამწვარი გლეხური ჯაგველა ვენერები უჩიევნია.

ამ ჭიჭინობელის ჭრიჭინს რომ ყურს უგდებ, დილის ცხრენვარების ზუზუნსაც, გვინია, აი:

— ვვოე... — გაისმის და სიმინდებილან გამოვარდება კუნტრუშით თხავება პანი. გაღმოიჯირითებს ამ ავარიებს და ჭიჭინით, პეტელით ჩაირჩენს ზღვის პირს, დააფრთხობს ხალხს და ააწიოებს ქალებს და ბავშვებს.

რა ფიქტი, რა აზრი და სახეები არ იძადება ისეთ კრიტიკაში აღამიანის ვონებაში!

ფიქტები — კდემამოსილი და სასტუკი თავისი ექსპრესიული დიდიადით, ფიქტები — პროსტიტუტივით აბეზარი, უხნევ და მიშებულებულ ფიქტები — იძენად უსირცხვილო, რომ შემდეგ გრცევენია მათი გახსენებისა, ფიქტები — მახიჯი და ფანტასტიური, უკაფრისი და ამაყი, ზეიადი და ლალად გაშლილი.

ეს ფიქტები გეხვევიან ირგვლივ ფუტერებივით, გეკურიან საზიშლრად ლირწინი და წებიერწინი.

გინდა მოიშორო, მაგრამ ვერ იყილებ, გინდა დაემალო სადმე, თუნდაც შენს თავშივე, მაგრამ ვერ ემალები, ყველგან გპოულობენ და არ არის საშველი.

ფიქტობ ცყველაფერზე, — თუნდაც იმაზე, გუშინ რომ სუპი ციფი იყო, უგამერი და ქნი სასაზე უსიამოვნოდ გვივროდა, იმაზედაც, რომ ტენისში ორი სეტი წაავე, და იმაზედაც, რომ ეს დედამიწა უწარუნ კანონზომიერებით არის ავებული, რომ ეს კანონზომიერება იმთავითვე შოცემულია და რომ მიზეზი უმიზეზოდ არ არსებობს. თუ კანტ-ლაპლის, დაცუჯერებთ, ხომ შეიძლებოდა რომ დედამიწა, თავის ასტრონომიულ ჰასავი, მეტის მასთა ყოფილიყო ჭარბოდგენილი? მაშინ ის სულ სხვა ხომის, ჩადისუსებიან ელიპსონით ისრიალებდა მზის გარშემო და, მართალია, მზესომ დარსის მათემატიკური საქანის ფორმულა სწორი იქნებოდა, მაგრამ თვითონ დარსი არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე.

განა აღამიანიც ისევე კანონზომიერად არ არის დებული?

ამბობენ, უფრო ფიქტობენ, რომ აღამიანი დედის წიაღში გაიდოს ჯერა იმ სტადიას განვითარებისას, რომელიც, საერთოდ, განველო მარგანიულმა სხეულმა დედამიწაზე დღიდან სიცოცხლის ჩასახვისა. და განა ის ნეკრესის ქარებით დალეწილი მოხუცი, ქოლგის ძველ რომ თავი შეუწირდილებია, ის ბავშვი, წეინჭაში რომ იჩრიკება და შნოიან კენჭებს ექცს, ის ვაკეაცი, წყალს რომ ლონიერი მხარეულით მიაპობს, ეს კომბისტოსტოსფერი მედუზები, ნაპირს რომ ზღვაურმა მოაყარა და წყალში დაუსტრებიერი ფოფინობენ, განა ეს ხეინჭა, ლოკოკინები და ყოველივე, რაც ქვეყანაზე არის, და თვით ქვეყანაც, არ ატარებენ თანდაყოლილად იმ უდიდეს სიბრძნეს და აზრს ცხოვრებისას, რომელსაც კანონზომიერება ეწოდება? განა აღამიანიც, მთელი მისი არსება: ცოდნით, გამოცდილებით, ხანითა და გარემოცვით ამ ბუნებასავით არ არის რთულად ნავები? განა მასშიც გეოლოგიური ფორმაციებიერი არ ილექტება ეს ცლეები? ეს სამყარებები ბანაობენ ამ ზღვაში, უკიართ, სხავთ, ინტრიკებს აწყობენ, სპამენ ერთი მეორეს და ისოცებიან. იხილებიან ათასნაზე მიზეზთა გამო, სან გმირულად, ხან სისაცილოდ და სულელურად.

ახლა სიკვდილი ბრძოლის ელზე გმირულ დაკემბას უდრის, იმიტომ რომ ყოველი მოქალაქე იბრძვის გვემისათვის, მშენებლობისათვის, ახალი

ოჯახისათვის, ახალი სიყვარულისათვის. ქვეყანა ჭრაჭუნობს. ჩადგან  
იცვლება მისი დედაბოძები... უწინ? უწინ გმირული მხოლოდ აჩეული  
და შეურაგებელი იხოცებოდენ. მასა? მასა კი... თინაჩრების მიზანი შეა-  
ზან ხოჯევანქის სახაფლაოზე დამარხეს ქლექით დაღუპული შევლი პარ-  
ტიული ამხანაგი აჩტო ვართანოვი. რომ ბრუნდებოდა, საფლავის ერთ  
ტკილისმცელ ქვაზე წაიკითხა:

„ჩემი ცოდო პეტონი და უნც პრასა ხელგადაუსმელად შესჭამოს.“

გაელიმა, შეებრალა ამ სიტყვების მთქმელი და თან რაღაც ნიშნის  
მოვებისავით გრძნობასაც განიცდიდა, რომ აი იმან, ამა ლოდ ქვეშ მდე-  
ბარებმ, პრასა ხელგადაუსმელად „შესჭამა“, და თინამ კი არა...“

ის ასეთი სულელური შემთხვევით არ მოკვდება.

ის ორ-უსასრულობას შორის არის გაყიდებული თავისი ოცდაოთხი  
წლის პირამდე გაელენთილი სიცოცხლით და თინას არ ახსოეს... საღლაც ყია-  
მეთში იკარგება მისი წარსული, მისი ბავშვობა. არც ის ახსოეს, — შორის  
არის და თვალს ვერ უწვდების, — რომ ისიც ოდესმე უნდა დაბერდეს,  
რომ სადღაც დასაკარგავში არსებობს მისი სიკედილიც... ეინ იცის, რამ-  
დენი წელიწადი უდევს მას კიდევ წინ, რამდენი განსაცდელი მოელის  
და რას უმზადებენ ეს წლები?

ამიტომ არის, ამიტომ, ჰეი, თქვენ, ამხანაგო შევე, ზღვავ, ცავ და  
მიწავ, ეს სიცოცხლე ასე ტკბილი. ტკბილია იმიტომ — რასაც ხელს მო-  
ჰქიდებ, აზრია არსებობისა, რასაც ჩამობრჩილავ, ყველაფერში სიცოც-  
ხლე მოერნავს და ყოველი დეტალი, ყოველი ჭაბი, ყოველი მკვეთარა  
და მოქლონი, რომელიც მის ქარხანაში იქმნება, იქცედება, დამტკიცებაა. რომ  
შენ აღამიანი ხარ, შენც იძრძვი, გიყვარს, გძავს, ხარ გატაცებული  
თავდაერწყებამდე, მუშაობ და ყოველივე აკეთებ, ისე კი არა, რომ არ  
იყოდე — რისთვის ან ვისთვის!

ყოველი წვრილმანის ფასი იცი, ყოველი ნაწილის! იცი, თუ რა წინა-  
ლობის დაჭერის ამოცანა აქვს დაკისრებული ამ მოქლონს, თუ რა კინ-  
ებს, დაძაბულობასა და გადამტკრელ ძალებს უნდა გაუძლოს მან. იცი,  
რომ ეს მოქლონი ამტკიცებს, წელში მართავს ჩეენს სოციალისტურ სა-  
მშობლოს.

ეს პნევმატიური ჩაქუჩიც ყოველდღიური გაზეთივით სისტემატიურად  
სცემს ამ მოქლონებს. სქეცს ჩეენს შეგნებას და ამიტომ ტყუილია, ამხა-  
ნაგებო, სიცოცხეა, ვინც ამბობს, რომ ის მარტოოდენ შრომობს. შრომით  
ხარიც შრომობს! მარტო შრომა როდი აკეთილშობილებს აღამიანს! აღა-  
მიანი შრომობს დღევანდელი დღისათვის, ხეალინდელი დღისათვის, შრო-  
მის, მომავლისათვის, და ეს სურველი შრომისა გადაულიხავია. ეს შე-  
მოქმედებაა. ის, ვინც იცის, რას აკეთებს, რესოუის აკეთებს და იცის,  
თუ რა აღგილი უჭირავს ამ საერთო საქმიანობაში, ის შემოქმედიცა და  
ამიტომაა, რომ არავის თავი არ ახსოეს, ამიტომ არის ეს შრომა ასე ტკბი-

ლი, ამიტომ ათენებუნ საამერიკებში ღამეებს თეორიაზე იმუშავდნა, რაც ნიკოსები, ასტრები და მუშები.

ამ ამდენიმე წლის წინად თინა ერთი მშერლის უწინესობრივ ფრილის ამბობდა, რომ ტფილის აიგო ელექტროაბიტი, რომ ყოველ მათვანს აწერია: „სასიკვდილოა, რადგან ეს ანძა უმაღლესი ჭინვის დენს ატარებს.

შემოქმედებაც ასეა: ეისაც არ შეუძლია მისი ვაძლება, დროზე გამოეთიშოს ამ დენს და ფეხებში ნუ წამოვედება! მიზინარებად მიხეთქილ შესების ენერგიით მონიცებულ დენს გზავნიან ამ ანძებში და ლოზუნები ტუაუნობენ, ელავენ და მომავალს გვინათებენ. ჩვენ მოვდივართ ამ ანძებივით ცადაყრობილნი, ჩვენ ვატარებთ ამ უმაღლესი ჭინვის დენს ჩვენს გულში და, ეს გული რომ აფანცქალდება და აინთება, თქვენ მაშინ ნახეთ, რა არის ნეტარება წვისა და ენერგიის ხარჯებისა!

ამიტომ უხარის თინას ასე.

ეს სიხარულიც, ყველს რომ ეპჯინება, ამ დენითა გახურებული და უხარის, რომ ისევ ტფილისშია, ისევ რომ გადასცერის ამ ქალაქს დახარბებული თვალებით და აკეირვებს, თინასაც კი აკეირვებს ეს ტემპები შემოქმედლობისა.

აი, ის ხეთსართულიანი სახლი, ქანის კრამიტით რომ ხერავენ ია ქაბის ცემენტით არის განმტკიცებული, ერთი თვის წინად, ქობულეთში რომ მიღიოდა დასასუენებლად, არ იდგა ამ ადგილს.

— ამ სახლში ჩვენი ქარხნის მუშები იცხოვრებენ!

ის ციფი წევალი, წუხელ რომ დალია, არ მოდიოდა ამ მილებში, ახლა მოდის და თინას ესეც ახარებს. ესტატე კობეშვილი, მისი საამქროს ძევლი ისტატი, სიხარულით აღტაცებული სწერდა, რომ ახლა მათ საამქროში ახალი დაწები დადგეს. აი, ეს ქუჩაც, ამ ერთი თვის წინად მტერიანი და ოლიმო-ჩოლიმო, ახლა ასფალტით არის მოფუნილი და წუხელ ღამით, სახლში რომ მიღიოდა, მისი ტაქსიმოტორი (არც ეს იყო ამ ერთი თვის წინად) ფაჩუნით, თერიიალით მოცურავდა ზედ და ეს ახალი განიერდებიანი ტრამვაის გავონები გადაბრუნებული მოსჩანდენ ამ გალაპლაპებულ სარკეში.

და განა ეს სიხარული უმიზეზოა?

მას ყველაფერი ახარებს ამ დილით და რა არის აქ გასაკვირველი?

განა თქვენ არ გამოვიცდიათ ოცდა ოთხი წლის გულის ცემა? განა თქვენც არ გიხარიდათ, როცა საყვარელ საქმეს მიადექით პირველად, სანამ ეს საქმე ჩვეულებრივ მოვლენად იქცეოდა? განა თქვენც ასე არ იწვოდით მოტომენლობისაგან? აი თინაც ასეა ამ დილით და უხარის, რომ ხვალიფან ის ისევ ძველებურად ჩადგება უმაღლესი ძაბეის ანძათა რიგში და „სასიკვდილო“ დენს ისევ ძველებურად გატარებს.

ტურილად კი არ ჰქინია მას თინათინ, თინათინშენ, როგორც შეულცი ეძახის ხოლმე! ათინათი სხივის ციმციშს ეწოდება, ეს სხივი საუკუნეებში

დაკარგულ სხივოსან ათინას ეხმატება და სხივის ეს სახე მოინახონას ჰქონდა!

ტურილად კი არ ეძახიან მას სტელლას! სტელლა ეპინერებით მიარს-კულავი სხივებს მიმოაბნევს და ვარსკვლავის ეს სახე გამოიყენება... ასეთი არის მარტინი...

## 5

უცრად ზარის ცივმა წკრიალმა შეაკრთო.

სარჯმლიღან ძირს გადომონტა და ტელეფონთან მიირბინა.

მილავჭე ერთი თვის მტკერი იდო, დიღხხანს არ უყოფანია, პერანგის ქალთას შეაწმინდა (სულ ერთია უნდა გამოეცეალა) და უცრავ მიიღო.

— ალლო!

ხმა რომ ასკურავამ გამოსცა, შეკრთა და მილავი კინალაშ ხელიღან გავარდა.

— დამიკეირა!.. ახლა შენ ჩემ გაცოტევის უცუ-ურეე!.. — გაიფიქრა, მაგრამ დირექტორმა, გაცოცხევის მაგიერ, ჩამოსელა რომ მიულოცა, გაუ-ხარდა და, სამაგიეროდ რომ ესიამოვნებინა, რუპორტში ჩასხახა:

— თქვენის... შენს მეუღლეს, — გაისწორა სიტყვა თინამ, — ამნანავო ასკურავა, ხშირად ვხედავდი... კარგად არის, წერილი გამომატანა!.. — მაგრამ ასკურავამ სიტყვა ბანზე აუგდო და თინამ, ამ ქრისტეს ფეხის მჭამელმა თინამ, უცრად იგრძნო, რომ შეცდომა დაუშვა, თან გაუხარდა კიდევ...

რატომ?.. ეშაკმა იცის რატომ!

დირექტორი კარგ გუნებაზე იყო.

უმშობდა, რომ ქარხანაში ამ ერთი თვის განმავლობაში დიდი ცელი-ლებები მოხდა... თინას საამქროშიც... მაგრამ... ჰო, იმას ვამბობდი... მათ როსტოკის ორთქლმავალთა ქარხანა გამოიწვიეს სოცმედიბრში, რომ მძიმე მრეწველობის კომისარიატმა ქარხანის ორი მსუბუქი და სამი საბარევ მანქანა აჩუქა და ეინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ამბები მოხდა ქარხა-ნაში მას შემდეგ, რაც ის აქ არ იყო! ჰო, სხვათა შორის... ქარხანაში ტე-ნისის მოედანი მოაწყო... ეზოც გამწვანებულია... თუ უნდა, მანქანას გა-მოცუნავის დღეს, მისი შეებულების უკანასკნელი დღეა და გაისირ-ნოს. კინალამ დაავიწყდა: დღეს სამასამდე გლეხი ჩამოიდა სოციალის-ტურ მინდეტებიღან, პროლეტარიატის მომავალი კადრები... ერთი სი-რეციპი, ქარხანაში დიდი ამბებია!..

— კარგი, ამნანავო ასკურავა, ძალიან კარგი!

— მანქანა რა დროს თვის გინდა?

— ერთი საათის შემდეგ! ცოტა საქმე მაქვს... მოგეხსენებათ, ოჯახს მოელა უნდა!.. — სთქვა შან უსაშეელოდ გადაპრეხილმა კომიკური კი-ლომი და თან ისე ცბიერად გაიღიმა და თვალებიც ისე ეშმაკურად გა-დაატრიალა, თითქოს ის, ეისაც ელაპარაკებოდა, იქ კი არ იყო, სადღაც დასაკარგავში, არამედ აქ იჯდა ოთახში და პირისპირ ემუსაიდებოდა.

მიღები რომ ჩამოჰკიდა:

— ახალი დაზეუბი... კადრები... მანქანა... ტენისეს, მწყეფენის...

— დიდარი, ჩემი სიკვდილი!.. — შექიცვა მან აკეცეული მუსიკურობის ცოლის გამოჯავრებით ეშმაკურად და ერთი ისეთი შეხტა, რომ თავი კინალამ ჭერს აარტყა.

მაშ ისევ ქარხანა, ისევ... და აზრი აღარ დაასრულა.

— პი-პი-ი... — დაიძახა მან ავტომანქანის გამოჯავრებით და იდაყ-ვები რომ ისე მოიქნია, როგორც იმ პატარა ბიჭუნამ, ხემწიფე რომ არ იციდა რა იყო, ასკინკილით ბარგთან მიიჩნია.

მაცრაშა საჩქაროდ ძირს გადმოაგდო და, მის ქვეშ განთავისუფლებული ფიბრის ჩემოდანი რომ ხელდახელ გახსნა, ქილის ჩიოტე, პირისფერი აბრეშუმის წინდები და ოდეკოლონის ფლაკონი გადმოცვიდა. ფლაკონს მინის საცობი მოძერა და, იატაქზე რომ იღერებოდა, ხელი საჩქაროდ დასტაცა. რომ აიღო, თავი მაგრა დაუცო. მერე, კველა ერთიანად მოხვეტა და ლოგინშე დაყარა.

— თინა, გძინაეს? — მოისმა კარებს იქიდან.

თინამ კეკეს ხმა იცნო.

— არა, კეკე, რა დროს ძილია!

— აბაზანა მზად არის!

— ძალიან კარგი, კეკე, ახლავე!.. — გაძახა და ამ სიტყვებით, ჩემოდანიდან ფართო ფოთლებიანი მოჭირებული წითელი ხალათი, სუფთა პერანგი და გაზეოში გაცეცული ფოსტლები რომ ამოიღო, სიჩქარეში ახლა ყვითელზოლებიანი შავი ფელტიკისის საზღვაო ტრუსები ამოჰყვა და იქცე დაეარდა იატაქზე.

თინას ტრუსები არც შეუნიშნავს.

პირსახოცი კისერზე გადაიგდო, სააბანაო მოწყობილობა აიღო, ფოსტლებში ფეხი გაუყარა და კარებისაკენ გაქანადა. გზაში ცალცალად ჩატულმა ფეხსაცმელმა რომ წააფორნილა, შედგა და აღვილები მოუნაცვლა. ისევ რომ ჩაიცვა, კარები გააღო და სააბაზანო ოთახისაკენ გაემართა.

## 6

სააბაზანოდან პირსახოცით თავწაკრული რომ გამოვიდა, დერეფანში კიდე შემოხვდა.

— გაამოს, თინაჯან, გაამოს!.. მალე ჩაიც იქნება და დალიე!

— გმაღლლობ, ჩემო კეკე, გმაღლლობ! — ამ სიტყვებით ოთახის კარი შეაღო, შეჩერდა და შეკითხა:

— გრეტა როგორ არის, კეკეჯან? — სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ თავის ოთახიდან ყეფა მოესმა:

— აუ-აუ-აუ!..

თინამ ოთახში შეიხვდა და თავის ლოგინში დამდგარი ბავშვა რომ დაინახა:

— აუ-აუ!.. აუ-აუ!.. მოუნია მოიდა, მოუნია მოიდა!..  თავზე საბან გადმოხურულმა მოუნია.

— მეშინია, უცქ, როგორ მეშინია... — დაიძახა ძრწოდნენ კრუჩიშვილი თანამ კომიკურად და, ბავშვმა რომ უკურად საბანი გადამიშვილია თუ კუ-კურო!.. — დაიძახა.

— შენ აქ ვინ მოგიყენა, ა? ჰაიტ. შე კოკოკინავ, შენა, ა? — შეუტია ბავშვს თინაშ ისე, თითქოს მხოლოდ იხლა იცნოო და, საბნიანად რომ ხელში აიტაცა, გულში მაგრა ჩაიკრა.

— აბა ერთი შემომხედვე, გენაცვალე! გნახო, როგორი ხარ! — და საბანი რომ შემოხადა, პერანგის ამარა ოქროს კულულებიანი ბავშვი ღა-ბუა ჩიტრივით გამოჩნდა მის კალთაში.

შიშეელი ბავშვი რალაც კულიანური დარცხვენით რომ გამოიცეირებოდა, ცისფერი გონიერი თვალები ისე ღრმა იყო და საყვარელი, რომ თინას გრძნობა ყელში მოაწევა და ცხელტანიანი გოგონა გულში ეინიანად მიიკრა.

— ჰაი, შე მწყერჩიტავ!.. მე ხომ გითხარ, ჩემთან არ მოხვიდე-მეთქი?..

— იი, დეიდა თინა, ალა ცხეენია? — სოჭვა ბავშვმა უცნაური საჯვედლერით.

— არა, გენაცვალე, არა! — მოხდა მას ტკილით. — ვინ გითხარ, გრეტა; არ მოხვიდეო? როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე! — დაიძახა და ბავშვს თვალები სათუთად დაუკირნა.

— შენ ლომ აქ ალ იყავი, მე ტკილით განა!.. მე მეგონა, მოკვდი! — სოჭვა გრეტამ, წარჩების კი არა, მთელი შეხერშვით.

თინას ბავშვის ამ სიტყვებზე ცრემლები მოერია.

— ჩათ არის სახ? ჩათ მიყვარს ეს ბავშვი ასე თავდავიწყებით? — ეკითხებოდა იგი თავის თავს და თან პაწიას ცისფრად აფოფინებულ თვა-ლებში გრძნობით ჩასკერიდა.

საწყალი გრეტა! დელის ლოლიავის მავიერ ის მოახლე კიდეს დაქირავებული მხრუნველობის ამარა იყო მიტოვებული. აბა სად ეცალა ერიქს მისთვის! ჩაც არ უნდა იყოს, მამაკაცი მიინც მამაკაცია. იქნებ იმიტომ უყვარს ასე გატაცებით, რომ მის უდელობაზე თავისი ობლობა ახსენდება? განა ასევე პატარა არ დაობლდა და საწყალი მოხუცი ბებია ზრდიდა მრეცხაობით?

გულარუსებულმა ბავშვი ლოგინში წაგვია, პერანგი გადაუწია და, ლურჯნაცეთიან, სასაცილოდ გაბერილ მუცელზე კოცნა რომ დაუწყო, პაწია სიცილით სულს ძლიეს იბრუნებდა და, მეტა რომ ცელარ შესძლო, დეიდა თინას თავზე წაკრული პირსახოცი ჩამოაგლიჯა და თაობში მობლუალ თმებით გააქავა.

— აუ-აუ!.. აუ-აუ!.. — ბრდლვინავდა თინა გაშმაცებული, ამუნისა-ვით. — იგი ვაჩ! მოუნია ვაჩ!.. შეგჰამ!.. შეგაჩრამუნებ!.. — ემუქრებოდა თვითონ ბავშვად ქცეული.

სულშეტაცებულმა გრეტამ მეტი ეელარ შესძლო, რეიდამ მიებში ხელი უშეა და კვდებოდა სიცილით, კისკისებდა მუცული ზე ხელშეტკიდებული. მერე შიშით, რომ ბავშვს სულმოუთქმელ სიცილის განკული არ შესწუხებოდა, თავი გაანება, ხელში იტაცა და მწერალი მისჭრა.

გოგონამ სული უცებ მოიბრუნა და დეიდას ლოყით ლოყაზე რომ აეტმასნა, დედის ალექს მოწყვერებულმა, ხელი მისი პერანგის საკინძისაკენ წაიღო და მოშილიფებულ მკრდს რომ მოუფათურა, თინა შეკრთა, ბავშვს ხელები გაუკავა.

სიბრალულისა თუ რაღაც დედური გრძნობის მაგვარ განცდისაგან თვალებში მომდგარი ცრუმლი რომ შეემაგრებინა, დაიწყო:

— იცი, გრეტა, შენთან ზღვამ დი-იდი, დი-იდი მოკითხა დამაბარა.

— ზღვამ? — ჩაფიქრდა პატარა. — დიდი წყალი ლომ აღის, ალა?

— ჰო, გენაცვალე!

— მე ალ მიყვალს ზღვა! — მოუკრა სიტყვა გადაწყვეტილად. — მე და მამა ლომ მოვდიოდით, სულ გულს მილევდა!

— ჰო და, ახლა დამაბარა, პატარა გრეტა მოვიდეს და გულს აღარ აეცრეო! პატიოსან სიტყვას იძლევა და რას იზამ?

— ალაცველსაც ალ ვიზამ! — სოქვა ბავშვმა მკვანედ და შუბლი გაბურულაც შეიკმუხნა.

— საჩუქრიც გამომატანა შენთან!

ქალაქის თავზე კელვ დაჭქრის რევოლუციის გრიგალი.

მსოფლიო ქაოსში წესრიგი მხოლოდ მოსკოვშია...

საათის 9 იყო, როცა გიორგი, უკვე განშორებული მოსკოვს, ერთ-ერთ სადევურზე შეხედა დას და თავისი ხელბარგით ავიდა მასთან ვაგონში. მარტინებელი, რამდენიმედ დაგვიანებული, სადგურიდან მაშინვე ქმნით გაუდგა სამხრეთისაკენ.

კუპეში შესვლისათანავე მან შეამჩნია უცნობი ვაჟი, რომელიც რაღაც წიგნს ათვალიერებდა ფანჯარასთან. იქვე იყო მისი დის მეგობარი ქალი.

ცოტა ხნის შემდეგ შეიძლებოდა ცყოფილიყავით მოწმე შემდეგი საუბრისა იმავე კუპეში. გიორგის მიმართა ვალერიამ:

— ოჲ, როგორ მოველოდი შენთან შეხვედრას. მე სულ ამაზე ველაპარაკებოდი ჩემს მეგობარს, — გაიხედა ქალისაკენ. — ჩენი თანამგზავრი ღიდად საინტერესო აღმიანია, თუმცა ახირებულად კი მსჯელობს. პირველად, გაცნობისას, — ეს კი მოხდა უცნოეთში, — პირდაპირ მიჰინდა მასთან საუბარი, განსაკუთრებით როცა ვლაპარაკონტლით ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, ისტორიაზე. ახლა შევეწიო და ვითმენ. უნდა ითქვას, რომ ვიტი არველს აქვს სიტყვის კულტურა. თქვენ იკამათებთ, შევემზებით ერთმანეთს. შენს სიტყვაშიც არის ვესლი და შხამი, ჩემი ვიორგი.

— და აგრეთვე ბალამიც, როგორც იტყოდა პორაციო. ცხადია, ვილაპარაკებთ ამ მოგზაურობაში და საკმიანვაც გავიცნობით ერთმანეთს.

— რა თქმა უნდა, — უპასუხებს ვიტი, — მით უმეტეს, რომ არაეითარი სურვილი არა მაქვს ჩემთვის ახალ ქეყანაში ვიგრძნო სულის ობლობა.

— დიახ, თქვენ ცველამ ვიმნაშია გაათავეთ, — უპასუხა კრისვარი ირონიკოთ ვიორგიმ.

ამ დროს გაიღო კუპე და თეთრ სუფთა ხალათში შემოსილმა ფარეშმა შემოიტანა ხომის ტკბილეულით და კონფერენციით.

მარტინებელი მიმჭრის სამხრეთისაკენ.

კუპეში კი ჩვეულებრივი საუბარი მიმდინარეობს.

ამ მოგზაურობაში გავა ეს ლამეცი, მეორე დღეც ჭარბაც-შემწევა-

ილაპარაკობდა დოსტოევსკის შესახებ, განსაკუთრებით იმ გატაცებაშე, რომელსაც ამ მწერლის მიმართ ადგილი აქვს ევროპის ინტელიგენციის ზოგიერთ ბურჟუაზიულ წრეში. მისი თქმით, საინტერესო იყო ერთი ნუ-ანსი, ფსიქოლოგიურად დამახსხიათებელი თანამედროვე ევროპის ამ ინ-ტელიგენციისათვის: როცა დოსტოევსკის კიონულობენ, ფიქრობენ რე-სეთზე, როცა რესერს ეცნობიან ფიქრობენ დოსტოევსკის შესიანურ მის-ტიციშმზე, ფიქრობენ დოსტოევსკის შესახებ.

ამის საპასუხოდ აღნიშნული იყო, რომ დოსტოევსკის დეკანონიზაცი-ისათვის მრავალი ფაქტორი არსებობს. საუბარში მოყვანილ იქმნა ერთი ანექციონტი ნაპოლეონის ლაშერობიდან. ნაპოლეონი თავისი არმიით მოუ-ახლოვდა ერთ ქალაქს. მოელოდენ, რომ ქალაქი იმპერიატორს შეებრძო-ლებოდა. ყოველ შემთხვევაში ქალაქის წინ გორიაშე იმპერიატორი ცოტა ხნით მაინც შექრდა — შეიძლება ქალაქის მამებს მის ფეხთქეუშ დაევდოთ ქალაქის გასაღები. ასეც მოხდა: გორიაშე იმპერიატორი მარშლებით გარ-შემორტყმული იღებს ქალაქის დელეგაციას, რომელმაც მიართვა იმპე-რატორს ქალაქის გასაღები.

ნაპოლეონი ეკითხება დელეგაციას:

— რა იყო მიზეზი, რომ დამწერდით?

— მიზეზი ასი გახლდათ, თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო ერთმა მათვანმა.

— აბა ჩამოთვალეთ! — უპასუხებს დაინტერესებული ნაპოლეონი.

— პირველი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ტყვია-წამალი არა გვაქვს, მეორე...

ამ დროს გაწყვეტინა იმპერიატორმა სიტყვა და უთხრა:

— საქმარისია, დანარჩენ 99 მიზეზს ნებარ ჩამოთვლით.

მსგავსად ამის იყო ნათქვამი. რომ არსებობს მრავალი მიზეზი, რათა დოსტოევსკი შეგნებულად მივიწყებული იყოს. ას მიზეზებში უპირვე-ლესი ისაა, რომ დოსტოევსკი წინააღმდეგია რეეოლუციის, რევოლუცი-ნური მსოფლმხედველობისა. მართალია, ის უფრო დიდი ლიტერატორი იყო, ვიდრე ტოლსტოი, მაგრამ, როგორც მწერალი, ტოლსტოი უთურდ მაღლა სდგას დოსტოევსკის. დოსტოევსკი, გოგოლი თანდათან დავიწ-ყებას მიეცემიან, სამაგიეროდ პუშკინი, ტოლსტოი უფრო და უფრო გა-იზრდებიან მომშვალში.

ჩვენ ახლა დროისთვის დავტოვებოთ მათ. იმოგზაურონ, იბაასონ, იოუნ-შონ და იძინონ. მოგზაურობასაც თავისი ფანტაზია აქვს და მოგზაურო-ბაში აღმიინები გასაოცარი სისწრაფით ეცნობიან ერთმანეთს, უახლოვ-დებიან, მეგობრდებიან. ასევე ნადირობაში, ომის დროს ბრძოლის ველზე და ციხეებში. ამ შემთხვევაში პირველი გრძნობა ყოველთვის უტყუარია.

ისინი თანდათან სცილდებოდენ ჩრდილოეთის ბუნების კონტაქტზე ლანდებს და უახლოედებოდენ სამხრეთს, მზისა და ზღვების შედეგების კონტაქტზე.

ველზე მშეიღი ღამე იდგა.

ტრაქერონის შემდეგ ველს დაეკარგა თავისი სიცაფებისა და მიწვის...

აქ ამ ველზე მოიხსნა უკანასკნელი კულტი — მიწის კულტი. მშეიღობით, ღმერთები!

ჩევნი მგზავრები ქალაქ ორჯონიქიძემდე მიღიოდენ მატარებლით, რომ შემდეგ საქართველოსაკენ სამხედრო გზით ვამომგზავრებულიყვნენ. ამ მოგზაურობიდან ჩევნი მხოლოდ ერთ საუბარს მოვიყვანთ ვრცლად, რომელიც თითქმის მთელ ღამეს ვავრდელდა. როცა ექსპრესი შორიდან უახლოვდებოდა კავკასიონის ქედს, საუბარს ცხოველი და აღგზნებული ზასიათი ჰქოდნა. ვანსაკუთრებული სიჩქარით საუბარი იმ მომენტიდან ვანკითარდა, როცა ვიორგიმ შემდეგი ჭარბოსთვევა:

— არ არის სქემატიზმი, რომ მსოფლიოში იბრძეის დღეს მხოლოდ ორი ძალა: ძალა მსოფლიო კომუნიზმისა და კაპიტალიზმისა, პროლეტარიული რევოლუცია და ფაშისტური რეაქცია.

— მე საცემით გეთანხმებით საკითხის დასმაში, დღეს რევოლუციის პრობლემის კერავინ კერ ასკდება. მე რევოლუცია მიერიდ, მხოლოდ მინდა ის ჩემი სიტყვებით ვადიდო, — მიუგო ვივიმ.

— რევოლუციას საერთო არაფერი აქვს მისტიურობასთან და ლირიზმთან, — უპასუხებს ვიორგი.

— მე არ შემიძლია ჩემს ფიქრებს არ მიცეც ნაწილობრივ ლიტერატურისასიათი, — განაგრძობს ვივი. — ეს ჩემი სტილია, რომელსაც გაცნობისას ვალერია იხსენიებდა.

— თქვენი მსჯელობა მავრნებს იმ „ლეგენდებს“, რომლებსაც ბურკუაზიული სალონების დამებისათვის ქმნიან ნეკრასტენიით შეპყრობილი იმპოტენტები, — უთხრა ვიორგიმ.

— მე იმთავითე მაწუხებდა, ვიორგი, დამოკიდებულება ადამიანის პიროვნებასა და რევოლუციის შორის: ადამიანის პიროვნებას და ამიტომაც მის კულტს ჩემში უპირველესი ადგილი უჭირავს. ეს დაპირისპირება მე საბედისწეროდ მიმაჩნდა და დღემდეც კერ მიპოვნია შესაფერი ფორმულა. განა არ შეიძლება ევნონ ურთიერთს უდიდესი რისხევისა და ძლევამოსილების სწრაფები ადამიანის სიყვარულისა და სიმშევიდის გრძნებებს? რევოლუციამ უნდა ადამიანის პიროვნება, მისი ლიტერატურა, ეკრაპა ცინიკურია პიროვნების მიმართ, რევოლუციისაგან კი ჩვენ არ გვმენია აღერსი. მე არას მეუბნება საუკუნეთა ციეტი ჰეროლდი დიალი მყინვარი და არც რისხევმისილი მშეოთვარე სული ზაირონისა. მე ჩემშივე უნდა მეპოვა დილი პასუხი.

— ეგ მისტიურიზმია თავისი უსაშინელესი სახით, — უპასუხებს ვიორგი, რომელსაც ასე ეგუება ეკლესიური მჭერმეტყველება და ლიტერატურის

სტილი. — ეგ სიტყვა სანიმუშოა იმ აღამიანთა პიროვნეული ცმოურების ნათელსაყოფად, რომელთაც ისტორიაში მხარი ექვათ შაშინ, როცა იყო გარდატების ხანა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში. ქართველობის შემდეგ, რომელმაც გამჟანტა შევი ლრუბლების წყვდიადი ფუფულებით კეთვანას ნათელი დღისა, ნებთ მოუსმენთ თვით უნაზესი ყვავილის ჩივილს ნაონარ ბალში? ის, რასაც თქვენი სიტყვები ამხელენ, ბურჟუაზიულ დეკადანს წარმოადგენს.

— ბურჟუაზიის გარდა არსებობს აღამიანი და მისი გონიერის ძალა, — სოქეა გვიგმ.

— ეგ ფიქტია, გვი, რომელსაც კელავ გუნდრუქს უკმეცენ. აღამიანი განყენებულად არ არსებობს: იგი შეუცნობელი ძაფებითაა დაკავშირებული მის ირველი არსებულ წრესთან. მისტიკუნში ფსიქოლოგიური ნიშანია ისტორიულად გამწირული კლასის შემოქმედებითი გამოფერების და გადაშენებისა. დიადი ეპოქები მაშინ იყო კაცობრიობის ისტორიაში, როცა კაცობრიობა ოლწევდა თავს მისტიკურ ტყვეობს და ეწაფებოდა რეალისტურ შემოქმედების. არ არსებობს რაღაც განმარტოებული კრიზისი კულტურისა. კულტურის კრიზისი განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმაციის ისტორიული კრიზისის უკუფენაა. ეს პრელეიტია სოციალური რევოლუციისა. თქვენი თქმა — მე ჩემშივე უნდა შეპოვა დიდი პასუხით, ეს სასოწარკვეთილი თქმაა. ისტორიის მიმართ ზურგშექცეული აღამიანისა, რომელიც ამით თითქოს თავის დამოუკიდებელ და თავისუფალ ბუნებას ამეღაენებს. ეს აღამიანები მომავნეობენ მასწავლებლის მიერ კედლისაკენ პირით კუთხეში დაყენებულ მოწაფეს, რომლის გრიმასებსაც არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს. რევოლუცია ებრძვის ამ საბედისსწერო დაპირისპირებას და მიისწრაფის ისეთი წყობილების შექმნისაკენ, სადაც სილამაზე, ქეშმარიტება და სამართლიანობა პპოებენ თავის უმაღლეს ჰარმონიულ განსახიერებას. მაღალი იდეალი მხოლოდ ჩვენს კაციონის აქება და არა ძეველ ევროპას. ნაწილი ინტელიგენციისა, რომელსაც თავისი თავი წარმოუდგენია „კულტურისა და აღამიანობის ნაფიც მსაჯულად“, ვეღარ ერკევეთ ჩეკოლუციაში. იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევდა რეიმსის ტაძარს, რომელიც შიმშილით, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ისტორიაში უდიდესს ჩეკოლუციას, ეიმერორებ, ამ ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰემანიზმის ქადაგება დანაშაულია. რამდენადაც საზოგადოება იყოფა მოწინააღმდეგე კლასებად, ქადაგია, რომ განაპლების თუ ძველის შებაირხტრედ მუდამ გარკვეული სოციალური კლასები გამოდიან. სანაც არ მოსპობილა ეს წინააღმდეგობა და ნივთიერი წყაროები, რომელებიც მას კვებავენ, ჰარმონიაზე ლაპარაკი ფიქტია და სხვა არაფერი.

— აღამიანი — ჩეკოლუცია — ლიტერატურა ჩვენი დროის დიდი საკითხებია, გიორგი, ქეშმარიტება და სილამაზე ჩვენი შესვენებაა, რასაც ჩველა ვატერფით. ყოველი დიადი მოელენა და საქმიანობა სიტყვაში უნდა

აღწევდეს თავის უმაღლეს სრულქმნას. სიტყვის გზება მხოლოდ პიროვნების ხვედრია.

— მიგინვედი რის თქმაც გინდა. თითქოს ორეოლუპირებულენი, ქავეშო იყოს ოლიმპის მწვერეალების დაპყრობა. შენს სიტყვაუწერადა თეოფილებულია ურთიერთის მიმართ აღამიანის ნაფიქრი და ნამოქმედარი. პირიმატი ამ კონტრექსტში უფრო კუთხის აღამიანის ფიქრისა და სკეპსის მომენტს, ვიდრე მის საზოგადოებრივ აქტიონას. უდიდესი ქმედითი ექსპანსიები, როგორიცაა ომები და ორეოლუპირები, თითქოს ხელს უშლიან „ფიქრის კულტურის“, ჩადგან „inter arma tacent musae“.

ვინ შეურიცდება ნაფიქრისა და ნამოქმედარის ამგვარ დაპირისპირებას? ვინ შეიწყნარებს იმ შეხედულებას, რომ „პირველად სიტყვა იყო“ ან იმის მტკიცებას, რომ პირველად „საქმე იყო?..“

სცდებოდენ წინასწარმეტყველები, სცდებოდენ პოეტები, პირველად იყო მომქმედი და ეს მომქმედი თვითონ საქმეც იყო და სიტყვაც. თუ შენს აზრს ვევიზიარებთ, ამით მიერდებთ ჩინურ ურეაქციურეს სენტრუიას: აზროვნება ადვილია, მოქმედება კი ძნელი.

ჩვენს გვწამს ამ უციდესი ხალხის დიადი მომავლის ისტორიული აუცილებლობა, ვალიარებთ მის სამეურნეო გრინიალობას და დიდს სოციალურ რაჭებს წარსულში და ავრევე ამ ხალხის მშრომელი მასების თავდადებულ რეოლუპიონურ ბრძოლის თავისი განთავისუფლებისათვის. მიუხედავად ამისა, გაბატონებულმა კლასებმა მაინც შეძლეს ჩაენერგათ ხალხის შევნებაში მრავალი საზიანო ფიქრი, რათა ჩაეკლათ ხალხში ყოველივე გრძნობა აქტიურობისა. ეს ფიქტი, შემტევში უკეთ ტრადიციებად ვადაქცეული, ხელს უშლიდენ ხალხის ვამოფხიწლებას და ერთგვარ პირობას წარმოადგენდენ იმ ისტორიული და სოციალური სტაგნაციისა, რომელშიაც მოქცეული იყო ერთ დროს „ციური იმპერიისა“ და ლოტოსის უწმინდესი პოეზიის ქვეყანა — დიდი ჩინეთი.

აზროვნებას ხშირად ცხოვრება წინ უსწრებს. მაკედონელის დიდი პოლიტიკური ექსპანსია თითქმის არავითარ გავლენის არ ახდენდა არისტორელის პოლიტიკურ შეხედულებებზე, დიდი სტაგირიტი ბოლომდის დარჩა საშუალო ბიურგერული ოკისური წყობილების იდეოლოგად და ვერ მისწერდა მსოფლიო ისტორიის აუცილებლობით გამოწევეულ მაკედონელის მისიას. მაკედონელის გამარჯვებული არმია პერსეპოლისში რამდენიმე დღის განმავლობაში თავისი ველური ვნებების ეის იკლავდა. მაკედონელისაერ რისხევინი ბრძანებით პერსეპოლისში დაწვეს აქამენიდების შესანიშვნები ისტორიული სასახლე. მიუხედავად ყოველივე ამისა, მაკედონელის ლაშტრობანი წარმოადგენდენ უდიდეს პროგრესიულ აქტიონას მაშინდელ მსოფლიოში.

განა დასაშვებია შედარება საფრანგეთის რეოლუციასთან რომელიმე იდეალისტური ფილოსოფიისა, რომელსაც ხშირად მიმართავდენ გერმანიაში ფილისტერები რეოლუციის მირაენს თავიდან მოსაცილებლად?

— შენ რაინდი ხარ, გიორგი, რევოლუციისა და მისი მგრძანიც, მხოლოდ მოგაგონებ ჰიტების სიტყვებს: თქვენ ჰქმით დამდინარე შეკლიდის მიხედვით.

— ნუდარ ელი ამის საპასუხოდ იმავე ჰიტების შეზღუდვის შემდეგ, ოქენ არჩევთ, ადამიანის პომეროსისეულ საწყისს. პროლეტარული რევოლუცია უარყოფს ადამიანის ბუნების ასეთ მექანისტურ გაგებას. ეს გაგება შედევია იმ წინააღმდევებისა, რომელშიც მოქაული იყო ბურეუაზიული მსოფლმხედველობა. კლასობრივი საზოგადოების გადალახვასთან ერთად რევოლუცია თავის უმაღლეს იდეალს ეველიდისეულ და პომეროსისეულ ადამიანის მთლიანობაში ხდავს. რევოლუციონერ პროლეტარიატს ახასიათებს როგორც ეველიდის გენია, ისე პომეროსის საწყისი: მეცნიერების გიგანტური განვითარება რევოლუციის ქვეყანაში და აგრეთვე კლასიკური კულტურის უმდიდრეს საგანძურთა ათვისება, ახალი უძლიერების მხატვრული კულტურის შექმნასთან ერთად, ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს.

— რევოლუციამ თავისი თავი ადამიანში უნდა უკედავდეს, გიორგი.

— რევოლუცია ვერ ითმებს, ვიდი, როცა უპიროსპირებენ ერთმანეთს ისეთ შეუდარებელ პოლუსებს, როგორიცაა რევოლუცია და ადამიანი. ვანა ანგარიშ გასაწევია ის ადამიანი, რომელიც ისტორიულ კოცონიან გაპეივის იმის შესახებ, რომ მას სციფა, და ეს იმ დროს, როცა ირგვლივ უნაპირო სიცრუებია საუკუნეთა ყინულებისა, რომელთა ციც ლოდებს უნებიანად ლოკაციები ანთებული ხანძრის გავარევარებული ენები? თუ ადამიანი დღეს მცირედ სიდიდედ მოსჩანს მიმდინარე ისტორიის მღელვარე რაღლების წინაშე, ეს ბუნებრივია, რამდენადაც ამოძრავებულია დღეს უდიდესი სოციალური მასები კლასების სახით. და ასე იყო მუდამ სოციალურ რევოლუციის ხანაში. ბურეუაზიულმა რევოლუციამ ადამიანის პიროვნება დაუმორჩილა თავისუფალი კონკურენციის ცინიკურ კანონს. პროლეტარულმა რევოლუციამ ადამიანის პიროვნების იდეა უფრო მაღალ საფეხურზე ასწია, დაუკავშირა რა ის კლასობრივი ჩავერისა და ექსპლოატაციის მოსპობის აუცილებლობას. პროლეტარულმა რევოლუციამ შეტერილება დასდო ადამიანის პიროვნების, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა რდესმე ისტორიაში.

— მოვეშურებოდი რა ჩეენი ქვეყნისაკენ, გიორგი, მოგონებათა იდუმალ მუსიკას მოეცა მთელი ჩემი არსება. ეს ბუნებრივიცაა იმ ადამიანისათვის, რომელიც დიდი წნით დაცილებულია რევოლუციით განახლებულ მხარეს. დაბროვნებული სამშობლოში, მე უპირველესად მინდა გავეცნო რევოლუციის უწმინდეს წყაროებს და დაუწყებ ძებნის იმ ახალ დიად სახეებს, რომელთაც მხატვრული შემოქმედება გამოაცელენდა ჩემს ხელოვნებაში. მე უცხოეთში უმაღლესად გამიმახვილდა მხატვრული სიტყვის სიყვარული. ლეგენდები ერთა აღვაფურთოვანებენ, მაგრამ ლიტერატურა და მისი სიყვარული კვლავ გვამაღლებს ჩემს ექსტაზიმდე. მხატვრული

სიტყვა იგივეა, რაც მზის სხივი ბუნებაში ანდა წყვდიადში ქრის მოწყვეტილი წმინდა ლამპარი. ოქტომბრის რევოლუციამ დაისტურა, რომ პოვზისა და ლიტერატურის "ინტელექტუალური უწმინდესი და უმართლესია, ბლოკს რომ „12“-ის მეტი არაფერი არ დაეწერა, ის შეინც უწმინდესი მართლი პრობლემად ჩასეთის კულტურაში. ლიტერატურა შედგებ იყო უდიდესი მსაჯელი ცხოვრებისა. ათინის ცხოვრების გასაცნობად უკედავი პლატონი არისტოფანეს კრძედიებზე მიუთითებდა. ჩვენი თაობის განცდებთანაც ლიტერატურა ყველაზე ინტიმურ კავშირშია. ლიტერატურა ცხოვრების ფილოსოფიაა.

— შენა ხაჩ, ვივი, სიტყვის კონგლორი. საიდან არის ეს შურსაკული ეარგონი აზროვნებისა? საიდან არის ეს ლიტერატურული მწვალებლობა და ნეერასტერიული სევდა რევოლუციონური ქარტებილობით აღგზნებულ ქვეყანაში? შენ ყოველი ისტორიული მოვლენა ტრაგედიაში ვათაშებულ როლიდ წარმოგიდგენია, რომელსაც იმთავითვე აქვს თავისი გარკვეული ენა, სტილი და სხვა. განა ადამიანების ნებისყოფა თავისუფალია? განა აჩერბობს ქრისტი მთლიანი ლიტერატურა, რომლის სიტმინდეზედაც უნდა ყიყოთ ყველანი დაფიცული? რად იგიწყებ, რომ ბლოკს გარდა იმდროინდელ ლიტერატურას ბლობად ესხა აგრეთვე შეამიანი შევი ვარდები. განა ამაყი მწვერევალი თლიმპისა არ იყო გაყოფილი ორ მოპირდაპირე ბანაკად, ისე, როგორც თვითონ ცხოვრება? განა ვინჩეს-თვის საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ რევოლუციას თავის შემოქმედებით პროცესში ხშირად მოუხდა სოციალური ანბანისა და გამრავლების ცხრილის სწავლება იმათვეისაც, ვისთვისაც ცნობილი იყო უმაღლესი მათემატიკა?

მრისხან ისტორიული კონფლიქტების მიჯნაზე ხელოვნება ვერ დარჩება ნეიტრალური, თუ არ უნდა ულალატოს თავის უმაღლეს მოწოდებას. მეტსაც ვიტყვი: ხელოვნების სამეცნ სჯობს დაიღუპოს, ვიდრე იყოს ყალბი მომღერალი ძეველი დრომოქმედული ბურჟუაზიული სინამდვილისა.

განახლების გზნება, გამოწვეული მუშათა კლასის რევოლუციონური გარდატეხებით, უდიდესი წყაროა მხატვრული შემოქმედებისათვის..

რევოლუციის პერიოდში განსაცეირებელი სისწრაფით ხდება წინანდელი იდეოლოგიური ფორმების ისტორიული კრებაცა. რევოლუციის ადამიანს ერთვერად უჭირს ნათლად განიცადოს სინამდვილის ის კოშვარი, რომელიც ქმნიდა ობლომოვის ტიპს, რომელიც ცხოვრების უძლიერესი კონფლიქტების გადაწყვეტის აღლევდა ნილილისტური, ინდივიდუალსტური ბუნტარობის პათოლოგიურ ფორმებს, როგორც ეს მოცემული გვაქვს ჩასკოლნიკოვებისა და კარამაზოვების სატანისებურ ფილოსოფიაში.

შეიძლება, ვივი, კაპიტალიზმის ციზნიმისა და იმპერიალისტური ომის საშინელებათა განცდა ხელს ვიშლიდეს, რომ აღიარო დღესაც ბურჟუაზიულ სალონებში შემუშავებული სენტენცია — „რევოლუციაზე მაღლა ვენერა

მიღოსელია” - ო. შენ უმთავრესად ფიქტიური კმაყოფილდები ჩემი, სადაც იშლება ორალური ცხოვრება თავის ტრაგიულ კოლიზებში. მე თუ, როცა წარსულის ქრონიკებში ვხდები მმგვარ აზრები, ძალაშენებურად მაგონ-დება ვალტერის ვულგარული ცინიზი. როცა ეს ფერწერული მუსიკი ექა-ტერინე მეორისაგან ღებულობდა წერილებს, მმბობდა, რომ ამ წერილე-ბის წაკითხვა მასში, უკვე მოხუცში, მუდამ მუცლის აშლას იწვევს.

— ფუქ, უზრდელი და ფლიდი მოხუცი! — სოქვა გივიმ და სხევბთან ერთად მოპყა სიცილს. კუპეში გაისმოდა მხოლოდ მხიარული ხარხარი. ცოტა ხნით გართული იყვნენ შემთხვევითი საუბრით. საკმაოდ გვიან იყო და ჩერი მგზავრები შეუდგენ შზადებას დასაწილად.

გვიო და გიორგი ავიდენ ზემოთ, კუპეს მეორე სართულში. ვალერია და ანა მიხაილოვა კი ქვევით დარჩენ.

ერთს ხამს სიჩუმე იყო კუპეში. თითქოს ყველანი ძილს მისუემოდენ. მხოლოდ ვალერია განიცდიდა ერთგვარ მღელიარებას. მას ძილი სრუ-ლიად არ ეკარებოდა, იგონებდა კამათის მწევავე შომენტებს და გრძნობდა, რომ გიორგის სიტყვაში ხშირად საზღვარი გადაღლახული იყო.

თითონ ხომ მოუთმენლად მოელოდა გიორგისა და გვიოს შეხვედრას! სანამ პირდაპირ ეტყოდა ჩამეს გიორგის, ვალერიას განზრახული ჰქონ-და როგორმე უშეალოდ დარწმუნებულიყო იმაში, თუ რა შთაბეჭდილე-ბას დასტოებდა გვიო გიორგიშე.

კამათშია გამოააშეარავა, რომ გიორგი აზროვნების სიძლიერით და გან-ცდათა სიღრმით საგრძნობლად აღმატებოდა გვიოს. რევოლუციის ქარ-ტეხილებში აღზრდილს, ძლიერი ვნებით აღფრთვანებულ მეცნიერისა და რევოლუციის ჩაინდს — გვიო, ჩასაკირცველია, ვერ შეედრებოდა. თანაც მისი ქალერი თავმოყვარეობა დაექნებით მოითხოვდა გვიოს დაცვას, და ხშირად კამათში, გიორგის სიტყვებში ვალერია გვიოს დამცირებას ხე-დავდა. მმგვარ განცდებს ჯერ კიდევ ჰქონდა აღვილი ვალერიაში, რად-გან მათ დამოკიდებულებას ჯერ არა ჰქონდა მიღებული იმ ძლიერი ვნე-ბის ხსიათი, რომელიც ქარიშხალივით იყაფავს გზას, მიუხედავად ყოველ-გვარ დაბრკოლებისა.

გვიო ვალერიამ გაიცნო სკანდინავიის ერთ-ერთ ქალაქში: მიელინები-დან მომავალი საბჭოთა კავშირში, ის რამდენიმე სწილ შეწერდა ერთი თავისი მეგობრის ოჯახში, რომელიც მსახურებდა საბჭოთა საკონსულოში. გვიოც აზალი ჩასული იყო იქ გერმანიიდან, სადაც მას, რამდენიმე უც-ხოელ სტუდენტთან ერთად, ნიშანად პროტესტისა, დაეტოვებია სამხრეთ-გერმანიაში ერთ-ერთი უნივერსიტეტი. ისინი ერთმანეთს საკონსულოში შეხვდენ.

ვალერიას თვალშინ წარმოუდგა აზლო წარსულის სურათები; ნორვე-გიის ცისფერ ფიორდებში ნავებით სეირნობა გვიოსთან ერთად. ბუმბე-რაზული სიმშვიდე ამ ჩრდილოეთის ბუნებისა, რომელსაც დამიანის ძლე-ვამოსილი ზეგავლენის გამო თავისი სიმკაცრე დაუკარგავს: ცოცხალი და

პირქუში სანაპირო ქალაქები, რომელთა ცხოვრებაც ასე მარტივულად იქნა აწერილი კრუტ ჰამსუნს; ენერგიული და პატიოსები მოხერხები, რომელებიც ამ სანაპიროებს სიცოცხლის ელფერს ძლიერენ. ეს სამშეცდე და ბუნების პირელთავანობა ევროპის კულტურის გვერცხული ავონ-დებოდა ვალერიას ერთი ამგვარი საღამო და ფილიცერში ჩატარდა გასე-ირნება. მას აკონდება ბალზაკი, რომელმაც უდიდესი მუსიკალობა და სი-ლამაზე დაანახა იალქინ-აშლილი ნაერს ნაერლში... მხატვრული სილა-მაზე იმავე დროს თურმე უმაღლესი სიმართლეცაა. გბენისა და ჰამსუნის სამშობლოში ვალერიამ და გივიმ ბერი ტებილი დღე გაატარეს ერთად. გივი ბერის უამბობდა ვალერიას ამ ქვეყნის მდიდარ კონსუ, და ლე-გენდარული გმირები დგებოდენ სკანდინავიის ნაპირების კლდოვან ბექო-ბებზე, როგორც მეაცრი ეკინგები...

რევოლუციის ქვეყანაში აღზრდილ, გივანტური მშენებლობის ენტუ-ზიაზით აღფიროვანებულ, რევოლუციის უდიდესი გაქანებით მოჯადოე-ბულ ვალერიას, რასაკირველია, კერ იზიდავდა საკუთარი პიროვნების ნაკუკში შემწყვდებული უცხოეთში შეხვედრილი ახალგაზრდობა.

გივი მათ შორის გამონაკლისა წარმოადგენდა თავისი გულწრფელო-ბით და იდეურობით. მეხსიერებაში დგებოდენ რევოლუციონური რესე-ტის სტუდენტობის უწმინდესი სახეები, როცა უცხოეთში გამონაკლისის სახით შეხვდებოდი აქეთ იდეურ ახალგაზრდებს.

გარდა ამისა ვალერიაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გივი. შო-ქმედებამ, როცა, ნიშანად პროტესტისა, მან გერმანიის უნივერსიტეტი და-სტოვა და სკანდინავიაში გადაეიდა. გერმანიის მდგომარეობა ამ ბოლო დროს მთლიანად შეცვლილიყო. ვორთეს და შილერის გერმანიას სისხლით შელებილი ფარნით, სადისტური გახელებით ანათებს მახინჯი დემონი — სისხლიან რენესანსის დოკტორი — გებელი.

ვალერია და გივი ჯერჯერობით მხოლოდ მეგობრები იყვნენ. იბსე-ნისა და ჰამსუნის სამშობლოში მათ არაფერი არ უთქვამთ ერთმანეთისა-თვის ინტიმური გრძნობების შესახებ.

ეს მოვონება თვალწინ ედგა ვალერიას იმ ღამეს, როცა კამათი შესწყვი-რეს გივიმ და გიორგიმ. ყველა მოსკენებული იყო თავის აღგილზე და ვალერიასაც არავინ უშლიდა ხელს თავისუფლად აქვოლოდა თავის ფიქ-რებს...

ცოტა ხნის შემდეგ მთელემარე ვალერია გამოაფხიზლა გაცხარებულ-შა კამათშა და შეამჩნია, რომ გამოლეიძებული გივი და გიორგი კვლავ განავრცხობდენ მიტოვებულ საუბარს.

ამის შემდეგ ვალერიას აღარ დაუძინია და მდუმარედ იცემებდა ყურა საუბარს ორ მამაკაცს შორის.

ლაპარაკობდა გიცი, როცა ვალერია ვამოფხიშლით კურულა.

ლამე თავისი ბერე თვალებით იყურებოდა ვაგრენა მარწმუნებელი. ვაგონის ელექტრონის შექი ილმაცერად ანათებდა.

— ევროპა უკანასკნელი კატასტროფის მოლოდინშია: — ის ამგამად წარმოადგენს პიზას კოშკს, რომელიც უფრო და უფრო ირყევა და მიეჭანება უფსერულისაკენ. თანამედროვე სოციალურ კრიზისთან ერთად კაპიტალისტური სამყარო ხასიათდება სულიერი შემოქმედების სრული მოწოდებით. ერთ დროს, სახელდობრ იმპერიალისტური ომის დასრულების პირველ წლებში, ევროპა არ იყო მოკლებული ერთგვარი სიამაყის გრძნობას და, სამსხვერპლო კოცონის სისხლიან ნათელთან ერთად, აქა-იქ დროებით, მოსხანდა ნაწილობრივი სტამბოლის სახე. ამ ფონზე იშლებოდა გერმანიისა და უნგრეთის ჩევოლუციების ტრაგედია.

ტრაგიულობის გრძნობას მოკლებული, ოფიციალური ევროპა მოჩვენებით სიმშეცვესაც ველარ ჰოთულობს თავის მხატვრულ ლიტერატურაში. რომელ ევროპიელს შეუძლია გაიმეოროს დღეს სპლინმორეული ინგლისელი სნობის სიტყვები: „მე არ ვიცი ინგლისის ისტორია, მე ვიცი მხოლოდ შექსპირი?“

იქ სადაც ერთ დროს იფინებოდა გერმანული ფილოსოფიის სიძლიერე და იმოდა გერმანული მუსიკის გზნეული ხმა, სადაც იკვეთებოდა დანტეს მარადიული სახე და ბობოქრობდა შემოქმედებითი რისხევით შეპყრობილი ტრაგიული სული მიქელ-ანჯელოსი, — ეს ევროპა დღეს პოლიტიკური ფსიქოზისა და ინკიზიციის სამყაროა.

დაუეიწყარი იქნება ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დასტოვა ბერლინის უნივერსიტეტის წინ კაუმბრიობის უდიდეს მთაზროვნეთა ნაწილობის დაწვემ. ევროპის ღმის მძიმე წყვდიადს ეს კოცონი საბედისტეროდ ანათებდა და მოაგონებდა კაუმბრიობის, რომ „უკვდავ“ ჰეროსტრატეს მხოლოდ უნიკო სისხლიანი კომენდიანტი მემკვიდრეები აღმოჩნდენ. ევროპა მოიხსნა, როგორც დიდი ისტორიული იდეა, უკვე ჰერგავს აზრს დასავლეთ-აღმოსავლეთის ტრადიციული დაპირისპირება.

— დღევნებელი ევროპა, გივი, მავონებს პარიზის კომუნას, შპრეს ნაპირებს, უნგრეთის ეელებს, ესპანიის ზეგანს. შენ ერთი შესანიშნავი შედარება მოიყავანე, როცა ევროპა შედარე პიზას კოშკს. მაგრამ ამავე დროს გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ თეთოთ შენ ამ კოშკის ტკუპატრიმარი ხარ, რომელიც გრძნობს თავის ეულობას და საზოგადოებრივ ობლობას, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ კოშკი იქცევა სწორედ იმის გამო, რომ ის ჭაობიან და მცოცავ ნიდაგზე აგებული.

ჩენ ჩევოლუციის ქვეყნიდან დისტანცია გვიქირავს ამ კოშკის მიმართ და ამიტომ ცხადია იმ ისტორიული საფუძვლის მერყეობა, რომელიც შეუმჩნეველი ხდება იმათთვის, ვინც პომპეუსის სადარაჯოზე ჯერ

კიდევ ხედავს უკანასკნელი გუშაგის ლეგენდარულ სახეს, რომელ ისიც არ შთაუნთქავს ცნელი ღავის მოზღვავებულ ნიაღვარს, რომელიც უკული არის.

ევროპა მოიხსნა, როგორც ისტორიული იდეა. ეს ტერაზიანიზმი აზრია და ეწინააღმდეგება თეოთ ისტორიულ სინამდვილეს. ევროპაში ანტოვონისტურ ეთარებაში უნდა ამჩნევდე ახალ რევოლუციონურ კლასს, პროლეტარიატს, რომელიც არ უნდა გავიცემდეს ვენისა და ესპანეთის შემდეგ. ევროპა არ არის ერთი მითიური არსება, ის სოციალურ წინააღმდეგობრშია გახლართული. აღმოსავლეთი რევოლუციონური განვითარების გზაზე შემდგარი და ამიტომ ჰყარგავს აზრს ტრადიციული მექანიკური და პირისაპირება აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ეს არა იმიტომ, რომ დასავლეთი ერთი განყენებული იდეას წარმომადგენელია, ხოლო აღმოსავლეთი — მეორისა. ეს იქნებოდა ისტორიის მისტიფიკაცია, ჩემთვიცი. თუ უკედავ ნიუტონს, როცა იგი მშვენიერ მზიან დღეს ბალში ისევნებდა, ვაშლის ხის ძირში მარტოდ-მარტო ერთი ვაშლი დაეცა ცხეირზე და ამან ის მიიკვანა უდიდესი მსოფლიო კანონის აღმოჩნდება, ზუ თუ თქვენ, რომელთა სახელიც ლეგიონია დღეს ევროპაში, სოციალისტურმა კატასტროფებმა, რომლის მოწმენიც თქვენ ხართ, არ უნდა მიგიუვანოთ უდიდესი რევოლუციონური კანონის შეცნობამდე?

მსგავსად როლანისა, ევროპის ინტელიგენციის პროგრესიულმა ელემენტებმაც თავი. უნდა დააღწიონ ფიქციებს და გადაჭრით ვაზიარონ არა მატერიალურობის იდეოლოგია, არამედ ასეთივე სიმტკიცით ჩაეგან პირდაპირ რევოლუციონურ ბრძოლაში. როგორც ბურეუაზიულ ხამიაროს მიერ გაყრილნი, თქვენ მხოლოდ ლამაზი სიტყვებისათვის ელით რევოლუციისაგან ჯილდოს.

ამგვარი გარდატეხისათვის აუცილებელია რევოლუციის კანონისაში წარსელა, რომ გევნოს ახალი დამასკის ხილვა და ვახელება, — გეუბნები იმავე სტილით, როგორსაც ეტრუ შენ. კანონის შეიძლება ზოგიერთისათვის, ფინც ერ მოახერხებს მთლიან გარდაქმნას, უდრიდეს სულიერ სიკედილს, მაგრამ რას ვიზამთ, ჩენი სინამდვილე უფრო მაღალია, ეიდრე ჩენი არსებობა, ამასთან გახსოვდეს ეთესელი ბრძენის ვზნეული თქმა, რომ ყოველი ამ ქვეყნად „Panta rei“.

ჰუმანიზმში მთავარი ადგილი, ვიორგი, ადამიანის პიროვნებას უჭირავს, მაგრამ ეს ინდივიდუალისტური მისი ელუფრი მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასოციალური. ულრმესი გაგებით ჰუმანიზმი ფართო სოციალური მოძღვრება იყო. ადამიანი — არა როგორსაც მეტაფიზიკური ლირებულება, განდგომილი მიწიერ სიცოცხლეს, დათრგუნვნილი სირიული ქრისტიანული ასკეზით, არამედ ადამიანი — განთავისუფლებული სოციალურ სიდუდეკირისაგან, შემომწმედი უმაღლესი კულტურული საუნჯისა და თვითვე განმდლელი ამქევენიური ცხოვრების სანეტარო სიხარულისა! ჰუმანიზმი იმხანად იყო მიწიერი ცხოვრების იდეის ბრწყინვალე გამარჯვება,

უძლიერებელი მისი ერთსი. ის უნივერსალური მსოფლიშინება იყო, რომლის  
მატარებლადაც მაშინ გამოდიოდა ახალი რევოლუციონური მუნიციპალიტეტი.

— ბურუუაზიული გაგება ჰერანიშმისა ემყარება, გივი, განყონებულ ცნებას ადამიანისა. სინამდვილეში კი ადამიანები იბრძოიან და ამ ბრძოლაში ზოგი რევოლუციისაკენაა, ზოგიც მისი წინააღმდეგია. მიწეზი ამისა ცხოვ-რების მატერიალურ პირობებშია და არა იღებში.

ჩვენ ვიყენებთ გამრავლების ცხრილს და ვიღებთ უმაღლეს შხატტერულ ლირებულებებს. რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა ჩვენ. ამავე დროს საჭიროდ მიგდაჩნდა აღვნიშვნოთ, რომ ფილიას ქალაქში იყო მონბა, რომ ავტორი „ფაეფონისა“, „ნადიმისა“ — პლატონი იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლის გარევეულ ფრონტზე იდგა, რომ პეტრარქა, პაპობა უნდოდა. და სხვა. წარსულის კულტურის საუჯვეთა მიღება არ ნიშნავს ჩვენთვის წარსულის კანონიზაციას: ეს მიღება საშუალებაა მისი მოსწონისა და უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის.

— მე იმთავითე ას კინიარებდი, ვიორგი, ევროპის წერილშურულებაზე იულ ინტელიგენციაში საქმაოდ გაერცელებულ შეხედულებას რევოლუციაზე, რომლის მიხედვითაც რევოლუცია მისაღებია, რადგან ის არის დიდი სოციალური ექსპერიმენტი. ასეთი გაფეხა რევოლუციისა წმინდა წყლის მექანისტური ეულგარიზმია. რევოლუცია ადამიანური სამართლის ნობის ნათელი იდეის მატარებელია და ეს მომენტი იყო, რომ განსაზღვრავდა კანტის, გოეთეს და შილერის დამოკიდებულებას საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი. ეს მომენტია, რომ განსაზღვრავს რომენ როლანის უმშევიდესი გენის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლუციისადმი.

— გვივი, შენს სიტყუაში არის რევოლუციის გავებისა და მისი დიდი ბუნებოვანობის აღიარების ცდა. მაგრამ შენ შორსა ხარ რევოლუციის ნამდვილი გავებისაგან. მინდა მოგმართო ვავსტინის სიტყვით: შენთვის შეიძლება ყოველივე მისაწელომი იყოს, გარდა რევოლუციის გავებისა. რევოლუცია წარმოადგენს ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმაციების შინაგან წინააღმდევობათა მოხსნის აუცილებელ სახეს. როცა ქოვრების განვითარება წინააღმდევობაში ვარდება მანამდე არსებულ ფორმებთან, მაშინ დგება სოციალურ რევოლუციის ხანა. რევოლუცია ვერ ითმებს რაიმე პირობითს, ის ახდენს ჭვეულის დესიმუროლიზაციას. მისი მერანი

ციცხლის გრიგორიეთ გადაირბენს ისტორიის ქედებს, რომელიც აღმავალი კლასის ენერგიის ვნება.

სტიქიის სისასტიკით სპობს რევოლუცია ყოველიც მართვული არ ემსგავსება ძველ რომაულ ღმერთებს, რომელთაც, ადამიანთა ზაცლად, მსხვერპლად სწირავდენ ხახვისა და ყაფაჩოს თავებს, რომლებზედაც უნდა ეყარათ ღმერთებს თავიათი მრისხანე შერი. მსხვერპლის სანაცვლოდ, რომელსაც მოითხოვდა ყოველილიურად ტიბრი, რომაელნი მის მღელვარე ტალღებში აგდებდენ ლერწმისა და წნელისაგან დაწინულ ადამიანის გამოხატულებათ.

ასეთ პირობითობას და კომპრომისს მოკლებულია რევოლუციის გენია. რევოლუცია აუკილებელი მამოძრავებელია ქხორქების და შეუცვლელი ფაქტორი მისი ვანახლებისა. რევოლუციას ახასიათებს სისასტიკის ეროვნა, მაგრამ ამაში იგი იდეალს არ ხედავს: ეს სისასტიკე კლასთა შეურიგებელი წინააღმდეგობის შედევრია და იმდენადევ ერიცხება რევოლუციას, რამდენადაც თვით სახელმწიფოს.

პროლეტარულ რევოლუციაში მეღავნდება გონებისა და ნების უნიკერსალობა — „ადამიანის გრძნობადი მოქმედების ფორმაში“, როგორც მარქსი ამბობს. იდეალისტური ფილოსოფია უპირისპირდება ურთიერთ მოქმედებასა და ფილოსოფიას. ფიხტე ამბობდა: „ფილოსოფოსობა ნიშნავს არმოქმედებას, მოქმედება არფილოსოფოსობას“. პროლეტარული რევოლუცია, შეიარაღებული დალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობით, კატეგორიულად უარყოფის ისეთ დაპირისპირების, რომელ შიაც სინამდვილე „მხოლოდ ობიექტის ანუ განკვერეტის ფორმაშია მოცუმული“. აზრისა და გონების უყანასენელი სანქცია რეალური სინამდვილეა. რევოლუცია ადამიანის მქმედი ბუნების უმაღლესი გამომეღაენებაა. ფილოსოფები დღემდე სხვადასხვანაირად შეიცნობენ სამყაროს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შეცვლილ იქნას თვით სამყარო“. ესაა რევოლუციონური პროლეტარიატის ულტიმეტი ფილოსოფია.

ჩენონთვის მიუღებელია ყოველგვარი პერსონიფიკაცია რევოლუციისა, რომელიც დაპირისპირებული იქნება მასში მომქმედ ადამიანების მიმართ. ეს იქნებოდა რევოლუციის მისტიკიურია, რაც ჯერ კიდევ მრავალს აზასიათებს. „სწორედ მარქსის მოძღვრების მიხედვით არ არის სწირი დაუპირისპირი ადამიანები პირობებს. სწორედ ადამიანები, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ სწორად ესმით მოცუმული პირობები, ავრეთვე მათი შეცვლის საშუალებები, აეთებენ ისტორიას“, — აცხადებდა ლუდვიგთან საუბარში ჩენი ეპოქის განუმეორებელი გენია სტალინი.

ნუ დაივიწყებ, გვივი, რომ რევოლუციის, ისე, როგორც ისტორიას, აქეს თავისი განვითარების კანონები. მე განზრაბ არ ვლაპარაკობ ნივთიერი აღმშენებლობის შესახებ დღეს. მე აქ მაინტერესებდა მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის შინაგანი პათოსი, მისი ისტორიული სტილი, თორემ აღმშენებლობის გიგანტურ ქედებს კვლავადაც გადაიჩენს მერანი

რევოლუციისა. მაგრამ ერთი მაინც უნდა აღინიშნოს: უმთავრესი რევოლუციაში ისაა, რომ მან მოქალა ნივთების ფიქტია, ქადაგეთვის კლეიტონში. დღემდე მერკური მცერებულებდა და სტაციონარული მუზეუმები დროს სდემდა. არა სომილირის ფიქტია, არამედ მშრომელი აღამიანი და მისი მოხსოვნილებანი, — ან პროლეტარული რევოლუციის სამეურნეო პრინციპი.

პროლეტარიატს აღმოაჩნდა დიდი სამეურნეო გენია. ამას ამტკიცებს კარტის გიგანტური მშენებლობა. პროლეტარიატის ბრძოლის საკაცობრივ ხასიათი იმაში მდგრადარობას, რომ ის ისტორიის გარკვეულ საფეხურზე უარყოფს თავის თავს, როგორც კლასს, მანამ კი უცვლის ქვეყანას ფიზიკურ სახეს; გავიხსენოთ ზღვათა შემაერთი უდიდესი არხები, აგრეთვე კოლხიდმშენი. დაახ, ჩვენს კავშირში, ჩვენს უწმინდეს მიწაზე მონახა მოხუცმა ფაუსტმა ნამდვილი სამშობლო, — იმ ფაუსტმა, რომელმაც უმაღლეს იდეად თავისუფალი შრომის სამეცნო აღიარა. ამჟამად პროლეტარული რევოლუცია ითვისებს სამოქალაქო ცხოვრების დიდ სოციალისტურ სტილს. ესაა რევოლუციის ახალი რიტმი.

საუბარი, ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა, რომ კუპეს კარი არ შემოლებულიყო და გამყოლს არ შემოეძახა: „ორჯონიქიძე, ორჯონიქიძე“.

— მე მწამდა სიმართლე რევოლუციისა, ვიორგი.

— საჭირო იქნება რევოლუციის სინამდვილეს უბრალოდ მიუდგე და თავიდან მოიცილო მრავალი რამ, რომლისგანაც ჯერ ვერ განთავისუფლებულხარ. მე იმედი მაქვს, ჩვენი შემოქმედებითი სინამდვილე შენ გარდავქმნის და მაშინ სულ სხვა ჰანგზე ვისაცმლებთ.

უკვე მივედით იმ ქალაქში, რომელიც უწინ ატარებდა გაბატონებული ერის მიერ მინიჭებულ კოლონიალურ სახელს „ვლადიკავკაზი“. ეს სახელი კავკასიის განადგურებული და დამონქებული ერებისათვის მომვონი უნდა ყოფილიყო თავიანთი ისტორიული წარსულის საშინელი წლებისა, სანამ ოქტომბრის დღიმა რევოლუციამ არ აღადგინა ამ რევოლუციისათვის მებრძოლი ერების პატივი და დღება.

ამასობაში ქალებიც გამოფხილდენ და ჩვენმა მგზავრებმა გასწიეს ვაგონის გასაცელისაკენ.

ისინი კავკასიონის ქედის ძირად იყვნენ და გაპურუებდენ მყინვარის სპეტაკ შებლს, რომელსაც ოქტომბერის თალის მთლიანად გადაპუარებოდა.

აუტო გაშეავებით მიაქნებდა ჩვენ მგზავრებს ქედის სილრმისაკენ.


დოლა იყო და მშეოთვარე ხეობაც ილვიძებდა. თერგი არასდროს არ ყოფილია ისეთი ამაყი და ზევიადი...

იგი თამაშად მიაგორებდა თავის მღელვარე ტალღებს.





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი — სამეცნიერო გარემო



7. „მნათობა“ № 3

## მიხეილ ფოჭაძე

### უ რ ს ა ნ

მორჩილი ოდა დაუდგამს ურსამს  
ოდასთან ფიტე აწვდილა ცამდე,  
ფორჩობლის სისქე მოაჯირს ყურსავს  
და ფანჯრის მინებს შორიდან ანთებს.  
ღილით ეზოში გამოჰყავს ლაფშა  
სადაც ალმასებრ ლივლოვებს მოლი,  
ელვარე ტარო — დაჯდა და დაფშენა —  
და დაუყარა წინ როგორც ბროლი.  
„ვაი-ვარირა“-ს სიმღერა ისმის,  
გამვლელებს უქცერს ფანჯრიდან ცირა;  
ზღვიდან თანდათან ამოლის ნისლი  
თითქოს მოდისო მაისის წევმა...  
ვარ ქომეავშირის ერთგული წევრი  
მსურს შეეასრულო ნაკისრი გეგმა,  
ჩემგან ისწავლონ სიკეთე ბეერი  
ჩემი არტელის ახალგაზრდებმა...  
ეს სოქეა ვაეყაცმა და შეხტა მყისვე  
მოსწია ლაგამს, შეპერელა ველებს  
მიქეროდა შორს, უდაბურ ტყისკენ  
და რიტმიულად იქნედა ხელებს.  
მეორე ღილით მოიჭრა გმირი  
გაოფლილ თვალზე აკოცა ლაფშას,  
ფორჩობლის ნერგი ორასი ძირი  
გაღმოილ და მოუშეა ავეანდს...  
აიღო ბარი, გადასქრა ეზო  
მოსწვა გვიმრა და ეკალი მწირი,  
მზიურ სინათლით თვალი აექსო  
ებრძეის ნიადაგს. უღიმის პირი.  
ძარლებით ხლეჩავს ნესტიან ბელტებს  
კუნთების ბრუნვით მოლოში გადის,

გმირს არ უნდა, რომ ამას დასჯერდეს  
ზედ მარილივით მოაყრის პატივს...  
მოხაზა მიჯნა, გაჭირა ლარი ცარიცაში  
და გმირს, სიცემში აეწევა ხახა, გიგანტების  
მაგრამ ნერგების კვალში ჩამდგარი  
შევანე ფოთლების მდინარეს გაქცეა...  
ჩაუდგა თვალში ფოთლების ფერი  
ფოთლებისფერი — მდინარე ლურჯი,  
მიჭყვება კვალს, „ვარირას“ შეღრის  
ნაშ ფორთოხლებში ჩამდგარი ბურჯი...  
აიღო ბარი, გადაჭრა ეზო  
მოსწვა გვიმჩა და ეკალი მწირი,  
მზით და ფორთხლით თვალი აეცსო  
ებრძეის, ნიადაგს, ულიმის პირი...  
მორჩილი ოდა დაუდგამს ურსანს  
ფიჭვები ისევ აწვდილან ცამლე,  
ფორთოხლის სისქე მოაჯირს უკრსავს  
და ფანჯრის მინებს შორიდან ანთებს.



პეტრე ჯოსიძე

## ქველი ჭიათურა

ქუჩებში ცველგან კუპრივით შევი სატოპი ლაფი იდგა, იმერულ ხა-  
მიყიტნოებიდან სხეადასხვა სიმღერა გამოისმოდა. დუქნების წინ ქვაფე-  
ნილზე ქიანქცელებივით მოურიამშულე ხალხი მიმოდიოდა.

უნკელლავდა. გიორგობისთვე იყო.

მე ფირუზისფერი სატინის გახუნებული ხალათი და შელის ძალზე გა-  
ცრეცილი შარვალი მეცდა. თავზე ბატკის ტყავისაგან შეკერილი და  
ალაგალაგ ბოკელებ-გაყრევინებულა შევი ქუდი მეხურა. ფეხებზე უხეად  
დაკერებული მაღალყელა ხარაზული წულები მეცდა. ორივე ხელი ჯიბე-  
ებში მქონდა ჩადებული და ბერძენ ლამბოს ფურნის წინ ცხელ-ცხელი  
ლავაშის ყნოსვით ვტყებოდი. ხელად ვამოლებულ ლავაშს ჭილოფის  
ფუნჯით წყალში თხლად გაქნილ ფერილს უსვამდენ დასაწილებლად.

დიღხანს ვიდექი და შევუურბდი მშვენიერ ლავაშს. მისი ქამის სურ-  
ვილით დამთერალს, ყელში ვამირბოდა მოტყუებული ნერწყვი. რაც  
უფრო ლრმად ვაკვირდებოდი და ვითვალისწინებდი ლავაშის დაბლუჯვის,  
მით უფრო მიორუეცდებოდა მადა. ვიყო წყეული, თუ ასე ძლიერად რამე  
მენატრის ჩემს სიცოცხლეში!

უკანიდან ეიღაცის „გამარჯობა“ მომესმა.

— გაგომარჯოს! — წამოვიძახე მეც და მივბრუნდი მისკენ. უცნობს  
რუბისფერის ჩოხის დაფლეთილი წინა კალთები წელზე შემოეხვია, ბან-  
ჯველიანი შევი ქუდი ეხურა, დოოგანალის მოძველო ლურჯ შარვალზე  
შევი ქვის წერვოთი გათხუპნილი ჩექმები ეცვა, იღლიაში მომსხო ბზის  
ჯოხი ამოეხახა.

ერყობოდა მოიგვარადრე იყო.

— სიღოური ხაჩ, ბოშო! შენ? — შემეეითხა ის და პაპიროსიანი ხელი  
პირისაკენ წაიღო, მაგრამ რა ნახა, რომ დამწერიყო, გადააგდო და სხვა  
ამოიღო.

ვუთხარი სადაურიც ვიყავი.

— რა გვარი?

გვარიც გაუნობე. მან ჩემი გვარი გაიმეორა და წამოიძინა:

— იმე! ლუკასი ხომ არა?

— დიახ.

შევატყე გაუხარდა. მომიახლოედა და ქუდი უკარ გრძიშისჩი, თითქოს ჩემი უბედურების ამბავი ჩემსავე ზებლზე უნდა ამოიყითხოს.

— ჩვენი ლუკა, ჩეკი! პავილი! ხომ ცოცხალია, ბოშო?

— ცოცხალი გახლავთ, დიახ... — კუპასუხე მე.

რაღაც იმედი ვიგრძენი. გვედრზე მოქცეული ქუდი გავისწორე.

— ჟო, ლუკა ხომ ჩემი ძველი მეგობარია... — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— მერე და რას აკეთებ იქნე?

— სამუშევარს ვეძებ.

— სამუშევარს? რა სამუშევარს?

— რაც იქნება.

— დიდი ხანი ხარ იქნე?

— მერვე თვეა.

— გიმუშავნია სადმე?

— მარტო „ჩეკზე“, — კუპასუხე მე და კბილებ-დაკაწეანებულმა მოსწევის თხოვა გავუტედე.

— თუთუნი კი... აპა! — სთევა მან და ხალისინი ფაცა-ფუტით მომაწოდა შავი პატარა სათეთუნე კოლოფი, რომელშიაც ორი პაპიროსი-ღა იყო, ორიც ნახევრად დაცლილი. პაპიროსი ავიღე, მოვუკიდე და ხარბად წევა დაუკწყე. მთელი ოთხი დღე არ მომეწია და სული მიმდიოდა.

— სამუშევარი ამ კვირია და იმ კვირია მე ბევრი მექნება ტუნელში, ზაგრამ შენ, რავარც ხამი, არ ვიცი, შეძლებ თუ ვერა კაჭაზე? — სთევა მამიქემის მეგობარმა და შემომხედა.

— როგორ ვერ შევძლებ, თუ კი გაქნეთ! — ეუთხარი მე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ შევძლებდი, რადგან ვიცოდი, რომ ძნელი სამუშო იყო.

— თუ არ გიმუშავია?

— არა, მაგრამ შევძლებ.

ჩაფიქრდა, მიწას ჯოხით ბაგუნი დაუწყო და ქუჩაში რაღაცას თვალები ვაუშტერა. მეც ვაკერიმდი და ჩავიტრდი, უკეთ რომ ეთქა, ფიქრი ისე იმ ლავაშებზე გადავიტანე. რომლებიც ჩემს წინ მინების იქით გულ-საკლავებდ ჩახატულიყვნენ და მაღას მილესავდენ.

— მერე, საქმე რომ მოვცე, ბოშო, რავა იმუშავებ დღეში? — შემეკოთხა.

— არაა ეგ სავაჭრო, — ვთქვი მე და გამეცინა.

კვლავ ცოტა ხანს გამუმდა, პაპიროსის ზელიზედ ნაფაზი დაარტყა, გადააგდო, გააფურთხა და მითხრა:

— კაი აპა! გაფრინდაშვილის მაღანი თუ იცი, მონასტრის თავშე რომ არის?

— დიხახ, ვიცი.

— იცი და კეთილი! ამოხვალ აპა ხვალე დილით აღისინზე იქნე და შენი ჯამბავირი მე ვიცოდე... პა, რას იტყვი? ერთიც უამი

მაღლობა გადავუხადე ამ მოულოდნელი ბედის მომწამებადადაუყოვნებლივ პირობა მივეცი.

— პო და ასთე, ჩემო მოყვარე. მარა ერთი ეს მითხარი შენ: ტურ-ლები ხომ არ გასწავლეს აქანე?

— როგორ? — მეწყინა.

— არა, კი ნუ გეწყინება ეს, მოყვარე. ეს ადგილი, ჩემო კეთილო, ტურ-ლების ბუდეა. იქნება შენ ეს არც კი იცი. და, აი, რაკი სიმართლე ვერ ხარობს, აქანე იძისული კაცი ჯერ შორაპანში სტოვებს სეინიდისს და მერე მოძრება ამ ჯოჯოხეთში.

— აპა! — გაეცულიმე.

— პო და ასთე. არ მომატყუო, თვარა მე და შენი მეგობრობა ბოლოებით ამოვარდება. თუ არ ამოხვალ, სწორეთ უნდა ვიცოდე, რომ სხვა მაინც მოვინო ახლავე. ამიზა ვარ ჩამოსული დღეს.

— ბატონო, ნურც სხვას მოსძებნით და ნურც ჩემში დაეჭვდებით. მე ნამდვილად თქვენი მუშა ვარ ხეალიდან. ამაზე ვაძლევთ სიტყვას. მხოლოდ...

დაუიღმიქე.

— მხოლოდ რაი? — წარჩები აჭიმა და ყური ჩემთან მოიტანა. — რაი, რაი, თქვენ, მომო?

შეეწითლდი.

— უკაცრიავად კი ვარ, მარა პურს თქვენ რომელ ფურნიდან ხარჯავთ? — შეევითხე თველის წურვით და მარცხენა ხელის გულს მარჯვენა ხელის ცერით სრესა დავუწიყო.

— რა ვინდა მერე, გშია თუ?

ვაკენიმდი. მგონი მიმიხვდა.

— არა, იქნე, საიდანაც ეხარჯავ, ვერა, რაღვანაც მეც ბრევლი შექვს დანიხარჯი, ჯერ ისთევლე გოუსტუმრებელი. მარა აქანე, თუ მაერთ შენ ბედზე, კი ბატონო! — თქვა და ახალობის ჯიბეები მოიჩრია.

მეც ამ დროს ხელები ჯიბეებში ჩაეიყავი და სირცხეილის გადასატანად შეიგუშიროდ ვაფათურებდი. ჯიბეში ერთი პატარა დანა მეგდო. ამ დანას ვიჰერდი ცარიელ ჯიბეში და ისევ ვუშვებდი ხელიდან. ვაწვალებდი. როგორც კატამ იცის დაკერილი თავვის წვალება. რატომ ჩავდოდი ამის, რომ ვეკითხათ, გარევეულად ვერ ვიპასუხებდით. თვალი კი მოიჯარადის ჯიბეებისაკენ მქონდა მიქუეული. ისიც ძალიან სიფრთხილეს იჩინდა: ეშინოდა ხელს მეტი ფული არ ამოპოლოდა. მის ჯიბეში ვერცხლის ფულის წკრიალი გავიგონე და გულზე მომეშვა.

ერთი წუთის შემდევ ამოაძრინა მშენენირი სამშაურიანი და მითხა:

— ა, ბოშო, და შენი იმედით ვიქნები ხვალ, იცოდე!

— კი, ბატონო, კი, ნამდვილათ მენდეთ! — დავაიმედე გამოვა-  
რთვი ფული.

ჭრე გამშორდა. მე კი ლამბოს ფურნეში გაეაღინე მურა-  
ბა გამოვა-  
რთვი ფული.



მეორე დღეს გათენებას აღარც კი დავუცადე, რომ შევუდეს მონას-  
ტრის თავის გველივით დაკლავნილ აღმართის. რამდენიც მაღლა იყდო-  
დი, იმდენი გრძს სიხარული მეფინებოდა. უგრძობდი, რომ აქ ვილა-  
შველებოდა ქეცვის სიმწვევე. თავი ამაყალ მექინა.

კარგა მოშორებით, აღმართის გადასახედზე, ერთი კაცი დავინახე,  
ისიც იქით მიმავალი. ზურგზე ვებერთელა ტომარა ეკიდა. ფეხს ავუ-  
ჩქარე, მაღნებთან ძლიერ დავწიო. მისელისას უცნობი პურით სავსე პირ-  
მოკრულ ტომარაზე ჩამომჯდარი დამხვდა და ხან ერთი და ხან მეორე  
მკლავით სახეზე ოფლს იწმენდდა. მეც შევდექი, ცოტა შევისვენე, შებლ-  
ზე ხელი გადავისუი, მივიხედ-მოვიხედე და მერე დილის სალამით გამო-  
ვეხმაურე.

— გამარჯობა!

— გავიმარჯოს ღმერთმა! — მითხა მან ნალვლიანად.

— მეგობარო, გაფრინდაშვილის მადანი სად არის აქ; თუ იცით? —  
შევეკითხ.

— ვისი? გაფრინდაშვილის? რა ვიცი, ძმაო, ამ დასაქცივში გაფრინ-  
დაშვილის მადანიც ბევრია და გამოფრინდაშვილისაც, მაგრამ შენ რო-  
მელს ეძებ? სახელი რა ქვეა? — მიპასუხა მან ნალვლიანად. ეტყობოდა მა-  
ლარის მუშა იყო, მუღმიერი საქმით გაბეზრებული. მე, ცოტა არ იყოს,  
შემჩრეცა, გაფრინდაშვილის სახეზი არ ვიცოდი. — რა ქვიდ სახელი,  
ძმაო, დაგავიწყდა? — კვლავ შემეცითხა.

— დამავიწყდა, — ცუთხარი მე და მისახელებელი ნიშნები ვადა-  
ვეცი. მან გვერდზე ჩალაცას გახედა და მერე მომიგა:

— არ ვიცი, არა, — ჩაილაპარაკა ისეთი კილოთი, რომ შევატყე, თა-  
ვიდან ჩემი მოშორება უნდოდა.

— მონასტრის თავი ესაა ხომ? — ეკითხე მანც ყოველ შემთხვევი-  
სათვის.

— ესაა, — იყო ციფი პასუხი.

— ეჲ, ბეღნიერი კაცი ყოფილხარ შენ, ჩემთ ძმაო! — შევეცმირე  
ახლა და წასასვლელად მოცემშად.

— რავა, რაზე ამბობ მაგას? — შემომიბლვირი.

— რავა და მაგდენი პური რომ მომცა, შე კარგო კაცო, აქ რა ეშ-  
მავი დამაყენებლა!

შევატყე ეწყინა.

— აპა რას იზამდი?

— ჰმ, რას ვიზამდი და შევიტანდი აგერ ტყეში მაგ ჩემ ცოდვათ  
სავსეს და სანამდის მთლად არ გავსუნსლადი, არ მოეწევოთ.

— არ მოეწევობოდი... მერე, ვისთან გვქნებოდა საუკუნეფუძვლები  
დამაკვირდა.

— ვისთან და პურთან!

— პოო, კარგი მსუბუქი კაცი ყოფილხარ. მაშ ტყეში წაიღებდი, ჲა? წაიღებდი და იმდენს მოვართმევდენ მაგ კვევიან ბეჭებზე, რომ ეს პური  
კი არა, გვშინდელი პურიც კი დაგავიწყდებოდა სიმწარისაგან. იცი შენ  
ეს თე არა?

— რა იყო, ძმაო, რა ფიცხი კაცი ყოფილხარ. დაწყნარდი, გეხუმრე,  
თუ არა და რად მინდა შენი პური? ნე გეშინია მართლა კი არ გართმევ...

— ამა, შევიღებდიო, რო ამბობ, რავა შევიღებდი? იცი, ამაში რამდენი  
ჩემისთანა მშეერი მუშის სულია ჩამწვარი? გატყობა, ცხოვრებას ძალას  
აცდენილხარ!.. თქვა, კიდევ რაღაცის სათქმელად მოამზადა ტუჩები, მაგ-  
რამ უცებ ატეხილმა ხეელამ აღარ დააცადა ლაპარაკი. ყოველ დახველე-  
ბაშე ძალშე იგრინებოდა, მერე დორმბლიან ნახველს წამოაგდებდა ხოლმე.  
ეტყობოდა ავად იყო. — დიახ, ძალიან ფართო სურვილები გქონია, თუ  
ამდენი პური მოგინდა! — დააბოლოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვები  
ძლიერ ვამოსტაცა თავის დაუწყნარებელ ხეველებას. შევატყე ნამდვილი  
ქავები სქირდა. დაეამშეიდე, პურის წართმევა არც მიუიქნია მეთქი, და  
ჩემს გზას გავუდექი.

გზაშე ერთ ჩალანდარს კიდევ ვკითხე მამიჩემის მეგობრის მაღანი. ჩა-  
ლანდარი შეავიტოთ სავსე გოდრებ-აკიდებულ სამ ცხენს მიერეკებოდა  
დალმართხე.

ბოლოს, როგორც იყო, მოენახე გაფრინდაშეილის მაღანი. მამიჩემის  
მეგობარი მუშებთან ერთად იჯდა და მასლაათობდა. დამინახა თუ არა,  
შემომძახა:

— სად ხარ, ბოშო, ამდენხანს? გეძინა? დამლუპე კაცი!  
გავტემდი.

— არა, მაინც რათ დევგვიან აქამდი? გზა ხო არ დევგებნა, ბოშო?

— დიახ, აღრე აედევქი, მაგრამ კითხვა-კითხეაში დამიგვიანდა ცოტა...

— ავ ვაციო, ასე არ მითხარი გუშინ? უკეე გისწიელია ტყვილი.  
აფერუმ! დამატება კაცი და ესა! — სოჭვა და მიტრიალდა მუშებისა-  
კენ. — ამა, ალდეზა, ჩამოხტი ახლა ჩქარა, თუ კაცი ზარ, შეიყვანე ეს  
კაცი და ჩამოყენ იმ მშობელიძლი მიხაჭას ალაგშე. ამა, ჰე! ჩქარა, გა-  
ცდენის დრო აღარაა, ხო იცი! — უთხრა ერთ-ერთ მუშას, რომელსაც-  
პირზე თხის დოქი მოეყუდებია და მეკრდზე გრძლად და სქლად და-  
ფუნილ ჭალარა წევრზე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

ალფუზამ დოქი ძირს დადო, მერე ნესტურისაგან მწვეთარე ჯურლმულში  
მიკრა თავი.

აქა-იქ კედლებზე მიქრული პატარა თუნუქის ჭრაჭები შეუძინდა. ბოლო გამდგარიყო. შესვლისთანავე მშეღელობა დავკარგე. ხელების ფათურით და გაუბედავი ნაბიჯით მიედევდი ალფეზის უფრო ცლულება კი ვაძლებულად მიაბიჯებდა, ოლონდ ხშირად აფუროსხებდმი გამოისავა.

— ხამი ხომ არა ხაჩ, მეგობარო, გვირაბში? — შემეცითხა ალფეზა, რომელმაც არეული ნაბიჯი შემატყო.

— პირველად ვარ.

— ჰო, არაფერია, მალე მიეჩვევი. ჩავა ვოურიგდი დღეში, მაგ შეწყვებულს? — კელავ შემეცითხა უოტა ხნის შემდეგ.

— რა ვიცი, თეოთონ იცის.

— ჩავა, არ ვარიგებულხარ?

— არა.

— აპა! — გაიკვირვა. — მის სინდისს ხომ არ ენდვე? გაფრინდაშეოლის სინდისის ვის ვოუგონია? შენ იქნე უნდა მორიგებოდი მაგას, — მოქადა ლბათ მამიაჩემის მეგობრისაგან გულნატკენმა ალფეზამ და გაჩუმდა.

— რა სახელი ჰქვია ჩვენს ხაზის? — შევეცითხე.

— ვრიგოლი, ღმერთი კი დააკცევს მაგის ოჯახს!

ამის შემდეგ გაჩუმებული მიედიოდი. აყროლებულ და ბნელ გვირაბში ცეკვდარი სისუმე იყო. შორლოდ შორილან ნაწყვეტ-ნაწყვეტი გრძელნი მოისმოდა. ხმა თანდათან იზრდებოდა და გვიახლოვდებოდა.

— აპა, მოვეცალოთ, ბოშო, მარცხნიდ! კაცეკი მოდიონ, — მომესმა ამ დროს ალფეზას ხმა და ღამის ქურდებივით სველ კედელს გაცეკარით.

— გრძელი... — მოახლოვდა ხმა და ექვსმა შავი ქვით სავსე მაზილამ ქარიგით ჩაგვიჭროლა. ჩვენ ისევ განვაგრძეთ გზა.

— რა გრძელი გვირაბი ყოფილა! — ვთქვი მე.

— ჰო, ქეთ გვარიანი.

— რამდენია სიგრძით, ნეტავი?

— ას ცაშეტი საერნი.

— ჩემი სამუშაო შორსაა კიდევ?

— არა, მივეღით და ისაა! — გამამხნევა ალფეზამ.

ალფეზამ მისელისთანავე ერთ გორგოლაჭიან მაზილას ხელი დაავლოდა მითხრა:

— აი, ბიძია, ეს არის შენი კაცეა. იპოლიტე, აპა, გოუფსე ახლა ამ კაცს კაცება და გოუშეი ჩქარა, თვარა შემჭამა იმ წყეულმა! — უთხრა ალფეზამ იქვე მდგომ ზანგივით ზავ მეზის, რომელსაც ნიჩაბი ხელში ეჭირა და მაზილას ელოდებოდა. მის ახლოს, მარჯვნიდ შეთხრილ პატარა გვირაბში მეორე მუშა კოდალა ჩიტივით მიპკროდა მურიან კედელს და წერაქეს უჩაკუნებდა ღილინით.

მე გარინდებული ეიდექი და ვფიქრობდი, ნეტა თუ კიდევ მეღირსე ბოლო მზიანი ქვეყნის დანახვა. ალფეზა, შესრულა თუ არა თავისი მოალეობა, მაშინეუ უკან გაბრუნდა. მენიჩემ ჩემი მაზილის აესება და-

იწყო. მალე გარედან მომივალი მაზიდებიც შემოვევემატენ. ჩამოვან, ჩემი მაზიდა პირველად აიცხო, გატანის პირველი ჯერიც მე შერჩო, მე, რასა-კვირველია, მუშებთან შეხი არ გავიტეხ, დაეტაცი ხელში შემსჭრე თუ გრძლად გამოშვერილ მკლავს და გარედ გამოტანა დაჭრისას ქაციანების მან-ძილი მშეღობიანად გავაგორე, მაგრამ მალე დაემარტებდი: მაზიდის სა-გოლგოლაქე ძირს-დაფენილ ფიტრიდან გადამიცდა და ლაფში ტყაპანი გაადინა. მიეცედი, რომ სავსე მაზიდები მალე მომაღვებოდენ და თუ სა-ჩქაროდ გზას არ გავანთავისუფლებდი, საქმე შეფერხდებოდა და მთელი პასუხისმგებლობა მე დამეკისრებოდა. ამიტომ მოვიკრიბე რაც ძალი და ლონე მქონდა და ეცალე 12 ფუთიანი მაზიდის გადატანა ფიტრშე. მაგ-რამ მაზიდა ისე ლრმად ჩაფლულიყო წებოსავით ლაფში, რომ ეკრც კი შევანძრიყ. კორა ხნის შემდეგ მომესმა მაზიდების გრიალიც. დაეიძნი, შემდეგ ამიტანა და ლრიალი მოერთე: მოვუწოდებდი ამხანაგებს მომშეე-ლებოდენ. მუშებმა მაზიდები შეაჩერეს და ამბის გასაგებად მოვიდენ.

— რა იყო, კაცო? — მექითხებოდა ყველა.

— რა და კაცება დამეფლო. ამხანაგებო, მიშველეთ, თუ ძმობა ვწამთ! — ეთხოვე.

ჯერ სიტყვა არც კი დამემთავრებია, რომ ერთმა შემომიტია:

— ფუ, შეგირტებეს სინდისი. მახელა კაცს რავა გადავივარდა კაცება? რა გეკაცა მაგის მეტი ხელებში? ახლა აქ უნდა გიყურყუტოთ შენ! თუ არ იცოდი მუშაობა, რა მოგარბეინებდა ამ სატიალოში!

მე განუმებული ვიდექი და, თითქოს წინ ცხედარი შესვენა, დალონე-ცული დაცურუებდი ჩემ კაცებს. ვის რას ეკრული? ცსდუმდი.

— ბესარიონ, შე კაცო, რა გაჯავრებს ახლა შენ? რა უყოთ მერე, ხაში კაცა, მიშველება უნდა! — მერე ამხანაგებს დასჭირებულა: — პა, პა, რალას უყურებთ? წააყენეთ თქეენ თქვენი კაცები წინ! თელორე, მალა-ქია, ოლიმპია, ჩქარა დ ამოვრჩით!

იმათაც წააყენეს თავიანთი მაზიდები წინ.

— პოდა ასთე, მოყიდე ხელი, ბოშო, ახლა შენ კაცებს და აეწიოთ. — მითხრა.

ვიცი მაზიდას და მისი დახმარებით, როგორც იყო, გადავიტანე ფიტრაზე.

— ასე, ბიძია, მოყევი ახლა ჩემ კვალს, მარა თვალები ქე გააღე. კი-დო ასასად ჩააყუდო კაცება, თვარა სულ კი ეყლირ ვიშველით...

რაკი ეშველა ჩემ მკვდარს, მიეყენი ამ კეთილი აღამიანის კვალს და გარედ გავიტანე.

მკლავებსა და მუხლებში დიდი ძალა დამადგა, მაგრამ ამაზე ილარ ვფიქრობდი. „ალბად, შეცერვევი და მერე ალარ გამიძნელდება!“ — გავი-ფიტრე და ამ ნუცემით ცარიელ მაზიდას ვეირაბში მიგარახებდი.

შეა დღე შეიქმა. კა მოლრუბლული იყო. ძალზე ციოდა. მე თერომე-ტი მაზიდა მქონდა გამოტანილი და მიხარიდა. მაგრამ ხელის გულები

ծյանց հետեւ մալուն մերժվութա. մաս Շըմեց յուզա պատճեն համար գամոց անցանք. մերը մենոինքը ոռոյ գամոցահուցու դա, հոմ մյուլացահուցու մալա ան գամերանցնու, մանուկու նյուղեծ հայածու ոռոյու յուրաքանչիւր, եռուս ոռոյու Շոյ առցոլու յուսերին քաջացացու. ոյնցիւ կայութիւնը աշխարհ քաջացացու մաս և ասչալուսատցու. մաշրամ անլա երլու զայետյուլ գուլութիւն և սուսելմա գամոյիպա գոյնա. առան Շըմեցլու մանուկուսատցու երլու եղութ. հուր մալուն Շըմայիշեա դա մոտմունցիւնուն գամոցըն, երլութ լուծու Շըմոյիպա դա զայութիւն ունուն բորտան յայած համոցչայքի, ուն Ծյուղուսացան զոյրա եղութ.

մամոինքու մեցանարո ամ գրիս ուրուն անցութա քաջալութ. գամոնան ույ ան, մութեածեա:

— Իս ոյս, մոցարոյ, հաս ոյսպանցնու? նո արացուրո գայիպա?

— Ան, մաշրամ երլութ գամուսկա դա մերժու, — լուտեարո մը.

— Ոսս... մերը մացու հաօս, նութ? մանուկու յացու մայան Շըցամունա! — ստիպա դա իմացութա հիմքնեն. — մանուկու ան, նութ! կերոնցեցուլո մինուս հիմունացան նուստացու յորտու լուսու զուլու, Շըցալութ ույ ան, մանուկու զայութելութեա, — մոտերու դա գամեցա իպալութ.

— “Ցշունա Շոնա համեց Շըցամունա, միան մոցարոհունա”... — դա զաձեա.

— Եյ, ամե Շըցու անլա զայութիւն, մացաւ առան սնճա ծցուրո լութարայու աՇյարո ոյս, գամունութա. մը առցոլութա ան զուտութ. մամոինքու մեցանարմա ուցու մոլու մայու դա զալումմածեա:

ნიცის სწამს მსოფლიო როგორც ქალი, როგორც ირაციონალურ და მტრულ ძალთა უაზრო თამაში, რომელიც ასე თუ ისე მისაღები და ასატანი ხდება მისთვის მხოლოდ შენიდბული და დეფორმირებული მხატვრული სტილიზაციის შემდეგ. ნიციშე თანამედროვე ფაშისტური ანტირეალიზმის მამამთავარია, ხელოვნება მას რჩეულთა ხევდრად მიაჩინა. მდაბიოთა, „აფლიან პლებების“ ხელოვნებას იგი დემაგოგიურ ხელოვნებას უწოდებს (მაგ., ვაგნერს ან ვიქტორ ჰიუგოს), მაშინ, როდესაც სტენდალი ასე ახლოა ჩენენთან, როდესაც ამბობს — „გენია ყოველთვის ცუცქლობს ხალხში, როგორც გამონაკვესი კატეტი“. ან კიდევ: „მე არ შემიძლია წარმოედგინო ხელოვნება იმ სოციალურ პირობათა გარეშე, რომელიც მიყოფება იმყოფება ესა თუ ის ხალხი. მათში და მხოლოდ მათში პოულობს იგი თავის ძალას და სისუსტეს, იძნეს მნიშვნელობას ან გაცვეთილ რამ სავნად ხდება“. რა არის აქ საერთო? მეტი გამსხვევების, მეტი პოლარობის წარმოდგენა შეუძლებელია. ვ. ქიქოძე რაღაც განცენებულ კოსმოპოლიტად გეიზატაეს სტენდალს. იგი თავის თავს ფრანგიდა არა სთელის, დილაბანს არც ფრანგები სთვლიან მას თავისიანადო. რატომ, რისთვის ან რომელ ფრანგებზეა აქ ლაპარაკი? ამის შესახებ მყითხველი ამაოდ ეძებს პასუხს ქიქოძის წერილში. საქმე კი სტენდალის ბიოგრაფიის საესებით კონკრეტულ და მეტად მნიშვნელოვან ფაქტს შეეხება: როდესაც საფრანგეთის ხელისუფლებამ 1840 წ. საზიზლარი ანტისემიტური გამოსულა მოაწყო დამასკოში, სტენდალმა (საფრანგეთის კონსულმა იტალიის პატარა ქალაქ ჩივიტა-ვეკიაში) ოფიციალური უარი განაცხადა როგორც კომისულობაზე, ისე საფრანგეთის მოქალაქეობაზე.



სტენდალის რომანის ყველა ფრანგულ (ჩვენ ხელთ გვაქვს კალმან-ლევის გამოცემა) და მათდა კვალად ყველა ჩუსულ გამოცემის აქვს ორი ქვეხათაური: „მე-19 საუკუნის ქრონიკა“ და „1830 წლის ქრონიკა“, ორი-

ეს ქვესათაური წამძღვარებული აქვს რომანის ორივე ნიშნული. ქართულ თარგმანს მეორე ქვესათაური არა აქვს. რატომ? ეს არ არის წერილ-მანი. რომანი გამოიციდა ე. წ. ივლისის მონარქიის ეპოქაში: ცაცათული-პეს დროს და რათა თანადროულობის სიმწვავე აეკრძინა: საბჭოში ჩაწარ-მოებისათვის (არ იფიქროთ, ეს ჩვენს ეპოქას შეეხება, არა, ეს ტახტიდან ვაძევებულ კარლის X დროს ეხება) სრენდალს გამოცემაშე მიუწერია — ყველაფერი აქ აწერილი 1827 — 28 წლების ამბებია. ბელგიაში შემდეგ ვამოცემულ იმავე რომანს და ყველა შემდგომ ვამოცემას აუცილებლად თან ახლავს ქვესათაური „1830 წლის ქრონიკა“.

ქართულ თარგმანში ვეითხულობთ (გვ. 18): „მან (კულიენმა) იკოდა ავრეთვე (რეაქციის ახალი სახარება) ეოზეფ-დე-მესტრის წიგნი „პაპისა-თვის“. ჩვენ მიერ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები „რეაქციის ახალი სა-ხარება“ ფრანგულ ტექსტში (გვ. 19) არ მოიპოვება და არ მოიპოვება გასაგები მიზნებით. თუმცა მწერალი სწორედ ასე აფასებდა ამ წიგნს, მაგრამ მის ასეთ პირდაპირ და მკაცრ შეფასებას იქ ვერ მოათავსებდა ისეთ პირობებში, როდესაც თვით ამბის თარიღისაც ნიღბავდა, როგორც ზემოთ დაეინახეთ. ასეთი განმარტების შეტანა სრენდალის ტექსტში ყოვ-ლად დაუშეებელია. სიტყვების, მოვლენების, ისტორიული ფაქტების და სხვათა განმარტება აუცილებლად საჭიროა და მათი უჭინობა, სხვათა შორის, ერთ-ერთი ნაკლია ჩვენი გამოცემისა.

მე-21 გვერდზე „კონტიტუციონელ“-ი ლიბერალურ გაზეთადაა აღ-ნიშნული, სრენდალს კი (იხ. ფრანგ., გვ. 22) მხოლოდ გაზეთის სახელი აქვს და სხვა არაფერი.

უსათუოდ განმარტება სტილური ისეთ ცნებებს, როგორიცაა მაგ.: „პატრიოტი“ (რადგან საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის და მის შომდევნო ეპოქაში ეს სიტყვა ესმოდათ როგორც რესპუბლიკუ-ლი, იაკობინელი, ისევე, როგორც სიტყვა „ლიბერალი“; შემდეგ მათ სხვა შინაარსი მიეცა. ჩვენს ეპოქაში ცნება „საბჭოთა პატრიოტიზმს“ სულ ახალი; სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის შინაარსი და ბევრი ეძლევა (ამის შესახებ იხ. „Правда“-ს მოწინავე. 19/III, 1935 წ.). ასეთია ერთი ცნების დიალექტიკა სხვადასხვა ისტორიულ პირობებში).

ხე-ტყის სახერხავს და ხე-ტყის ვაჭრის მაგივრად მთარგმნელი არა-სწორად ხმარობს შეშის სახერხავს და შეშის ვაჭარს (გვ. 1, 3, 20, 66 და სხვ.).

1-ლ გვერდზე ლაპარაკია ყეველა შენობის გადაკეთებაზე, ფრანგულად კი მხოლოდ ფასადებით აღნიშნული.

„კელლებიც... მოწმობს, რომ ბ. დე რენალს რეინის ალებმიცემობაში დიდი ცოდნა აქვს“ (გვ. 3) — გაუვებარია. ნამდვილად კი აქ ის აზრია, რომ ეს კედლები აგებული იყო დე რენალის ვაჭრობით მოგებული ფულით.

არ არის მოხდენილი: „სტატიებს დაბეჭდს“ (გვ. 7).

სიტყვა „უსწორმასწორი“ არ უდგებია ორც სახის ნაკვეთების გადმოცემას (გვ. 2). და ორც ხასიათს — „ქ. დე ჩენალი შეტად გაუბრედავი და ალბათ უსწორმასწორი ხასიათის ქალი“ (გვ. 10).

ას შეიძლება თქმა: „ეს იყო გულუბრუფილო სული“ (12).

„პეტერი დოსტაქის ომის მოთხრობები“ — დოსტაქის მოუთხრობს ომზე, აქ კი დოსტაქის ომი გვაქვს (24).

„როცა იგი (ქ. დე ჩენალი) დაშორებული იყო მამაյაცის თვალებს“ (24). ფრანგულადა „regards des hommes“ (25), ე. ი. როცა მას უცხოან სხვისი თვალი არ უცურებდა, და არა მამაյაცის.

„ფრაზები“: „რომ ასეთი მომზიბლავი ხ-ლვა მოყოლოდეს ასეთ შემაშეუთებელ მოლოდინს“ (26), ან „მე ვთრთი, იმიტომ რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად შევდივარ უცხო სახლში“ (28) — გადმოტანილია, მაგრამ ქართულად გადმოთარგმნილად ეკრ ჩაითვლება.

ფრაზები: „ქალი იმდენად დამშეიცებული იყო უულიენის გარეგნობით“ (29) — გარეგნობის (apparence) მაგირ უნდა იყოს laprésence (იქ ყოფნით — ფრანგ. 30 გვ.).

ფრაზები: „ყოველ მის მოძრაობას რაღაც შეაფრი სიგირძეე ეტყობოდა“ (30) და „ეულიენმა ისე კარგად დააყენა თავისი თავი“ — მოყებულია ქართულ იერს.

„ამრიგად უულიენის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა სხვადასხვა მოლაპარაკების“ (38) — გაუგებარია. აქ ლაპარაკია ჟულიენის მოხერხებაზე, ეშმაკობაზე (ფრანგ. 41 გვ.).

„ვერიერის მერის ოჯაბში მან იგიე ზნეობრივი პოზიცია დაიჭირა“ (38) სიტყვა-სიტყვით გადმოგეცემს ფრანგულ ტექსტს, მაგრამ რუსული თარგმანი უფრო ვასაცემი და მართებულიყაა: „ზნეობრივი სიმარტიე, რომელსაც იგი თავის სახლში განიცდიდა, ვერიერის მერის სახლშიაც არ სტრცებდა მას“ (იხ. 1932 წ. რუს. გამოცემა მ. გორკის რედ.).

მიუღებელია: „მე ბ. შელამს უნდა მოველაპარაკო ჩემი სინიდისის შესახებ“ (56). უნდა იყოს: „გული გადავუშალო“, „ალსარებით მიეიდე“ და ა. შ.

აზრის პირდაპირი დამახინჯებაა: „ოცი წლის პასაქში ყოველოთვეს სჭაბობს სამყაროს იდეა და იქ გავლენის მოხდენის სურვილი“ (61). აქ ლაპარაკია არა „სამყაროზე“, არამედ მაღალი საზოგადოების წრეზე, საითქნაც მიიღლულიან ახალგაზრდა კაცები.

„ჩენ ოც-ოც ფრანგს ვაძლევთ მოსამსახურეს, რომ მათ ყელი არ გამოგვლადრონ“ (თუ 93 წლის ტერორი დაბრუნდა) (გვ. 87). ფრანგ. ტექსტში ფრაზისილებში ჩასმული ფრაზა არ აზის (გვ. 94), იქაა მხოლოდ „un jour“). „ერთ დღეს, ან „ერთ მშენიერ დღეს“. ცხადია, სტრენდალი 1793 წელს ვულისხმობს, მაგრამ პირდაპირ ამას არ ამბობს.

მე-86 გვ. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ იგი ვაქს აღტაცებით უცხოდა, როგორც თავის თატატს“ — შეცდომაა: ჟულიენი ვერაცერი თა-

ტატი იყო მ. დე რენალისათვის. სიტყვა „maitre“ აქ წახმარება არა თარის, არამედ ბატონის, მზრდანებლის მნიშვნელობით.

უხერხელია გამოთქმა: „ბუნებრივი ქალი“ (89) კანკლიუმურ აქტან“ (103).

\* „რად შეიყვანა თავის სახლში გულით აღჭურვილი აღამიანი, მაშინ, როცა მას ლაქიის სული სჭირდებოდა“ (139). „უბედურებაა ვინც საერთო ზომას გასცილდება“ (139), „აღმოჩნდა, რომ სემინარიაში შემოსვლის დღიდან უულიერის ყოფაქუვა ყალბი ნაბიჯების მთელი რიგი იყო“ (171), „მან იცოდა, თუ როგორ გაერთო თავისი ეპისკოპოსი, თავაზიანი მოხუცი, შექმნილი პარიზში საცხოვრებლად“ (194) ან „ეპისკოპოსს უყვარდა ცქერა, როცა მის საზოგადოებაში მშიარულად და მაღიანად სჭამდენ“ (196), — უველა ეს და საერთოდ აქა-იქ ტექსტში გაპნეული მძიმე და გადმოქართულებული აღგილები, ეპევი არაა, გასწორებული იქნება შემდეგი გამოცემის ლრობა.



კოკი აბაშიძე

## დიდი მასილეას სიუჟეტი

მსახიობის უდიდესი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მის გარდა-  
ცვალებასთან ერთად — კედება და სამუდამოო ისპობა მისი შემოქმედე-  
ბაც, რაღაც მისი გარდაცვალების შემდეგ არ ჩემბა კვალი, ხელშესა-  
ხები რამ — შემოქმედის თუნდაც მეტაც ხანგრძლივი მოქმედებისა და  
მოღვაწეობის. მხოლოდ მაყურებელთა მეხსიერებაში თუ აღიბეჭდება  
დიდი მსახიობის შემოქმედებითი თვისებები: ტემპერამენტი, მიმიკა,  
ხმის ინტონაცია, სიტყვის ხელოვნურად გამოყენება და ყველა ის ელე-  
მენტი, რომელთა საშუალებით მსახიობი ხშირად უდიდეს ესტურურ  
სიხარულს უღეიძებდა გულში მაყურებელთ. აღნიშნულ თაობის გადა-  
შენების შემდეგ კი — დავიწყების მძიმე ლოდი სამუდამოდ ფარავს მის  
სახელს.

თანამედროვე საზოგადოება უმაღლესი ტექნიკის საშუალებით (კი-  
ნისა და გრამატონის) — ცდილობს შეუნარჩუნოს შთამომავლობას ამა  
თუ იმ სახელოვან პირის სიტყვა და სახე, ჭომ ამით უკვდავ ჰყოს მისი  
სახელი, მაგრამ ამ საშუალებებს, დადებითი მხარეებთან ერთად, აქეთ  
თავისი უარყოფითი თვისებებიც.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მირთალია, ტექნიკა და მეცნი-  
ერები არ ყოფილა განვითარების იმ საფეხურამდე მიღწეული, რომლი-  
თაც დღეს თავი მოაქვს თანამედროვე კაცობრიობებს, მაგრამ გამოჩენილ  
რეს კრიტიკოსმა — ბესარიონ ბელინ კიმ უკვდავ ჰყო ცხოვ-  
რება და შემოქმედება ამ საუკუნის უდიდეს რეს მსახიობის — მანა-  
ლოვისა.



ჩვენც გვხაედა სულ ახლო წარსულში პირველხარისხოვანი მსახიობ-  
ნი, რომელთაც მოელი თეატრალური კონკა შეუქმნიათ. ვასო აბა-

შიძე, ლადო მესხი შეკილი და სხვანი, რომელთაც უცილესი დვაწლი მიუძლეით ქართულ თეატრის აღმარინების სამეცნი, უსათუოდ ლირისნი არიან იმისა, რომ მათი ცოცრება და შემოქმედება შემოვლილ იქნას, რათა თანამედროვე მაყურებელს ნათელი წარმოდგენა პქნობეს იმის შესახებ, თუ რა პირობებში უხდებოდათ ამ სახელოვან აღმარით ცხოვრება და მოლეაწეობა და რა დიდ შემოქმედებითი შედეგებს აღწევდენ ისინი სკენაზე თავისი შეუდარებელი თამაშით.

ცხადია, ამისათვის საქართვისი როდი მარტო წერილის დაწერი, რომელმაც, შეიძლება, ოდნავ აღუდგინოს თანამედროვე მკითხველს ამ მოლეაწეთა პიროვნება, არამედ საჭიროა ამ პირთა მოლეაწეობისა და შემოქმედების შესწავლა და აღდგენა ცალკე მონოგრაფიის დაწერის საშუალებით შაინც.

ჩემს წერილს, რასაკეირველია, არავითარი პრეტენზია არა აქვს მონოგრაფიის ან გამოკვლევის, არც კრიტიკულ ხასიათის წერილიად შეიძლება ჩაითვალოს იგი. ეს წერილი მხოლოდ ქრთულთი მაყურებლის უბრალო ცდას წარმოადგენს, რომელსაც სამუდამოდ აღებეჭდა შესიერებაში დიდ მსახომთა — ვასო აბა შიძისა და ლადო მესხი შეკილება სასკენო შემოქმედება და მოწადინებულია თვისი შოაბეჭდილება გაუზიარის თანამედროვე მკითხველს.

ჩვენში, საზოგადოთ, წინად იცოდენ გადაჭარბებული შეფასება ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლისა — ანდა მისი სრულიად დაჩრდილება და მივიწყება.

რასაკეირველია, ჰეშამარიტი შემოქმედის დამცირება ან მისი უარყოფა შეუძლებელია, რაღაც მკითხველს, მსმენელს ან მაყურებელს თქვენ ვერ მოატყუებთ, ვერ შეაცდეთ. იგი თეთო გრძნობს ნამდვილ შემოქმედის ძლიერებას, ხელოვანს და ის ინტიმური კევშირი, რომელიც ჩვეულებრივად მყარდება მწერლისა და მკითხველის შორის ანდა, თუ გნებავთ, მსახომბისა და მაყურებლის შორის.

ამ მხრივ ვასო აბა შიძის ხანგრძლივი სასკენო მოლეაწეობა პირდაბირ ბედნიერ გამონაცელის წარმოადგენს. ის თავიდანვე როგორც ოფიციალური კრიტიკი, ისე საზოგადოების მიერ აღიარებულ იქნა მაღალ ნიჭის მსახიობად. და მართალაც, ვისაც უნახავს ვასო აბაშიძე ჩვენს სკენაზე, ვინც უშუალო დამსტრიქ ყოფილა იმ დიდ შემოქმედებითი მიღწევებისა, რომლითაც აღსავს იყო ამ უცნაურ მსახიობის საქართვისადან ხანგრძლივი მოლეაწეობა, დამეთანხმება, რომ მას ტყუილა-უბრალოთ არ მოუხვეჭია დიდი არტისტის სახელი და არაწერულებრივი პოპულიარობა ქართველ საზოგადოების ყველა ფენებში. ვასო აბაშიძის პოპულიარობა, მიუხედავად მისი უაღრესად ეროვნულობისა, სკილდებოდა საქართველოს საზღვრებს და მეზობელ ქვეყნებამდეც აღწევდა. ცხადია, ასეთი შევერევილების დაპყრობა შეუძლებელი იყო მხოლოდ ნიჭის საშუალებით. ვასო აბაშიძე, მართალია, დიდი უშუალო ნიჭით იყო დაჯილდო-

კუბული, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ მსახიობი შეტაც დადგ დარის ანდომებდა რომელიმე ტიპის განსახიერების საქმეს, — დიდ შრომისა და ენერგიის ხარჯავდა ამა თუ იმ როლის დამუშავებაში? ჭრ უფრველი დასტურდება თუნდაც მისი საინტერესო წერილებით, სიჩმელის მანქურივნა სასუნო ხელოვნებას და, კერძოთ, მსახიობის დანიშნულებას.

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართველ თეატრს ოფიციალური მოქმედების ნიადაგი მოემზადა და ნაწილობრივ მე-XIX საუკუნის პირველ წლებშიაც, ჩვენი თეატრი უბადრუ პირობებში იმყოფებოდა, მისა ყოფნა-არყოფნის საკითხი უმცირეს შემთხვევაში ამა თუ იმ ქართველ დიდ მსახიობის უნარიანობაზე იყო დამყარებული.

ასეთი იყო, მაგალითად, თეატრი ვასო აბაშიძისა, ლადო შესხივილი გუნიასი, ვალერიან გუნიასი და სხვათა. აღნიშნულ პირთ უხდებოდათ არა მარტო როლის ასრულება, სცენაზე თამაში, არამედ მთელი სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, რეესისრობა. პროფესიული რეესისრები იმჟამად არც კი არსებობდენ ჩვენში. ლადო შესხივილი, მაგალითად, შექმარის „ოტელოს“ დამდგმელიც იყო და მისი შემსრულებელი. ვალერიან გუნია ერთსა და იმავე დროს დრამატურგიც იყო, რეესისრიც და მთავარი როლის ამსრულებელი პიესაში. მხოლოდ მე-XX საუკუნის პირველ წლებში ვხდებით ჩვენ შეუძლებელი რეესისრებს და ისიც შემთხვევით ხალხს, რომელთაც თეატრთან ლიტერატურა ან, უკეთს შემთხვევაში, სასუნო ხელოვნებისადმი პატივისცემა და სიყვარული თუ აყვაშირებდათ, ტფილის დრამატულ დასის რეესისრებათ, მაგალითად, ერთხანს იყენენ: აკაკი წერელი, სანდრო ყანენიც პირნი იყვნენ თავისთვალი, მაგრამ სრულიად შემთხვევით მოღვაწენი სცენისათვის.

მე აქ აღარაფერს ვამბობ მსახიობის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ, რომლის ბიუჯეტი საცემით დამოკიდებული იყო სპექტაკლის შემოსავალზე. ქართველი მსახიობი ნახევრად მშეიქ-მწყურვალი იყო. არა თუ საშუალო ხარისხის არტისტი, არამედ დასის ხელმძღვანელიც, უშერეს შემთხვევაში, შევიწროებულ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუ თანამედროვე საბჭოთა თეატრის მეთაურის და მსახიობის თვიური ბიუჯეტი საქმარის თანხას წარმოადგენს, — ვასო აბაშიძისა და სხვათა ბიუჯეტი ათეული მანეთით და დაუსრულებელი ნისით განისაზღვრებოდა.

ქეშმარიტად ენერგიის დიდი მარავი და სასუნო ხელოვნებისადმი განუსაზღვრელი სიყვარული თუ ამომრავებდა ვასო აბაშიძესა და მის შეგობრებს, რომელთაც მთელი თავისი ენერგია, გამოცდილება, ცოდნა და ნიჭი შესწირეს ქართველ თეატრის ფეხზე დაყენების საქმეს. ვასო აბაშიძემ მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით კიდევ ერთხელ დაგვარჩმუნა იმაში, რომ უდიდეს ენტუზიაზმისა და გიტაცებულ სიყვარულს სასწაულებრივა საქმეთა გაკეთება შეუძლიან.

თანამედროვე მაყურებლისათვის შეუძლებელია წარმოდგენა მთელი იმ დამცირებათა, წინააღმდევობათა და გატირვებათა, რომელნიც წინ ელობებოდა ჩევნი ქვეყნის სულ ახლო წარსულში სასტურებულებისა მოღვაწეობას. საჭირო იყო არა მარტო პიესის შერჩევი, მაგრამ უკანას შევა, მისი შექმნა, არამედ მათი რჩენა-გამოკვება, პიესის მომზადება, თეატრის შენობის დაქირავება, წარმოდგენის ნებართვის აღება და თან საპასუხისმგებლო როლის ასრულება პიესაში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ქართული თეატრის წარსულში იყო ბრწყინვალე მომენტები. შეიძლება, მაშინდელ წარმოდგენებს აკლდათ გამოცდილი რეჟისორის ხელი, მხატვრული გაფორმება, ან-სამბლი, მაგრამ სამაგიეროდ მთავარი როლის ამსრულებელი ყოველ-თვის შეუდარებელი იყვნენ, უდიდესი შემოქმედებითი ცუცხლით ინთე-ბულნი. ეს იყო ხანა, ასე ესთქვათ, ინდივიდუალური თეატრისა ჩევნში, როდესაც განსაკუთრებით შექსპირისა და შილერის ტრაგე-დიები იდგმებოდა ჩევნს სცენაზე ანდა ფრანგული, რუსული და ქართუ-ლი კამედიები. ამ პიესებში მთავარი როლის ამსრულებელი უმცროს შემთხვევაში იყვნენ: ლადო მესხიშვილი ანდა ვასო აბაშიძე. ცხადია, ყო-ველთვის მარტო მათი თამაშით როდი განისაზღერებოდა ამა თუ იმ სპექ-ტაკტის გამარჯვება. ვისო აბაშიძეს და ლადო მესხიშვილს მხარს უმაგ-რებდენ ისეთი პირველხარისხოვანი არტისტები, როგორიც იყვნენ ქა-ლებში: საფაროვია-ბაშიძისა, გაბუნია-ცეცია, გაბუნია-ცეცია, გა-ლერიან გუნია, სანო ჩხეიძე და სხვანი და ვაკებში: ვა-ლერიან გუნია, კორე მესხი, დ. აწყურელი, ალ-იმედაშვილი, ვალ. შილიკაშვილი და სხვანი.

ქართული თეატრი, უდიდეს შემოქმედებითი მიღწევებთან ერთად, იყო ის დიდი დაწესებულება, სადაც თავისუფლად გაისმოდა ქართული ენა. დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ უზრუნველ-ჰყო ქართული ენის საქმე ჩევნში, — როდესაც სახელმწიფო დაწესე-ბულებებში სავალდებულოდ არის შემოღებული ქართული ენა, რო-ვორც სახელმწიფო ენა, შეიძლება თანამედროვე მექოთხველზე ვე-ლარ მოახდინოს შთაბეჭდილება იმ აუტონომ პირობებში და საში-ნელ რეიმბა, რომელიც მოურიდებულად და უხეშად სდევნიდა ყოვე-ლივე ქართულს ჩევნში. მეტის თეითმპყრიობელობამ თავიდანვე სასტიკი და ულმობელი წესები შემოიღო ჩევნს ქვეყანაში: სკოლებში აერთიანე-ლი იყო ქართული ენის სწავლება, როგორც სავალდებულო საგნის ანდა ქართულ ენას დათმობილი პერნია მხოლოდ დამატებითი — მეცნიერე სა-ათები, რომლის დასწრების მოსწავლე ახალგაზრდობა, უმეტეს შემთხვე-ვაში, ვერ ახერხებდა. დაწესებულებაში თქვენ ვერ გაიგონებდით ქარ-თულ ენას, რადგან ლაპარაკი დედანიზე იქრძალული იყო. ყველგან რუ-სული ენა იყო გამეფებული. მწერლობაც მეტად შევიწროებული და დევნილი იყო ცენზურითა და პოლიციური რეჟიმით. ცხადია, ასეთ პი-11. „შეთობა“ № 3

რობებში მეტად დიდი როლი ჰქონდა დაკისრებული ქართული თეატრისა და, კერძოდ, ქართველ მსახიობს. ვასო აბაშიძის დროის თეატრის მარტო ხელოვნების ტაძარი როდი იყო, — იგი ამასთანავე იმ შეუძლებელ დროზე მისი მიზანი იყო მარტო ხელოვნების როლს ასრულებდა, სადაც ქართული ენა იხტენებოდა, იწინდებოდა და ლიტერატურულ ენის სახეს ღებულობდა.

ჭეშმარიტად იმდროინდელი ქართული თეატრი იყო ის დიდი ორგანიზაცია, რომელმაც მიაღწია არა მარტო ხელოვნების მაღალ მწევრებალებს, არამედ მან შექმნა ქართული დრამა, ქართველი მსახიობი, ქართული სპექტაკლი და, თუ გნებავთ, ქართველი მაყურებელიც კი. მან აღმაღლა ქართული ენა და სერიოდ დიდი როლი ითამაშა ჩეენი კულტურის აღორძინების საქმეში.

ვისო აბაშიძე სწორედ ერთ-ერთი იმ პიონერთაგანი იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა იმ თეატრის განვითარებისა და აღორძინების საქმეს.

მაგრამ ვეფიქრობ, რომ მეოთხელისათვის უფრო საინტერესოა ვაცნობა ამ უცნაურ არტისტის შემოქმედებითი მიღწევებისა და მისი პირადი თავგადასავალის.

\* \* \*

არ ვიცი გინახავთ თუ არა თქვენ სცენის დიდი ხელოვანი, რომელსაც შეუძლიან საესებით დამორჩილება თავის გრძნობის, სიტყვის, ხმის, მთელი თავისი სხეულის, — ყოფილხართ თუ არა ოდესმე დამსწრე დიდი მსახიობის არაჩეულებრივი შემოქმედებითი მიღწევებისა, როდესაც იგი ისეთის უცნაურობით იცვლება სცენაზე, რომ შეუძლებელია მისი პირველ ხანებში მაინც გამოცნობა, — მსახიობი, რომელიც დღეს მაწანწალის ჭურჭეში გახვეული გველინებათ, ხვალ გამოჩერჩეტებულ გენერლის გამოშეტყველებას იღებს, შემდეგ ლოთი და თავზე ხლალებულ ადამიანის პოზით წარმოვიდგებათ ანდა ძუნწი და გაიძვერა პიროვნების ნიღაბით მოგეწევნებათ და ასე დღიდან-დღე — სულ ახალ-ახალ ტიპებს ანსახიერებს, რომელიც სამუდამოდ გეჭრებათ მესაიერებაში. ასეთ შთაბეჭდილებას სტოკებზე მუდამეაშ ვასო აბაშიძის თამაში მაყურებელზე. იგი თავისი შეუდარებელი მიშიერთ, ხმისა და სიტყვის თავისებური გამოყენებით, უცნაურის მიხერა-მოხერათ, ერთი სიტყვით, მთელ თავისი გარევნული გამოშეტყველებით ისეთ სასწაულებს ახდენდა სცენაზე. რომ შეუძლებელია მისი აღდგენა სიტყვის საშუალებით.

განა შეიძლება აღამიანმა სიტყვიერი გადმოცემით საესებით გაგრძნიბინოსთ ადამიანის გამოხედვა? ანდა ამბის მოყოლით წარმოვიდგინოსთ სიხარულით აღსავს პიროვნების ბეღდნიერი გამოშეტყველება და სიცილი? ან კიდევ უბედურ და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანის უიმედოსტ გაშტერებული თეალები? ამ სურათების გადმოცემა შეუძლიან მხოლოდ დიდ მხატვარს ანდა სიტყვის უდიდეს შემოქმედს.



ბელთა უდიდესი სევდითა და მწუხარებით გამსკვალდა და შექმედების დასრულებისას კი — უსაზღვრო სიხარულისა და შეუეფებელი სიცილის გამოწვევა მაყურებელში.

შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ მე ვაჭარბებ ვასრ ჯერადაც შემოქმედების დაცასებაში და აღმათ გვონიათ, რომ ჩემი შეხედულება უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია პაბუკობის გრძნობიარობაზე და შთაბეჭდილებაზე. სრულიადაც არა. ვასო აბაშიძე მე მინახავს სცენაზე ერთსა და იმავე როლში ბავშვობაში, ჭაბუკობის უამს, დავაუკაცებისას და ყოველთვის ერთი და იგივე შთაბეჭდილება მიმილია მცირე განსხვავებით, — შთაბეჭდილება, რომელიც სამუდამოდ აღებეჭდება ადამიანს მესიერებაში.

რაც უნდა მცირე და უფერული ყოფილიყო როლი, რომელსაც ასრულებდა არტისტი, — ტიპი, რომელსაც ანსაზიერებდა იგი სცენაზე, მის გადმოცემაში ეს როლი გადიდებოდა, მთავარ ფიგურად გადაიქცეოდა სპეციალში, რადგან მსახიობი მას მიანიჭებდა სიცოცხლეს, მეტყველებას, პირევლობას პიესაში.

აიღეთ, მაგალითად, ა. ლ. ს. უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „ლალატში“ მოცემული უმნიშვნელო ფიგურა ბეჭოსი. მას ხომ სულ მცირე ადგილი აქვს დათმობილი პიესაში და, თუ გნებათ, ხერიიანად აჩც კი არის შემოფარგლული შემომქმედის ხელით ამ ტიპის ხასიათი და შინაგანი თვისებები, — თვისებები ხელზედ მოსამსახურე, ლოთი და ოსუნჯი ადამიანისა, რომელიც შესუმრებული იყო ბატონთან. მაგრამ ვასო აბაშიძის გადმოცემაში ბეჭო მეტად დამახასიათებელ ფიგურად მოგვეველინებოდა სცენაზე და სრულიად მოულოდნელად გვერდში ამოუდგებოდა პიესის მთავარ გმირებს: ზეინაბსა და ოთარ ბეჭოს.

აი სწორედ ამაშია ძლიერება დიდი შემომქმედისა, გამარჯვება კეშმარიტი მსახიობებისა.

ვის არ უნახავს ვასო აბაშიძის მიერ შექმნილი ქალაქელი ტიპები. სომხის სოფედაგრისა, ყარახოლელის, კინტოსი ანდა ბებერი — გამოჩერჩეტებული გენერლისა, რომელიც უიმედოთ კუდში რომ დასდევდა სიცოცხლით აღსავეს ქალწულს იმ მიზნით, რომ დაეპყრო მისი გული. მე მას ხსოვს არა მარტო შეუდარებელი განსაზიერება გენერლის ტიპისა, სახის უცნაური გამომეტყველება, გრიმი, ტანთსაცმელი, არამედ ის მეტად დამახასიათებელი ფერადი ხელსახოცი, რომელიც კირელის უკანა ჯიბეში ნახევრად ჩაჩრილი რომ პქონდა მას და დროგამოშეებით, გაქირვების ფაშს, ამოათრევდა ჯიბიდან, რომ მისი საშუალებით — სული ჰოებრუნებია.

ეს უცნაური ფერის ხელსახოცი გენერლის ფიგურის განუყოფელ ნაწილს შეაღვენდა, და თუ გნებათ, უიმისოდ შეუძლებელიც იყო მისი საერთო გარეგნული გამომეტყველების წარმოდგენა.

ვასო აბაშიძემ მართლაც რომ ნამდვილი თეატრალური კორპუსში შექმნა ჩავიწენს სკუნაზე თავის შეუდარებელი თამაშით, მთელი რიგი უკავლევი ტიპების ვანსახიერებით. განა შეიძლება აქვს ენტერტაინმენტის ის, სუნდუკის ნისა და სხვათა პიესების მოვონების; რომ აუკუნის წინაშე არ წარმოდგენ აბაშიძის მიერ შექმნილი სახეები, პოზები, უკავლევი ტიპები?

მე მინახავს რუსეთში ყოფნის დროს: პეტერბურგში, მოსკოვსა და ადესაში მრავალი მსახიობი — კომიკი სკუნაზე და მოქაიბლულვარი კიდევაც მათი თამაშით, როლის ასრულებით. შეუძლებელია, მავალითად, დავიწყება ისეთი პირველხარისხოვანი მსახიობებისა, როგორიც იყვნენ: ვარ ლამოვი და დავი და ვიდოვი — ალექსანდრინების სკუნაზე, კუნძეცოცი — მოსკოვის მცირე თეატრში ანდა არტომი — სამხატვრო თეატრში. აღტაცებული კუმშერდი მათ მოქმედებას სკუნაზე და ვერძნობდი ამ მსახიობთა დიდ ინტელექტსა და კულტურას, — ერწმუნდებოდი იმაში, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ამათუ იმ ტიპის განსახიერება, ყოველგვარი როლის დაძლევა, მაგრამ ამ არტისტთა თამაშში ზოგჯერ ისეთი ყალბი პათოსი ანდა უზომო აღტაცება შემოიკრებოდა, რომელიც ისე საგრძნობლად ანელებდა მათი თამაშის საერთო შთაბეჭდილებას, რომ ეჭვი გვპარებოდათ შეთ სიდიდეში, მათ ძლიერებაში.

ასეთ ყალბ პათოსსა და უზომო ტემპერამენტს თქვენ ვერ აღმოაჩენდით ვასო აბაშიძის თამაშში, ის ყოველთვის ბუნებრივი და ზომიერი იყო, მაგრამ ამასთანავე ძლიერი და გამარჯვებული სკუნაზე. მას ჰქონდა ის უშეალო სისადავე მოქმედების, გრძნობა ზომიერებისა და რალაც ისეთი უხილავი ძალა შემომწედისა, რომელიც ადამიანს ანსხვავებს ჩვეულებრივ მომაკვდავისაგან და დიდ ხელოვანიდ ხდის მას.



პირველად ვასო აბაშიძე ვნახე ბათომის თეატრის სკუნაზე 1900 წელს, — ცხოვრებაში კი — 1908 წელს, ტფილისში და მაშინვე ვავიცანი კიდევ. ამის შემდეგ — თოთქის ოცი წლს განმავლობაში მე მას შევხვედრიდა მრავალჯერ სხვადასხვა დროს, და სულ სხვადასხვა პირობებში.

მე მინახავს არტისტი, თუმცა უკვე ხანში შესული, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ჯანმრთელი, ენერგიითა და სიცოცხლით აღსავს, თავის პატია ოთახში, რომელშიაც ივი სცხოვრობდა მარტოხელა — მრავალი წლის განმავლობაში. ეს იყო მეორე ხარისხოვანი სასტუმრო რესთველის პროსპექტზე, საოპერო თეატრის პირდაპირ. ყოველთვის, როდესაც კი მოშინდებოდა მასთან მისელა, მისი ოთახი დამხედებოდა მეტად არეული, ხშირად აულაგებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სუფთა.

მე შევხვედრივარ ვასო აბაშიძეს სუფრაზე, ქეიფის დოკუმენტა და მომ-სმენია მისი სიტყვა მოსწრებული, გონიერამახვილობით ორსაფურ, ზოგჯერ კი ცულგარული ხასიათის, თავდაუპირული. ვყოფილებურ უშესასი ცუკვი, მნახველი — კინტოურის, რომელსაც მსახიობი თავისტუმენტურ ართგინა-ლურად ასრულებდა. თქვენს წინაშე წარმოდგებოდა ქალაქის ერთა თავ-ზე ხელაღებული კინტოს თავშეუტავებული ტანის უწავარი მოძრაობა, საკოცხლითა და ტემპერამენტით აღსავს.

მრავალჯერ მინახავს აგრეთვე არტისტი თეატრში უბრალო მაყუ-რებლის როლში და მომისმენია კიდევაც მისი აზრი ამა თუ იმ სპექტაკ-ლის შესახებ.

დაბოლოს, ვასო აბაშიძე მე უკანასკნელად ვნახე უკეე ავალყოფი, უიმედო მდგომარეობაში, ღონე მიხდილი, ბორჯომის სანატორიუმში მწოდიარე, როდესაც მის თვალებში აღაჩ სჩექედა სიკოცხლის ნიშანი, უხალისი პოზით, სურვილებისა და ზრახვათა გარეშე, რაღაც მუდმივი სევდით სახეზე.

ამ შეხედრის დროს, მსახიობს მრავალ ფაქტისა და მოვლენის შესახებ გამოიუწევამს თავისი აზრი, რომელიც ყოველთვის მახვილი იყო და მო-სწრებული. ვასო აბაშიძე არ იყო, რასაკვირველია, ჩვეულებრვი მოხა-უბრე, მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც შეუძლიან საათობით გიამზოთ რამე თავგადასავალი. არტისტი ყოველთვის მოკლეთ და მახვილად გა-მოსთქმამდა აზრს, თავის შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. იგი უფრო მიმიკითა და ჟესტით გაგრძნობინებდა თავის აზრს, ვადრე დალაგებული მოთხრობით. ყოველ შემთხვევაში მისი სიტყვა უსათუოდ გადმოგცემდათ საკითხის მთავარ შინაარსს.

ვასო აბაშიძე ზემომიერეთიდან იყო, სოფელ სავანის წერილ აზნაუ-რის ოვახიდან გამოსული, მაგრამ როგორც გარეგნულის, ისე თავისი შინაგანი არსებით, არაფრით არ მოგავონებდათ დასაელეთ საქართველოს მქონერებს. ჭაბუკომიდან ქალაქში ცხოვრებამ, იგი ნამდვილ ქალაქებად გახადა. მიხერა-მიხერითაც კი ის ნამდვილი ქალაქელი იყო, ქალაქურის კილომი მოსაუბრე და ძველი ტფილისის ადათებითა და მორალით გა-მსჭვალული; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსახიობი ეცროპიულ ცი-კილისაციასაც არ იყო მოვლებული.

1909 წელში, მე, როგორც ტფილის ერთ-ერთ განხეთის თანამშრო მელს, თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიხდებოდა ქართული დრა-მის შესახებ რეცენზიების წერა. იმედად მე ჯერ კიდევ სულ ახალგა-ზრდა ერყავი და საკმარისად გამოუცდელი. წერს წერილებში, ცხადია, სჭარბობდა ახალგაზრდური გატაცება და პათოსი. ერთხელ, მოხიბლული ვასო აბაშიძის შეუდარებელი თამაშით, ჩემს მოჩიგ რეცენზიაში, სხვათა-შორის, ვსწერდი: „რაც უფრო ახლო ეცნობით ვასო აბაშიძის თამაშს სცენაზე, თანდათან ჩწმუნდებით იმაში, რომ მსახიობი მართლაც დიდი ნიჭით არის დაჯილდოებული“... ვასო აბაშიძემ, წაიკითხა თუ არა ეს

რეცეპტით, მაშინვე თავის ახლობელ მეგობრებს — ვალერიან გუნიასა და შევებს უთხრა თურქე:

— ვაიგეთ, ბიჭებო, კოე აბაშიძეც დარწმუნებულა ჩემს წიჭილი.

ვასო აბაშიძის ამ მახვილ სიტყვამ აღ. სუმბათაშვილებული მიაღწია და, როდესაც მე პირველად გავიცანი იუეინგშტატში უზრუნველისა, ეს ჩემი, ასე ცისქვათ, ახალგაზრდობის ლიაფსუი. ეს ფაქტი მე მომყვას როგორც დამხასიათებელი შტრიხი ვასო აბაშიძის გონიერამიახეილობისა, მისი სიტყვამოწმებულობისა.

მართალა, არტისტი მოცელი თავისი ბუნებით მეტად დიდი ოხუნჯი იყო, ხუმარა, მაგრამ ზოგჯერ მის ოხუნჯობის ეულგარული ზასიათი ეძლევოდა. ამ წერილში შეუძლებელია გადმოცემა უკელა იმ ფაქტების, რომელიც მოწმობდენ მსახიობის თავშეუკავებელ, მოურიცებელ ხასიათს. მე ამით, რასაკირველია, სრულიად არ მინდა ცისქვა, რომ ვასო აბაშიძეს აკლდა შინაგანი დისკიპლინა და უნარი თავის შეკავებისა. პირიქით, მისი ახლობლების გადმიცემით სცენაზე და თეატრში იგი ყოველთვის დიდი დისკიპლინის მომხრე იყო როგორც თავისიათვის, ისე დანარჩენ ჰყენის თანამშრომლებისათვის, მაგრამ ცხოვრებაში მას უსათუოდ სჭარ-მობდა ბოგემური სული და მოუსცენრობა, დისკიპლინის უქონლობა.

\* \* \*

ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე გამოჩენილ პირთა აზრი და შეხედულება ვასო აბაშიძის სასცენო შემოქმედების შესახებ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს უ მ ბ ა თ ა შ ე ი ლ ი (ი უ ე ი ნ ი) ვასო აბაშიძეს უდიდეს მსახიობათ სთელიდა. ერთხელ, ეს აზრი მან საჯაროთაც ვამოსთქვა, ვასოს თანდასწრებით.

პირნავას დუქანში, რომელიც ცნობილი იყო ტფილისში ცხარე საჭმელებითა და კარგი ხარისხის ღივინით, მრავალ სულტანი შორის, საღამო გამს, ლრი მაგიდა შეუცერთდა ერთმანეთს, ეს იყო, თუ არ ცისცდები, 1921 — 1922 წელში. დუქნის ერთ კუთხეში, პატარა მავიღას მისხდომილენ: ვასო ა ბ ა შ ი ძ ე. ა ლ. ს უ მ ბ ა თ ა შ ე ი ლ ი, ვ ა ლ. გ უ ნ ი ა და შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი, — წყნარად და უპრეტენიოდ ატარებდენ დროს. მეორე სულტან ქართველ ვეჭილთა ერთ ჯგუფს ეჭირა: პარმენ გელევანიშვილს, ისაია დოლუხანოვს, პეტრე ქავთარაძეს, ვანო ჯაფარიძეს, ანდრია ტატიშვილს. ივანე გუბელაძეს, შალვა ქართველიშვილსა და მევეტლთა სუფრაზე ხმაურობა, სიცილი და მაღალი ხმით ლაპარაკი მოისმოდა. ბოლოს, ჩეენი სუფრის დავალებით, ერთ-ერთი ეკეილი მხურვალე სიტყვით მიესალმა მსახიობთა მაგიდას და განსაკუთრებულის პატივისცემითა და ყურადღებით მოიხსენია აღ. სუმბათაშვილი. სუმბათა-შვილმა საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა, — მან მოიგონა ქართული თვატრის წარსული, მოკლედ დაახისიათა ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობა და თავის სიტყვა შემდეგით დაასრულა: „в лице Васо Абашидзе мы

კავილა, ეისაც კი ოდესმე უნახავს ვისო აბაშიძე სცენაზე, ასეთივე ახ-  
რის იყო მისი სისუენო მოღვაწეობის შესახებ.

შეგალითად, ოცანეს თუ მანიანი, აკაკი წერეთე-  
ლი, არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე და სხვანი, რო-  
მელთაც მრავალი სახელოვანი მსახიობის თამაში უნახეთ ექიმისა და-  
რუსულ სცენაზე, აღფრთოვანებული იყვნენ ვასო აბაშიძის ნიჭით, მისი  
შეუდარებელი თამაშით.

დრამატურგი სუნდუკიანი, რომელთა ტიპების საუკეთესო გან-  
მსახიურებლად მშერ-ქავებისაში ვისო აბაშიძე ითვლებოდა, ყოველთვის  
დიდი პატივისცემით და სიყვარულით ისენიებდა ხოლმე ვისო აბაში-  
ძეს, მოხიბლული მისი უახლოესი ნიჭით.

ამას წინად, შოლვი დაღიანის ოჯახში გავიცანი სომხის მეტად ჰოპულიარული და სახელოვანი მსახიობი ვაკრან პაპაზიანი რომელმაც მეტად საინტერესო წიგნი ჩამოიტანა საქართველოში: გამოჩენილ იტალიელ მსახიობის როსის მოვლენებანი. სახელოვანი არტისტი დიდის სიყვარულით ისხენიებს თავის მემუარებში ქართულ თეატრს და კერძოდ ქართველ მსახიობთ. ამ წიგნში ჩამოდენიმე ფურცელი აქვს დათმობილი რომელის საქართველოში ყოფნის მომენტს. იგი ყოფილა საქართველოში 1888 — 1889 წელში. მას ახსოვს ტფილისის გარეუბანი, ბალებით დაფარული, ჩვენებური სუფა, მეტები, მტკვარი, ქართველი პატისტები: ვასთ აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, გაბუნია — ცაგარლისა და სხვანი. მსახიობი განსაკუთრებულის ყურადღებით ისხენიებს გასო აბაშიძეს.

ეს ფაქტი მე მოყვავს, როგორც მეტად დამახასიათებელი მოცელენა-  
ას შეუძლიან გვერდი აუხვიოს, ვინც უნდა იყოს იგი — უცნოელი თუ  
შინაური — ჩვენი მკეყნის დამახასიათებელ მოცელენებს და მათ შორის  
ხელოვნების მეშვეობა.

ვასო აბაშიძე მართლაც შეუძლებელია დაავიწყდეს აღაშენის თუ კი მას მოვისწიოთ უნახავს მსახიობზე სკუნაზე, ესორუბებაში.

დიდი მსახიობის შოლვაწეობა საბჭოთა მთავრობამ და საზოგადოებრივ-  
ბაზარუ სათანადოთ დააფიქსი და მას — პირების, მსახიობთა შორის, მიანი-  
ჭა სახალხო მსახიობის სახელწოდება.

ვისო აბაშიძე ქართველ საზოგადოებამ დიდის პატივისცემით დასა-  
ფლავა მამადავითის მთაწე დიდისა და სახელოვან მოღვაწეთა გერლით,  
რადგან თვითონაც დიდი იყო და უპატივი...



# ପ୍ରକାଶନ କମିଶନର ପତ୍ର

34135320  
308-1000340

თბილის აირვანი, 1934 წლის 1 სექტემბრი პრეზიდენტი. რექტორი, გამოცემები, ლექციები. ი. ბარაბაშვილის და გ. ჯავახიშვილის ჩრდილებით, გამ. ფერგანაცია, ტბილისი, 1934 წ.

Տայցահրանք, հրաւագոյնի շրմնոնեա დա პօհագ սպառաւթեանե ցլորա, — ո տղամարդանուն Տեղումիցգոյնն ացան. ոչո անսկզբուա լուսայուա, ըմբերս Այսմունքայուան տացու մօհաց շրմնութեան իւցա վոն և պայզը ռածոյցը թրու սրբատական շրմնութեան մօհացը արտահոյն. Ի՞ և նետառու անու տղամարդանուն Տեղումիցգոյնն ացան? Ուզութիւնը այս տակառուն ամ Տայցահրանք մօն ըմբերսա և Ավագուստուան նօտորդին ու գաղտնականութեան պայմեն օքցէ: «Համականութեան», «Ըստ-Բախունան», «Պատեք Ցոլոսինան» դա «մատ Շահընան». մօւեգագագ մօնս, հոռ տղամարդան չ՝ տակացմնեան Տեղութեանց գաղմացութեան գրիս պայզաւուն տղամարդի լցակ հրստացա, հրստացը լուս մը տակացմնեան մասն պար նախաց. գալուն այ մեռալու լուսիմալուսա և ահ ուղարկո. հրստացը և Տայցահրանք յս մամալու քեզո գա գամահանութեան զիմենքա, հռմիւլման պետքան-գրականուն գամենու ուղար ադմինիստրա մուլո չահո ամուսնաց. Եղունքինուն Տայցահրանք յո ացաթպոսուրի շրմնութեանուա, ցաշուռացը ալութեան դա նորացու զայնութեան ոհերուն. հրստացը ցմինդրեան սամշունքուա լցալա ցայտարնա բառուցքուն գամաշաբաթեանուա անու մուրուն պարուն. բարուց ցան Մեցման պարուն. ահ նորուն ու սա սահա պարուն գա պամ մուշունը ուղամարդանուն գալուն յահութեան պարուն. Եղունքին պարուն, և ահ նորուն լաւացայքը լու պահանջան ալաման! Տայցահրանք ոչո յո ահ ամիսնա, ահամեր սամիւակա լու մատունաց մամենա.

პატალიგორი გრძელობა და ოლიგოტერი განცდები ემსეფერდინ კუთხით და ცემულობის პერიოდზე. საზოგადოებრივ მაცარენშე დამარცხებული კლისის შეიღრ, რომელსაც მომავლის პერიოდებრივები დაკარგვა, ხელაღწერის ეწავება ამ გრძელობებს, როგორც თევზავორჩუბელ საშუალებებს, იწყება „ემსინობის ღრუბის ქვეთ“. ისეთი ნირთად უნდა ითხოვოს თევზავორაპის პოეზიაში სატერიტოებრივი გრძელობისა და ავადმყოფერი საყვარელის ერთი შეთანხმულ შეთავესება, რომ შესაძინავ ჯერ ღმიერთ ახსენებს და შეტკ ხორცის დამტკბობელ მომენტებს უმღერის, ჭრისტიანული და წარმართვული საკურავად თავისუფლად თავსცება მის შეცნებაში. სკუპოტულის ღწევის გზით იგი ოლიგოტერი გრძელობის გაღვივებასაც კა ფიქრობს.

წინამდებარე გამოცემას, რომელიც დადგინდებოდა და დაკავშირებით არის შესრულებული, თუ არავა ა. ბ. ბარა მ ი ს და გ. ჯ ა კ თ ბ ი ს წე-  
რილები, რომელშიც აეტორები იძლევიან თემისაზე შეფიქსირებას, ამ შეფიქსირების მი-  
რებლი პომენტები, სკონის აზრით, სხვაგვარიდ უნდა ყაფილყო წარმოდგენილი. ვა-  
საკუთრებით ეს ექვება ა. ლ. ბარამისის ნარკეცის. ბარამისი პოვერის გროვების კლასობრივ-  
პოლიტიკური მოხაზულის და პოვერის ბორგაციის საქმით დეტალების მიუმის შემსევა  
(171 — 191 გვ.), პირდაპირ გადადის თემისაზე ის ღრაის მთავრი მოტივებზე. პოვერი-  
დადი მემკეოფრება დაცდა კლასიკურ ღრმულარენის ჭირო, ამიტომ აუცილებელ  
საქმიანებას შეიძენდა ამ შემკეოლტურობის დაწურველად მოცემა, რომ ამ გზით თა-  
ვიდანვე კოფილისა მოტივებზე და იყიდებაზე მისწრაფება ჩასთვედლამაცნ. ეს ვა-  
რისმოება თემისაზე შემოქმედების შეწყნაბას უსათურდ გაადვილებდა. თუ ჩა-  
ტურის დავინახეთ, რომ თემისაზე ცვალიობს რუსთველის მხატვრულ ტალის-  
არ გადაცდეს და ესისის ცალკე მომენტების სესხების გვერდით თავის თხისულებათა  
დღნავების შოთასებურად იწყებს და „საერთ მოტივებითაც“ მის დამსგავსებას დღი-  
ლობს. რელიგიურ გრძენობას და სიყარულს თემისაზე კლასიკური მოზისის სტემით  
ითვევა, ბარამისი ფიქრობს, რომ „თემისაზე ის ღრაის მოტივთ უწევეს კოს-  
ხეთავების წარმოადგენდა სისულიერ და საერთ მიმართულებათა ურთიერთობა“. გა-  
მშევავების და უწევებელობის შესახებ სერიოზულად მხილოდ მაშინ შეიძლებოდა ლა-  
პატარე, არმ თოთიურ დასახულებულ მიმართულების საკუთარი კლასობრივი ბაზა-  
ჭირობა და მართლაც აიტერატურული სკოლის ხსნათი ქონებიდა მიღებულ. რა  
აზრით ხსირობს ბარამის ტერმინებს საერთო და სისულიეროს. ჩეცულებრივის გაცემით  
ისე გამოდის, თოთქოს პირველი უარყოფს მეორეს, სინამდიდოლებში კი ასე სრულებითაც  
არ კოფილია: რელიგიური მომენტი ამ ეპოქის განმასილებრებით მომენტია, კინ განხდავ-  
შის წინამდებარე ხმის ამოღებას. განა ბარამისი მიღი საერთ ფეოდალური საზოგა-  
ცოცხის იდეოლოგიად მონათლებულ თემისაზე ყოფდა სიტყვაში უდიდეს რელიგიუ-  
რობის არ მეტავრებს. ბარამისის აზრით სიყარულის საკითხი ხსილ თემისაზე გადა-  
სის მოწინააღმდეგ მოაზროვნედ. შეათ საკუნძის შექრცხს მერქულის ერ. ხანძო-  
ლის ცხოვრებაში სისულიერ ღრმულარენისთვის თოთქოს შეუცველებელი რამანიკული  
ამშებისა მოხსონილი, რელიგია და მრავალი ძალია ხშირი შეცვენიერად თავსცემის  
ერთოფ. საკონაროლის ტიპის სასულიერო პირები არმ აკტოების ყავნენ — თუნდაც  
ანტიო ჟათალკესი, — ამის უარყოფა არ შეიძლება. სწორებ ეს ცალკეული პირებ-

ბარამიძის პოზიციაზე დღას ოფშორუბაზეს თახვემანების შეორე შეკლევითი გ. ჯა-  
კობია, რომლის მიხრით, „იმდროინდელი (შე-17 საუკ.) ქართველ საზოგადოებაში ნა-  
კლებად ქვეინია გასაცალი „სულის მარტვა“ წიგნებს“ (277 გვ.), „საზოგადოების მო-  
სწყონდა „შეინდა მიმათა“ კალმის ნამოლვაშვილის „კოხება“ (281 გვ.), ამ არის გასცემი-  
სილი, რომ ბარამიძის აზრს შემდეგ ასეთი გამედული ბანიც თქმულიყო, მაგრამ სა-  
ინტერესო კი არის ეკულური, თუ ვის გულისმიმობს ჯაკობა „ჭაროველ საზოგადოე-  
ბაზე“. სოაბეჭედილება ისეთია, თოტქის ძეველი ლიტერატურა ისეთი უარით მინშენე-  
ლიმის საზოგადოებრივი ფაქტორი იყო, როგორც ასალი. მაშინდელი თელიტრიზია ქა-  
რთვის შემთხვეობული იყო: კითხულობდა მხოლოდ გამატონებული ფენის უმნიშვინე-  
ლი ნაწილი, წიგნის რაოდენობაც თოვებში ჩამოსათვლელი იყო. როგორ გავიგონ  
ჯაკობის აზრი — თემურაზი თავის გამშემო ფართო საზოგადოების რაზეცდა, თუ  
თათონ-ორთოლი ეფუძნალის თემშესაქცევად სწერდა. ადრეურის აზრი მც წინდაგების  
პირების ნაწილის კემისარტებად გასაღება, მე კი მცონის სიმართლე შეორე წინადა-  
დებაში იმუტება.

ქიმიკურადა ლატერატურის ისტორიაში თეომურაზი უსათურო დღიდა შინიშვნელობის პერიოდი, მაგრამ ისეც დროს კადასტრი პერიოდთან შედარებით იყო უსათურო დღიდა კაფავებარების მომსიმულებელია: პერიოდის საზოგადოებრივი შევნება წარსელთან შედარებით უფრო დიდი ჰქონდება და გაქმნება ყვლია. მათთანავე პერიოდი დაუტინის ქრისტი შევნების თქმა: „ერთი სული მაკეს, სოედილო, მოყვირისად შემიწრიასთა“, მაგრამ შეამტკი სოციალურ შევნებას იყო შანცც ცეკ მეღლავნებს. თეომურაშის პირადი უხელურებისაც შეერთ უნაბეჭდს და საზოგადოებრივიც: სამშობლოში ბერდგაცრუებული გვირკვინისანი პერიოდი მასკონებიც იყო. სტამბოლშიც, ბევრი რამ ნახა და განიცადა. უკველივე ამას შეიძი პირიზონერი უნდა გაეყიდა რაოვებია და პირადი ტანადედის ღრმად შევჩრიობით აქტერად ურჩა საზოგადოებრივი საკითხების დამსამდე უნდა მისულივა — მაგრამ თეომურაში პირადი გრძნობების რეალში მომზეულა და შოთას გმირული შავ-ცრნის ნერისატენით შესცვალა. ამით მან სამეულ წრების დაცვირაციის უძრავი ნიშნები მოიდა.



მ. კოლეგია და მეცნიერები, „იღვიძე გოგია“ სახელმის. 1934 წ.

ცხოვრების სინამდვილის ასახვა, მისი მხატვრულ ნიშანმოებშით გადატანა, მც. რომ ის სინამდვილის სრულად წარმოგვიღებულის, რომ მკონხველის ჯერებების ამ სინამდვილეში, რომ მკონხველის წინაშე გადასიალის სინამდვილის ახალი და ახალი მხარეების და გაიტაცის, მოაჯაფოვოს სინამდვილის ასახვას, — ამ რა არის შეატყობინოს დანიშნულება.

კუველი მკონხველი ცხოვრების და ასე თუ ისე მოწამეა სინამდვილისა. ცხოვრება, მცტადრე თანამედროვე ცხოვრება, კოსტატდება კუველდღიურად. ცხოვრების განვითარებას აქვთ თავისი კონკრეტი, თავისი მისაკეცულ-მოსკეცული გზები. ბევრის შევნება კუველის უსწორებელი თვალის ცხოვრების განვითარების ტემპებს.

შეატყობინო ლიტერატურის დანიშნულება სწორედ ისაშია, რომ აამაღლოს იმ ბევრთა შევნება, დაქმარის მკონხველებს, რათა ისინი შექმნილ მუსიკარებობაში ზუსტად გაეტყვენ, სერიოზულ მოსის ყუველგვარი ჩამორჩენილობა ადამიანთა შევნებისა და ცხოვრების განვითარების შორის და მით გააძერტიუროს ადამიანთა შონარილებასა ცხოვრების განვითარების ბორბლის გადატრიალებაში.

შემომოყვანილი მოსახურებების მიხედვით გვინდა გვიარჩიოთ ელიზ. პოლუშორლეკონიას რომინი „იღვიძე გვერდის მოება“. ა

ავტორს მეტასმეტად ფართო ტილო აქვთ აღებული უნდა ალინიშვილს, რომ დღე-მდის მის ასეთი ფართო ტილო არ მოჟურა.

ბრძოლა სოფლის მეტრიზმის კალექტივიზმისთვის, ბრძოლა სოფლის ცხოვრების ძირ-ცეკვითიანთუ განახლებისათვის, ბრძოლა ძველი ჩამორჩენილ ადამიანურებების შინააღმდეგ და ახალი ყოფის დამკეიდრებისათვის, — ამ ის ფონი, რომელ-ზედაც გაშეაღიარების შინააღმდეგის.

სარეცენზიონ ნაწარმოები უდაფოდ დეტორის ზრდის მაჩევნებელია. მან უავტომატ ანგარიში გაუწია აქანისტრის ცხოვრების სეკურიტურ პირობებს (ძველი ადამ-ცეკვ-ლებების სიძლიერე და სხვ.) და მოვეცა ნაწარმოები გამსაზღვრულ კანკრეტულ განვი-მოცულობაში. მოვეცა კალექტივი, მის გარშემო ღარიბი და საშუალო გლეხების და-რაშები, კულაკების ოინქანი, მათი ბრძოლა კალექტივის წინააღმდეგ, ზოგიერთი ოჯა-ზრის ტიზი, ახალი ცხოვრების შევნების ტეიოლებიანი შშობიარობა... ცხალი, ავ-ტორის იდეალოვანიად ერკეცა იმ ამბებში, რომლებიც მის აქტერილი აქვთ. შეგრამ საქმე ბრძოლა შესაძლა არ არის. საქმე ამ შესაძლის დაწყობაა, მისი კომიტიუტურად შე-კრია, ერთმანეთით ინტერესის ჩერტილებით გადამდინარე საქმე, უკრ რომ კომერცია, მას-ლის ჩიმოყალიბების ხარისხშია. აქ კი, სარეცენზიონ ნაწარმოებში, კულაციერი რიგში არ არის.

სარეცენზიონ ნაწარმოებში შედატებით კულაზე დამაკმაყოფებლად არის ახ-სრდი სულეიმან ნოლაიდელი. ეს მამეჭვედი პირი უცხველად ტიპიურ ხაზებშია მოცუ-მდებარე. ვინაულობრივი ძლიერია ის ალკოლიმ, რომელსაც სულეიმანი თავის ლუაში იძრების ახალი ცხოვრების წესების დამკეიდრებისათვის. თავისი უალი ფერიდე მის გავიყენით უყვარს, უკრიდე ჩამორჩენილი ქალია. ის უკან უზრუ იხედრება, კოლერ წინ. ძევლი ალა-ცეკვ-ლებების ჩერტენა შესწი შტრიკულა გამჯდარი. ამ ნიაღავში ქვარსა

და ცალს შორის უთანხმოება ჩაძღვება. სექტემბრი გარეუცხვიც უადვინა; მათა, ფერიდეს კულაკე მამა, ქალს აქეზებენ, უკიდულე ყაველ საშუალებას მიღინდას ქარის ათვისონ გველონს ჰერე მოაკიროს: აღყრის, ქონების ჩეკებით მოუწევებულ კუნძულადება, მაგრამ გერიფერის ხედება.

ფერიდე უცილად კარგად მოცული ტაბია, მაგრამ, საწუხაოთა, ამ ზოლო  
მისის ნაწილობრივ პოლის, როდესაც ფერიდე ვარდატეხა ხდება, მექოსეველს ვა  
ვარგია, თუ რამ გმილიშვილი ეს ვარდატეხა. მისმა იდე მიგზავნა სიცისათ განსაკარალებ-  
ლად. ისეც მივიდა ქართვა, მაგრამ დაინახა თუ არა ქართვა, თუმც განიაჩალუა. გვა-  
შინდელი ფანატიკუსი და მოლისა და მემის ყურმოქმილი ყავა ღლეს ერთხაშიც ახალი  
ცხოვრების გასწეულებულ ქარს ახალი ცხოვრებისათვის ჩრდი-  
ლაში მარში დადგება.

კოლეგიურნობის შუალედის მიღინან უსეინ კეტესიშვილი ცირ არის საქახვით ახვალურ ხაზებში მოცემული ტიპი. ჯერ ერთი, უსეინი იმ იყო მოვლი სოფლის ჟატონ-პატრიონი. შეძლებრი პირთა განკულაცებას მირტო უსეინები არ სწორებულ ჩვენი ციონისტების სინადმოილები. განკულაცების საკითხის უნდა გატარებულიყო მოვლა-რივ ინსტრუმენტი. განკულაცების ღმიასრულებელ ძალას ხელისუფლების სათანადო თავისებობის ჭარბობას გავრცელები უნდა გატარებულიყო მოვლა-რივ ინსტრუმენტი. და არა შემოსევით შეკრებილი. ნაწილობრივ კი უსეინი ერთიმიზობრივად სწორებს კადეც და ასრულებს კადეც განკულაცების საკითხს.

უსეინის ამ მოქმედების გამო აუშერდენ, უსეინის საჭიროელ განისაზრება. უსეინი  
შოთაშვილისა და პატრიოტიზმის გამოირიცხეს, მაგრამ უსეინი დაისაჯა ამა თეორიებული გან-  
კულაციებისათვის, ამამდე სულეიმან ნოღისიდელის ცოლის ფრიდესთვის ჩადრის ძალით  
ახდის გამო. სიახლოთ გატაცებულ იყორის ეს საპროლოვო აშშავი ცისლოვად წირუ-  
შძლოლებია ნიშანმოებისათვის, რომელიც ისეთი თაქტის ცისლოვად გამო ასაკოთა ეფუძნებს  
ამ ახდების და აომშელსაც, პირიქით, დიდი ბრძოლება და გაუგებრიობა შეაქვს შეია-  
ხოვთმა.

უსეინის სახოთ, კოდიქტობოთ, აეტონის ურდოფა მოვალე პარტმენშავი „მომემარტულებები“ გადასცმით, ტაძა იყოთ იდიონისა, რომელიც ჯერ კლეი სამოქალაქო რმების მეცნა-დეპით ცხოვრობს, რომელსაც სკულ ინსტიტუტის უკირისებ ხელი და თვალი. ნაწილობრივ მიეღოთ მიხედვით, ზოგიერთ მომენტში უსეინი იყვითებოდ არის, მიგრანტი იგი კერძოდ, რომ შეიძლება დააწესონოს იმაზი, რაც მას სწორის. უსეინში ბევრია არარეალური, არაბრუნებელი, არადამაჯურებელი. ოუზნებაც მისი სეცუალი პარტვასამართლების დროს, შეის სტუკა იქ არის პარტმენშავის სიტყვა. მისში რომელიც უდიდეს სენტრის ჩა-

რო მეტა, ვიღუდე გადამცდარ პარტიულის, ხელა კი მონაწილის უზახშე შემთხვარ ადა-  
შეანის სიტყვის სიმართლე.

3. პოლუმორტლეინოვი კომიკავშირელებს ხშირად დაუკარებული ქართულში ენიდლება:

კოლეგიუმის ცერემონია. ამ პერიოდში ყველაზე მეტად ჭრიული ქართული ენიდლება სი-  
რცები: ერლაკი, განკულაკება, იმ ხანებში ბაჟშემაც კი იცოდა ამ სიტყვების მნიშვნე-  
ლობა, აზრი. რაოდმდაც ჩვენი დეტორი ასეთი კონტინიუაციან ანიარაღებს კომიკავშირ-  
ლებს უსურას და შერაცხს. ისინი მისკევპან უსემს ამედ ტაგიძის განკულაკებისთვის,  
შეგრამ ის კი არ იყოან, თუ რას ნიშნავს ეს განკულაკება. ამ, მიცლენ ტაგიძისა და  
დაინიანენ, რაც იქნება. გამოდის, რომ ისინი დარაღს ხელს პირდებრნ და არ იციან,  
რა საქმისათვის. რამდენიმე სტრიქონის ზემოთ ბრძენი კომიკავშირელები აქ უკვე ხეპ-  
რები არიან, რომელსაც არაფერო არ ესმით. ნეთუ იმდენი ვერ ისწავლეს პოლიტ-  
იტერი, რომ გაეგოთ — რა არის კულაკი და განკულაკება? ეს ხომ ჩაშინდედი ცხოვ-  
რების სინამდვილე არ არის. კომიკავშირელები სინამდვილეში ერთ-ერთი აქტივირი მო-  
ნაწილეთაგონი იყვნენ სოფლის მეურნეობის კოლეგიუმისა, ბერძო მათგანი დაი-  
ლება ამ ბრძოლაში რა მკითხველი როგორ დაუკარებს იყოორს, რომ მათ განკუ-  
ლაკების აზრი არ ცუდენ.

ხელა ორიოდე სიტყვა ნაწარმოების ენობრივი მასალის შესახებ. რომანში საქმიანუ-  
ბეკერი შეატერული სახეებია. აეტორი კირგად ფლობს პროზაული თხრობის სერჩებს.  
შეგრამ ამ შერით იყო ხშირად ლალატობს ძირითად ხაზს და ყალბ პათეთიკაში გალალია

(გვ. 2, 10, 13, 38 და სხვ.).

მიუხედავად ზემოაღნიშნული სუსტი შეატებისა, „იღვიძებენ მოები“ შაინც ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის დადგენითი მონაბერვარია. უფრო მეტი უტრადლება იმი-  
ტომ მივაჭრეთ ნაწარმოების სუსტ შეატების, რომ იყო გაითვალისწინოს ე. პოლუ-  
მორდვილოვა თავის შემდგომ მეშობეაში.

გ. 8.



# შ ი ნ ე ს რ ს ი

მხატვრული ლიტერატურა

დემინა შენგელაძა — სტელლა (რომანი) . . . . .	33-
ჭ. დადიანი — ურდუში (ისტორიული რომანი) . . . . .	29
ვ. გალირინდაშვილი — ქეთაისი (ლექსი) . . . . .	47
გ. კაჭაბეგი — წურბლების გამყიდველი (ლექსი) . . . . .	49
კ. გამხანურდია — მოვარის მოტაცება (რომანი) . . . . .	53
ილო მოხაშვილი — სიყვარული უცებ (ლექსი) . . . . .	74
რ. დიონიშელი — თანამედროვე ქრონიკები (მოთხრობა) . . . . .	76
მიხეილ ფოფხაძე — ურსან (ლექსი) . . . . .	99
პეტრე ჯონია — ძველი ჭიათურა (მოთხრობა) . . . . .	101
ნიკოლოზ ტიხონოვი — ლურჯი პაკეთი (ლექსი) . . . . .	118
" " — ბალადა ლურსმნებზე (ლექსი) . . . . .	120
ჰავიდი — (სამი ლექსი, თარგმ. სპარსულით ა. ჭელიძის მიერ) . . . . .	123

## რევილუციური მოძრაობა

კ. გორდელაძე — მექანი დასის ლეგალური მარქსიზმი . . . . .	126
--	-----

## პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალი არსენიშვილი — სტენდალი ქართულად . . . . .	151
---	-----

## წარსული დან

კოკი ახაშიძე — დიდი მსახიობის სილუეტი . . . . .	158
---	-----

## გიგანტი გრაფიკა

ვ. ხურიძე — თეიმურაზ პირეველი, თბილებათა სრული კრებული . . . . .	169
გ. შ. — ე. პოლუმორდვინოვი, „ილეიძებენ მთები“ . . . . .	172





ხელისმომფეროსა საზოგადოებო

“მეცნიერების” 80-4 ნოვემბრი გამოვა მაისის პირველ რიცხვისათვის